„ძალოვანთა" აქციები საქართველოს საელჩოსთან A2
ჯაშუშებს პენტაგონშიც პოულობენ A5
ჩემი კრიალოსანი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 30 აგვისტო, 2004 წელი. №205 (754) — ფასი 50 თეთრი

# საქართველოს სამშვიდობო მისია ფართოვდება



*ქართველი მამები ავღანეთში მშვიდობის დასაცავად მიემგზავრებიან.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*სულ უფრო ფართოვდება ის არეალი, სადაც ქართველი სამხედრო მოსამსახურეები სამშვიდობო მისიას ასრულებენ. ერაყსა და კოსოვოს მალე ავღანეთიც მიემატება. ჩვენი თანამოქალაქეები ქაბულში, სამი თვის განმავლობაში, იმ ობიექტების დაცვას უზრუნველყოფენ, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ 9 ოქტომბრისთვის დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად. ავღანეთში გამგზავრებამდე კი საჩხერის სამთო მსროლელთა ბატალიონის გაძლიერებული ოცეული დამატებით ორკვირიან სწავლებას გერმანიაში გაივლის და ეს ბუნებრივიცაა - ქართველი მებრძოლები ავღანეთში გერმანული შენაერთის შემადგენლობაში იმსახურებენ.*

გიორგი ასანიშვილი

ალსანიშნავია, რომ გერმანულმა მხარემ თავად გამოთქვა სურვილი - მათი სამხედრო კონტინგენტის შემადგენლობაში ქართული ქვედანაყოფი შესულიყო. გერმანიაშივე შეთანხმდება, რა კონკრეტული ამოცანების შესრულება მოუწევს ქაბულში განთავსებულ გაძლიერებულ ქართულ ოცეულს, რომლის შემადგენლობაშიც 50 სამხედრო მოსამსახურეა: 6 ოფიცერი და 44 სერჟანტი და რიგითი ჯარისკაცი.

გაძლიერებულ ოცეულს კაპიტანი შავლეგ ტაბატაძე მეთაურობს, რომელსაც თავისი თანამებრძოლების პროფესიონალიზმში ეჭვიც არ ეპარება. მართლაც, მათ გავლილი აქვთ "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა, სულ ახლახან კი კრწანისის სასწავლო ცენტრში, ბრიტანელი და ქართველი ინსტრუქტორების ზედამხედველობით, სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების სპეციალური პროგრამაც აითვისეს.

ქართულ ოცეულს ხელფასს, მართალია, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება გადაუხდის, მაგრამ სხვა დანარჩენ ხარჯებს მთლიანად გერმანული მხარე გაიღებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ოლიმპიადა დასრულდა



*დამოუკიდებლობის წლებში საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალი.*

## შემეცნების ტკივილი

ნიკა იმნაიშვილი

არაფერი ისე ზუსტად არ მეტყველებს საზოგადოების ცნობიერ მდგომარეობაზე, როგორც საზოგადო დისკუსიათა დონე და ტონალობა. სამწუხაროდ, ამ მხრივ განვლილი ათწლეულების განმავლობაში ბევრი არც არაფერი იცვლება. დისკუსია ჩვენში კვლავაც აღიქმება, როგორც ერთგვარი "ბრბოდსასეირო" სანახაობა (რაც ჭეშმარიტი მკითხველის შეურაცხყოფაა), რომლის დროსაც, რაც უფრო პრიმიტიულად ირონიული იქნები ("აბა, კაცო, აბა", "დახე მაგ დამპლებსა"), - მით უფრო "დამაჯერებლად" წარმოჩინდები თვალისმდევნებელთათვის, რომელთა არცთუ მცირე ნაწილი დისკუსიას "ენამახვილობათა შეჯიბრად" უფრო აღიქვამს, ვიდრე საზრისთა.

აქედან გამომდინარე, ძალიანაც რომ არ გინდოდეს, ადრე თუ გვიან მაინც იძულებული ხდები, გაერიო მარაზმში და დაიწყო იმის მტკიცება, რომ არ გავხარ სამკუზიან აქლემს, არა ხარ კრემლის აგენტი, არა გაქვს არანაირი "ძირგამომთხრელი "გათვლა", არ ასრულებ მოზამბიკის სპეცსამსახურთა დავალებას მოსახლეობის "დასაშინებლად", არა ხარ "ფაშისტი" და სხვა ამგვარი.

რასაკვირველია, ეს ყოველივე ოპონირების მდაბალ დონესა და არგუმენტების სიმწირეზე მეტყველებს, ამდენად ასეთ დისკურსში არც ჩავებმებოდი (რაკი მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ დისკუსია აზრთა ჭიდილია და არა ოპონენტის შეურაცხყოფის უნარი), თუ არა ერთი საინტერესო გარემოება.

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოს ხელისუფლება ოს მინისტრს აბიჟებს

ნინო გომართელი

რუსეთის მხარდაჭერით შეგულიანებული ოსი სეპარატისტები ახალ-ახალი ისტორიების მოგონებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

რუსული ყოველდღიური ელექტრონული გაზეთი "Утро" ბოლო დროს აქტიურად და დიდი სიამოვნებით უთმობს ყურადღებას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათთან საკმაოდ ვრცელ ინტერვიუებს აქვეყნებს.

სულ ორიოდ დღის წინ გამოქვეყნდა ინტერვიუ ედუარდ კოკოითთან, რომელმაც საკუთარი უდანაშაულობა და რუსეთისადმი მორჩილება "დაამტკიცა".

ამჯერად, "Утро"-მ გამოაქვეყნა ინტერვიუ სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ რობერტ გულიევთან, რომელმაც გამაოგნებელი და, ამავე დროს, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზული განცხადება გააკეთა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე - შეესაბამება თუ არა სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია, რომ ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში აქტიურად იყენებდა პანკისის ხეობაში მცხოვრებ ჩეჩენ მებრძოლებს, დე ფაქტო შს მინისტრი პასუხობს: **"ჩვენები თვალს ადევნებდნენ მოწინააღმდეგეებს და პანკისის ხეობიდან ჩამოსულ მებრძოლებს. მეტსაც გეტყვით, ჩვენებმა იქ ზანგებიც კი ნახეს. ქართველებს გადმოჰყავდათ როგორც ჩეჩნები, ისე უცხოელი დაქირავებული მებრძოლები. ისინი ქართულმა მხარემ იქვე, ახლო-მახლოს გადაიყვანა, რომ ისევ გამოიყენოს".**

რაც შეეხება გულიევის სხვა, ნაკლებ სასაცილო განცხადებებს, მისი თქმით, კონფლიქტის ზონაში

გაგრძელება A2 გვერდზე

### ეკონომიკა

**"კანონი ყველაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს"**



ენერგოომბუდსმენი სემეკ-ს მუნიციპალური ორგანიზაციებისადმი უკანონო რევერანსებში ადანაშაულებს.

A4

### უცხოეთი

**„კანონის ძალაუფლებით", ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნები მაინც „შედგა"**



არჩევნები - ჩეჩნეთში აღმავლობის ხანის დადგომის კიდევ ერთი რუსული ზღაპარი.

A5

### საზოგადოება

**დიდი დილმის ექსპერიმენტი**

"დიდი დილმის ექსპერიმენტი" - თბილისის მერიისა და "თბილწყალკანალის" ერთობლივი პროექტია, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდა. უკვე გამოცხადებულია წყლის მრიცხველების ტენდერი და შერჩეულია საექსპერიმენტო უბნები და კორპუსები.

A6

### სამართალი

**72 წლის მოხუცი მხოლოდ მდიდრების სახლებს ქურდავდა**



A7

### ამინდი

| | 30/8 | 31/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 33 |
| ქუთაისი | 32 | 34 |
| ბათუმი | 29 | 31 |
| სოხუმი | 27 | 29 |
| ფოთი | 28 | 31 |
| თელავი | 33 | 32 |
| ზუგდიდი | 30 | 33 |
| გორი | 30 | 30 |
| ახმეტა | 33 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1755 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2384 |
| რუბლი | 0.0616 |

A2 ამბები | A3 თვალსაზრისი | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ხმამაღლა ფიქრი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## კონტრაბანდულ ტვირთს მაღალჩინოსნები მფარველობენ

კონკრეტულად რომელი მაღალჩინოსნები მფარველობენ კონტრაბანდულ ტვირთს, რომელიც აზერბაიჯანიდან შემოდის, ჯერ კიდევ უცნობია. თუმცა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, მათი ვინაობა სულ ცოტა ხანში გახდება ცნობილი. ის, რომ აღურიცხავი საქონლით დატვირთული "ტრაილერების" ქვეყნის ტერიტორიაზე უპრობლემოდ შემოსვლას მაღალჩინოსნები უწყობენ ხელს, გუშინ კიდევ ერთხელ, ამჯერად კახეთის საოოლქო პროკურორმა დაადასტურა. თუმცა, სამხარეო პროკურორი კონკრეტული მაღალჩინოსნების ვინაობის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის კახეთის განყოფილებამ გუშინ, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის საავტომობილო გზაზე, აღურიცხავი საქონლით დატვირთული "ტრაილერის" ტიპის ორი ავტომანქანა დააკავა. როგორც გაირკვა, მძღოლებს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ელექტრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი გადაჰქონდათ. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ტვირთი, რომლის წონა 11 ტონაა, შიდასაბაზრო გადაზიდვის დოკუმენტში 15 ათას დოლარადაა შეფასებული, სინამდვილეში კი მისი ღირებულება, წინასწარი შეფასებით, 0,5 მილიონ დოლარს აჭარბებს. სავარაუდოდ, ავტომანქანები აზერბაიჯანში დაიტვირთა. მანამ კონტრაბანდული ტვირთის მფარველი მაღალჩინოსნები დასახელდებიან, გუშინ დაკავებული აღურიცხავი ტვირთის მფლობელებს ბიუჯეტის სასარგებლოდ საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ.

*24 საათი*

## დამნაშავე პოლიციელებმა გაქცევა და მიმალვა შეძლეს

საპატრულო პოლიციამ ცხინვალის რეგიონში, სოფელ ქერეთთან საეჭვო ავტომანქანა გააჩერა. ავტომანქანაში მყოფმა, შს გორის სამმართველოს თანამშრომელმა ბესარიონ მაისურაძემ და ყოფილმა პოლიციელმა ჯონდო სტეფანოვმა კოლეგებს წინააღმდეგობა გაუწიეს და გაქცევა შეძლეს. დაკავებული ავტომანქანა კი კონტრაბანდული სიგარეტით დატვირთული აღმოჩნდა. ავტომანქანიდან სამართალდამცველებმა 5000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღეს. ავტომანქანაშივე იპოვეს მაისურაძისა და სტეფანოვის პირადობის მოწმობები, რომლებიც შს სამინისტროს მიერაა გაცემული, ამოღებულია, აგრეთვე, მაისურაძის კუთვნილი ტაბელური იარაღი. გაქცეულ პოლიციელებზე ძებნა გამოცხადდა. სამართალდამცველები იმედოვნებენ... უქრებიან, რომ სტეფანოვისა და მაისურაძის საქმის გამოძიებას განსაკუთრებული სიმკაცრით მოეკიდებიან. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძრა. გაქცეულ და მიმალულ დამნაშავე პოლიციელთა ადგილსამყოფელის დასადგენად ტარდება ოპერატიული ღონისძიებები. "მაისურაძის და სტეფანოვის ქმედება არის არა უბრალოდ დანაშაული, არამედ ღალატი თანამშრომლებისა და, საერთოდ, პოლიციის მიმართ," – ასე აფასებენ მომხდარს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში. სამართალდამცველთა მონაცემებით, სტეფანოვს და მაისურაძეს სიგარეტი ცხინვალიდან შემოვლითი გზებით გორში შემდგომი რეალიზაციისთვის გადაჰქონდათ.

*24 საათი*

## „დემილიტარიზაციამ ცხინვალის რეგიონში საქართველოს პოზიციები გააუარესა"

ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ ცხინვალის რეგიონში რამდენიმე დღის წინათ დაწყებულმა დემილიტარიზაციის პროცესმა საქართველოს პოზიციები გააუარესა.

მისი თქმით, მართალია, ამჟამად იქ ინტენსიური სროლის ხმა არ ისმის და, შესაბამისად, მსხვერპლიც არ არის, თუმცა მსგავსი შემთხვევები ბოლო, "მშვიდობიან" წლებშიც არ ფიქსირდებოდა.

"ბოლო დროს იქ დაწყებულ საბრძოლო მოქმედებამდეც ვლინდებოდა და ახლაც ვლინდება სისხლის სამართლის დანაშაულები, მათ შორის - ადამიანის გატაცების, კრიმინალური და კონტრაბანდული ფაქტები. გარდა ამისა, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ცხინვალის ზოგიერთი სტრატეგიული სიმაღლე, რომელსაც ადრე არავინ აკონტროლებდა, დღეს დაკავებული აქვთ ე.წ. სამშვიდობოებს. მათში კი საქართველო მხოლოდ მესამედს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, დემილიტარიზაციის ინიციატივამ ჩვენი პოზიციები გააუარესა", - განმარტავს ხმალაძე და დასძენს, რომ ცხინვალის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა დადებითი შედეგი იმ თვალსაზრით გამოიღო, რომ ამ დაკონსერვებული კონფლიქტისადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიქცევა შეძლო.

*მედია-ნიუსი*

## სამხედრო კათედრებთან დაკავშირებით კანონპროექტი მზადდება

საქართველოს პარლამენტი პირველივე საშემოდგომო სესიაზე მეორე და მესამე მოსმენით განიხილავს კანონპროექტს სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ.

კანონპროექტი პარლამენტში პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივით შევიდა, რომლის თანახმადაც, სამხედრო სავალდებულო სამსახური, 18 თვის ნაცვლად, 12-ით განისაზღვრა.

როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დავით კირკიტაძემ "მედია-ნიუსთან" ინტერვიუში განაცხადა, პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტის თანახმად, სამხედრო სამსახური უმაღლესდამთავრებული პირებისთვის განსაზღვრული იყო 6 თვით, თუმცა იგი 12 თვით შეიცვალა.

დავით კირკიტაძის თქმით, მზადდება კანონპროექტი უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო კათედრებთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, უნდა შეიცვალოს სწავლების მეთოდი სამხედრო კათედრებზე. თუ ეს მეთოდი არ გაამართლებს, სამხედრო კათედრების გაუქმების საკითხი დადგება.

სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მეორე და მესამე მოსმენით დამტკიცების შემთხვევაში კი, იმ პირებზე, რომლებიც სამხედრო კათედრებს გაივლიან, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ვრცელდება.

*მედია-ნიუსი*

# საქართველოს სამშვიდობო მისია ფართოვდება



*ქართული სამშვიდობო ოცეული ჯერ გერმანიაში გაივლის მომზადებას და შემდეგ გაემგზავრება ავღანეთში.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

**"ქართველი მებრძოლები ისევე იქნებიან უზრუნველყოფილნი ტყვია-წამლით, მედიკამენტებით, ჩასაცმელით, საყოფაცხოვრებო ნივთებითა და საკვებით, როგორც გერმანელი სამხედრო მოსამსახურეები,"** - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, რომელმაც გუშინ ალექსეევკის შვეულმფრენთა საავიაციო ბაზიდან საჩხერის ბატალიონის ჯარისკაცები გერმანიაში გააცილა.

მინისტრის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას განზრახული აქვს, სამშვიდობო კონტინგენტი ერაყშიც გაზარდოს და მალე იქ, ასეულის ნაცვლად, ერთი ბატალიონი იმსახურებს. ბარამიძის აზრით, რთულ პირობებში სამსახურის გავლა ქართველ მეომრებს დიდად დაეხმარება საბრძოლო ჩვევების შეძენაში, რასაც, თავის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ჯარის მშენებლობის საქმეში.

ჯარისკაცთა გერმანიაში გაცილების ცერემონიაში, გიორგი ბარამიძის გარდა, მონაწილეობდა, აგრეთვე, გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილე ლევან ნიკოლეიშვილი და საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილე მირკეი შილბახი.

**"თქვენზე დაკისრებული ამოცანა სიცოცხლისთვის საშიშია, მაგრამ ეს არჩევანი თითოეულმა თქვენგანმა ნებაყოფლობით გააკეთა. სამშვიდობო ოპერაციის დროს მუდამ გახსოვდეთ, რომ საქართველოს შვილები ხართ და მაღლა გეჭიროთ თქვენი სამშობლოს დროშა,"** - ასეთი საბრძოლო-პატრიოტული პათოსით გაისტუმრა თავდაცვის მინისტრმა ქართველი მებრძოლები გერმანიაში.

თავად ჯარისკაცები და მათ გასაცილებლად აეროდრომზე მისული ოჯახის წევრები კი საფრთხეზე ნაკლებად ფიქრობენ.

**"ჩემს შვილიშვილს კახა ჯიქიას ისე ვაცილებ, რომ არანაირი შიში არა მაქვს. მჯერა, რომ უკან საღსალამათი დაბრუნდება. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ კახა და მისი მეგობრები კარგად არიან მომზადებულნი,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში ბეჟან გელაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, თავადაც ყოფილი სამხრედროა და ლენინგრადის სამხედრო სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

გაძლიერებული ოცეულის წევრებთან ნათესავებისა და მეგობრების დამშვიდობება და გზის დალოცვა გუშინ დიდხანს გაგრძელდა, იმაზე "შეთანხმებით", რომ სამი თვის შემდეგ შეხვედრაც სიხარულით იქნება დამუხტული.

# „ძალოვანთა" აქციები საქართველოს საელჩოსთან

ამ დღეებში მოსკოვში საქართველოს დიპლომატიურ მისიასთან აქციებს მართავენ რუსეთის თითქმის ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისა და პარტიის ახალგაზრდა წარმომადგენლები. პარალელურად, საელჩოს წინ ოსი და აფხაზი ახალგაზრდებიც ახორციელებენ პიკეტებს.

ორგანიზატორთა აზრით, 30 აგვისტოს აქცია უფრო გრანდიოზული და შთამბეჭდავი იქნება, "იმ პოლიტიკის პასუხად, რასაც საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთში ახორციელებს." მოპიკეტეთა გაღიზიანებას იწვევს თბილისში რუსეთის საელჩოს წინ მიმდინარე აქციებიც.

გასულ შაბათს კი, საქართველოს საელჩოს წინ ერთობ საეჭვო პირებიც შეგროვდნენ. დაახლოებით თხუთმეტამდე სპორტული აღნაგობის მოპიკეტე ლუდის ბოთლების დიდი მარაგით დღის 11 საათზე ორგანიზებულად გამოცხადდა პიკეტზე. 30-40 წლის მამაკაცები ორი საათის განმავლობაში იდგნენ საელჩოს წინ, სვამდნენ ლუდს, ეწეოდნენ სიგარეტს და ჟურნალისტებთან საუბარს გაურბოდნენ. "ბეზ კომენტარიევ," - გამოგვიცხადა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, რომელიც მანქანიდან სპეციალური რაციით ლობეზე გაკრულ პლაკატებს ახმოვანებდა. მოპიკეტეები ორი საათის განმავლობაში ქართველ დიპლომატებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ საბჭოთა კავშირის დროინდელი პატრიოტული სიმღერებით – "შიროკა სტრანა მოია როდნაია", "დენ პობედი", "ლეტიატ ჟურავლი".

აქციის შესამოწმებლად შავი "ჯიპ-ჩეროკით" მოვიდა ათლეტური გარეგნობის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც, ვიღაცასთან მობილურზე კარგა ხნის საუბრის შემდეგ, მანქანიდან ლუდის ბოთლების ახალი პარტია გადმოიღო. ჩვენს შეკითხვაზე, თუ კონკრეტულად რომელ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, "მომმარაგებელმა" ასე გვიპასუხა - მე სამხედრო ვარ და ინტერვიუს არ ვიძლევიო.

მოპიკეტეთა "ძალოვან" წარმომავლობას ადასტურებდა შემდეგი ფაქტიც: ჟურნალისტებმა ერთ-ერთ მოპიკეტეში რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერის დიმიტრი როგოზინის პირადი დაცვის ყოფილი თანამშმრომელი ამოიცნეს.

ამ საეჭვო აქციის საინტერესო დეტალი: დღემდე მოსკოვში საქართველოს საელჩოს წინ გამართული მიტინგების მონაწილენი თავად ითხოვდნენ სიტყვას საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად. ამჯერად მოპიკეტეები ტელეკამერების წინ სახეებს მალავდნენ, თავად კი ორი კამერით აფიქსირებდნენ აქციის მიმდინარეობასა და იქ მომუშავე ჟურნალისტებს. საყურადღებოა ისიც, რომ საელჩოს შენობის გვერდით მდებარე სკვერში, ამ აქციის ორგანიზატორი "ბოევიკური" აღნაგობის პირები მილიციის ქვედანაყოფის უფროსს ღიმილით ესაუბრებოდნენ, ისე, როგორც ეს კოლეგებს შეჰფერით.

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*

# საქართველოს ხელისუფლება ოს მინისტრს აგიჟებს

პირველი გვერდიდან

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები სწორედ რომ საქართველოს მიერ იყო პროვოცირებული და ეს იყო გენოციდის მცდელობა, რასაც საქართველოს ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლით ნიღბავდა.

აქვე, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი აჭარას და იქ მომხდარ, რიგით მეორე "ვარდების რევოლუციასაც" არ ივიწყებს. **"ისტერიის მოწყობა არ არის საჭირო, აქ აჭარის ვარიანტი არ გავა. სამხრეთ ოსეთი არის რეგიონი, სადაც რუსეთის მოქალაქეები ცხოვრობენ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს იურისდიქციაში არასოდეს მოექცევა. ჩვენ აჭარა არ ვართ და ჩვენ ვერ მოგვისყიდიან. ჩვენ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღეთ. ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, სააკაშვილი კარგია თუ ცუდი, და აღარც მისი მიზნები თუ მუქარა გვაინტერესებს. გაგვიგეთ, ჩვენ არ გვსურს პურში ლარების გადახდა, ჩვენ პურის ყიდვა მანეთით გვინდა,"** – გულის ამაჩუყებელ ტექსტს წარმოთქვამს რობერტ გულიევი.

ამასთანავე, იგი სიტყვებს არ იშურებს, რათა დაგვმოძღვროს და თანაც, საქართველოს ხელისუფლების უუნარობა დაამტკიცოს.

**"მართალია, ზურაბ ჟვანია დარბის და გაიძახის, პროფიციტული ბიუჯეტი გვაქვსო, მაგრამ სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლების პრობლემა არის ის, რომ მას საკუთარი თავის შენახვა არ შეუძლია. როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა, რომ მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, 15 ათასზე მეტი თანამშრომელი გაათავისუფლა? ეს იმიტომ, რომ ამ რაოდენობის ხალხის გამოკვება არ შეუძლიათ. ამდენი პოლიციელის გარეთ გამოყრას საკადრო რეფორმას უწოდებენ და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში დანაშაულთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა,"** – ნიშნის მოგებით საუბრობს სეპარატისტი შინაგან საქმეთა მინისტრი და იქვე ამატებს: **"არშემდგარი საქართველოს ხელისუფლება ჭკუიდან მშლის".**

სამაგიეროდ, რობერტ გულიევი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის სექტემბრიდან, სამხრეთ ოსეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების, პირველ რიგში, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები ხელფასს რუსეთის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიიღებენ.

**"შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა 98 პროცენტი რუსეთის მოქალაქეა. ჩვენთან უკვე რუსეთის პენსიები რიგდება,"** – ბოლო სიტყვას გვაწევს თვითგამოცხადებული შინაგან საქმეთა მინისტრი.

■ ■ ■

ჩეჩნურ ინტერნეტგვერდზე **"kavkazcenter"** გუშინ გამოქვეყნებული სტატია, სახელწოდებით "ომის ზღურბლზე", საქართველოში და, კერძოდ, სამაჩაბლოში არსებულ ვითრებას ეხმაურება. საინტერესოა ავტორის ფსევდონიმი - დათა თუთაშხია.

ავტორი ამტკიცებს, რომ როგორც ქართული, ისე რუსულ-ოსური მხარე არაფერს საკუთარ სახელს არ არქმევს და რეალობას მალავს, და ეს ყველაფერი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება. მისი აზრით, რუსეთის აგრესია საქართველოს მიმართ იმით აიხსნება, რომ საქართველოს "მფარველებს" ახლა მისთვის არ სცალიათ.

**"ამჟამად, ორივე მხარე ომისთვის ემზადება. ცხინვალში უკვე შეყვანილია უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკა და იქ ეგრეთ წოდებული "მოხალისეები" რუსეთიდან დღემდე ჩადიან,"** – წერს "დათა თუთაშხია".

მისივე განცხადებით, ამ სიტუაციაში სააკაშვილს სხვა გამოსავალი არ აქვს, გარდა იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს მის ტერიტორიაზე არსებული პრობლემები და ჩეჩნეთი შეახსენოს.

**"თუმცა, ქართული პოლიტიკური ელიტის სუსტი მუქარა მოსკოვის მიმართ, რომ თბილისს შეუძლია, ოსეთის გამო, ჩეჩნურ მხარეს დაუახლოვდეს, ნაკლებად უნდა მივიღოთ სერიოზულად. ეს იმ ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ საკითხზე გადაწყვეტილებები მიიღება ვაშინგტონში და არა სააკაშვილის კაბინეტში. ვაშინგტონი კი ჩეჩნეთის მიმართ თავის სიძულვილს არ მალავს,"** – წერს ავტორი.

რაც შეეხება სამაჩაბლოში ამჟამად არსებულ ვითარებას, იქ დისლოცირებულ ქართულ სამხედრო დანაყოფებში როტაცია დაიწყო. ქართველ ცისფერჩაფხუტიანებს თავდაცვის სამინისტროს საჯარისო შენაერთების პირადი შემადგენლობა ცვლის.

სამშვიდობო ძალების ქართულ ბატალიონს კონტინგენტით გათვალისწინებული რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკაც გადაეცა.

ცხინვალის რეგიონში ქართულ პოზიციებზე ნატო-ს სტანდარტებით მომზადებული მე-11 ბრიგადის ჯარისკაცები განლაგდებიან.

## მოკლედ

### კოკოითის ხელისუფლებამ N1 მტერი დაასახელა

ოსი სეპარატისტების "შავ სიაში" პირველი ადგილი შს მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს უკავია, ხოლო რიგითი ადგილები "ერგოთ" ლიახვის ხეობის მაჟორიტარ დეპუტატს გურამ ვახტანგაშვილს და პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში მიხეილ ქარელს.

ამ 30-კაციან სიაში სეპარატისტებმა ის ქართველები შეიყვანეს, რომელთა წინააღმდეგ ფიზიკურ ანგარიშსწორებას აპირებენ.

"შავი სიის" არსებობის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინათ, ოსური ბანდიტური ფორმირების წევრების მიერ დაკავებულმა მალხაზ კობერიძემ გაახმაურა. მათ კობერიძე სასტიკად სცემეს და "შავი სიაც" გააცნეს. **მედია-ნიუსი**

### ბათუმი საუნივერსიტეტო ქალაქად ჩამოყალიბდება

აჭარის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით, მზადდება უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის პროექტი, რომელიც ბათუმის საუნივერსიტეტო ქალაქად ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

როგორც აჭარის განათლების მინისტრმა ალექსანდრე გეგენავამ სააგენტო „მედია-ნიუსს" განუცხადა, ბათუმში მოქმედი ყველა უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიეროკვლევითი და სახელოვნებო ინსტიტუტები ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდება. თუმცა, თითოეული მათგანი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება და სტატუსიც განესაზღვრება. "მსგავსი რეფორმა კარგად აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნებში. ამ პროექტის განსახილველად რამდენიმე დღეში ბათუმს ეწვევიან განათლებისა და კულტურის მინისტრები. პროექტის საჯარო განხილვის მიზნით, შესაძლოა, შეიქმნას ბიურო, რომელშიც განათლებისა და მეცნიერების სფეროში მომუშავე სპეციალისტები და ცნობილი საზოგადო მოღვაწეები გაერთიანდებიან", - განმარტავს გეგენავა.

მისივე თქმით, რეფორმა სასწავლებლების ფუნქციების შეზღუდვას არ გამოიწვევს. "სპეციალობები განისაზღვრება სოციალური მოთხოვნებიდან გამომდინარე. კერძოდ, რამდენი სწავლული სჭირდება რეგიონს", - აღნიშნავს მინისტრი. **მედია-ნიუსი**

### გუშინ დილით თბილისში ორი მკვლელობა მოხდა

გუშინ დილით თბილისში ორი მკვლელობა მოხდა. თუმცა, ორივე ცხელ კვალზე გაიხსნა. ორივე მკვლელობის მიზეზი ურთიერთშელაპარაკება გახლდათ. მეტროს სადგურ "სამგორთან" მდებარე ბაზრობის, "შავი გედის" თანამშრომელმა კობა ბასიაშვილმა ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა თანამშრომელი გია კაჭკაჭიშვილი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თუმცა, მეტროპოლიტენის სადგურ "რუსთაველის" დაცვის პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი კობა ბასიაშვილი მკვლელობიდან რამდენიმე წუთში დააკავა.

მეორე მკვლელობა გლდანი-ნაძალადევის რაიონში მოხდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა სოსო თადიაშვილმა შორს გაქცევა ვერ მოასწრო, ის უკვე წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. მისგან დანით მძიმედ დაჭრილი ლაშა სილაგაძე ადგილზევე გარდაიცვალა. სხვათა შორის, გუშინ გლდანი-ნაძალადევის რაიონის თანამშრომლებმა ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე ვინმე იმედა ერემოვი დააკავეს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დაკავებული ადრე ჩადენილი მკვლელობისთვის ძებნილი აღმოჩნდა.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცავებმა გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში დააკავეს ავტომანქანა "ფორდტრანზიტი", რომლის მძღოლს, რუსთაველ 32 წლის ამბაკო ჯალაბაძეს, თბილისელ 40 წლის ავთანდილ ქავთარაძესთან ერთად, 5.000 ლარის ღირებულების განუბაჟებელი სამრეწველო საქონელი გადაჰქონდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ზუგდიდში მდებარე აფთიაქ "ნინოს" მეპატრონე, 65 წლის ნანი სალინაძე, რომლის აფთიაქიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული 36 აბი ტრამალი, 4 ფირფიტა ფენაზეპამი, 4 ფირფიტა დიაზეპამი, ერთი ფირფიტა ამინაზინი და 10 ამპულა დიაზეპამი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ზუგდიდის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნმერეში მცხოვრები, 43 წლის გია ტულუში, რომლისგანაც ამოიღეს 0.00134 გრამი ბუპრენორფინი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილი, 31 წლის დავით აპრიამოვი, რომელიც 10 მაისს უზნაძის ქუჩაზე, პირთა ჯგუფთან ერთად, ყაჩაღურად თავს დაესხა ტაქსის მძღოლ ნოდარ ქურხულს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ძირითადი ტენდენცია

# შემეცნების ტკივილი

პირველი გვერდიდან

ერთ-ერთ წინა სტატიაში (რომელსაც პირველი გამოხმაურება მოჰყვა) ვწერდი, რომ გასული წლის დემოკრატიულ რევოლუციაში მეტისმეტად ფართო საზოგადოებრივმა კოალიციამ მიიღო მონაწილეობა და ამ კოალიციის ზოგიერთი (თანაც საკმაოდ გავლენიანი და სოციალურად აქტიური) სეგმენტი უეჭველად უკმაყოფილო დარჩება მოვლენათა შემდგომი განვითარებით.

ნოემბერში ქართული საზოგადოება, რა თქმა უნდა, კონსოლიდირებული იყო. მაგრამ კონსოლიდირებული იყო შევარდნაძის წინააღმდეგ და არა "პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში" განსახორციელებელი რაიმე კონკრეტული პროექტის გარშემო.

როგორც მოსალოდნელი იყო, პროექტი, რომლის განხორციელება რევოლუციის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულმა ხელისუფლებამ დაიწყო, სულაც არ აღმოჩნდა იდენტური რევოლუციის მონაწილე ზოგიერთი ჯგუფის თავდაპირველი (რევოლუციისდროინდელი და უფრო ადრინდელი) მისწრაფების და მოლოდინისა.

ბუნებრივია, ამ სოციალურ სეგმენტთა წევრ თითოეულ ინდივიდს "პოსტშევარდნაძისტული ეპოქის" საკუთარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, "პიროვნული პროექტი" ჰქონდა, რომელიც ინდივიდუალურ მისწრაფებებს, მსოფლმხედველობასა და რწმენას ემყარებოდა. მაგრამ თანდათან გაირკვა, რომ საზოგადოების (მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის) არჩევანი (ანუ ის, რაც ნოემბერში, სინამდვილეში, საზოგადოებამ აირჩია მიხეილ სააკაშვილის "ნაციონალური პროექტის" სახით) არ არის შესაბამისი მისი პიროვნული არჩევანისა.

ამ რეალობის გაცნობიერება (მისი შემეცნება) ინდივიდისათვის მეტად მტკივნეულია. ძალიან მარტივად თუ ვიტყვით, როდესაც რეალობა (ამ შემთხვევაში მოვლენათა განვითარება) ადამიანის განწყობას, მის რწმენით კატეგორიებს, პერსონალურად აღიარებულ ფასეულობებს არ შეესაბამება, იწყება "შემეცნებითი კრუნჩხვა" - შინაგანი დისჰარმონიის მართლაც ძალზე მტკივნეული პროცესი.

სოციოფსიქოლოგიაში ამას "კოგნიტიური დისონანსი" ეწოდება. თანაც ეს სწორედ ფსიქოლოგიური პრობლემაა და არა ინტელექტუალური. ამ პროცესში ადამიანი ხდება აგრესიული. მათ შორის იმ ოპონენტებისა და თვით ფაქტების მიმართ, რომლებიც მას მისთვის არასასურველ რეალობაზე, საზოგადოების მისგან განსხვავებულ არჩევანზე მიუთითებენ. იგი ცდილობს "არ გამოუტყდეს საკუთარ თავს", არ აღიაროს რეალობა, ან შეცვალოს იგი და რაკი ეს არ ხერხდება – "შემეცნების კრუნჩხვა" კიდევ უფრო ზრდის გაღიზიანებასა და აგრესიას. ლეონ ფესტინგერი "კოგნიტიურ დისონანსს" – "პიროვნული არჩევანის შეუსაბამობას" უწოდებდა.

■ ■ ■

აი, უკვე რამდენიმე კვირაა, ერთ-ერთი ოპონენტი რაღაც უცნაური აგრესიით, გაღიზიანებითა და გაანჩხლებით მაკრიტიკებს. მკითხველი დამეთანხმება, რომ დღემდე აბსოლუტურად კორექტული ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გასულ კვირას გამოქვეყნებულ წერილს გავეცანი, იძულებული ვარ იმავე ტონალობაში ვუპასუხო.

თავდაპირველად, თვით საგნის თაობაზე. აქ ავტორი, როგორც იტყვიან, "პრობლემებს შორის დაიკარგა" და ისეთ საკითხებზე მსჯელობს, რასაც წერილში (ოსური "დესტაბილიზატორი") საერთოდ არ შევხებივარ.

იძულებული ვარ, ძალიან მოკლედ ზოგიერთი რამ გავიმეორო: რუსეთს, "სამხრეთ ოსეთის" სახით, საქართველოში აქვს მძლავრი "დესტაბილიზატორი", რომელიც მრავალმხრივ ხელს უშლის საქართველოს განვითარებას. თუ რატომ და რა მიზნით სჭირდება ეს რუსეთს, ამის თაობაზე ქვემოთ. ამჟამად კი, თვით "დესტაბილიზატორის" თვისობრიობაზე. მას მდგომარეობისა და ფუნქციონირების სამი "ხარისხი", სამი სტადია აქვს: "გაყინული კონფლიქტი", "დაბალი ინტენსივობის ომი", "სრულმასშტაბური ომი".

განვლილი 12 წლის განმავლობაში "დესტაბილიზატორი" "გაყინული კონფლიქტის" სტადიაში იმყოფებოდა. ძირითადი მადესტაბილიზირებელი ფაქტორი კი ის იყო, რომ (პრეზიდენტის აღიარებით) "სამხრეთ ოსეთიდან" შემოედინებოდა კონტრაბანდის ნამდვილი "ჩანჩქერი", რაც ანადგურებდა ქვეყნის ეკონომიკას: ათეულობით და ასეულობით მილიონი ლარით აზარალებდა ბიუჯეტს (არა მხოლოდ საკუთრივ საბაჟო შემოსავლების დანაკლისის, არამედ დემპინგური ფასებით ადგილობრივი წარმოების ჩაკვლის შედეგად); შლიდა შიდა ბაზარს; ანგრევდა ბიზნესის წარმოების ერთიან "თამაშის წესებს"; არ აძლევდა საშუალებას ქვეყანას, ჩამოეყალიბებინა ჯანსაღი და სამართლიანი კონკურენციის ტრადიცია (არადა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია); უაზრობად აქცევდა ინვესტირებას წარმოებით დარგებში (რაკი დემპინგთან კონკურენცია შეუძლებელი ჩანდა); ამწვავებდა სოციალურ პრობლემებს; ართულებდა საქართველოს თანამშრომლობას საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან, დონორ ქვეყნებთან, დასავლელ პარტნიორებთან და ა. შ.



იური ლობოდინის ფოტო

ნოემბერში ქართული საზოგადოება, რა თქმა უნდა, კონსოლიდირებული იყო. მაგრამ კონსოლიდირებული იყო შევარდნაძის წინააღმდეგ და არა "პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში" განსახორციელებელი რაიმე კონკრეტული პროექტის გარშემო.

დაახლოებით ანალოგიური პრობლემა არსებობდა აჭარასთან (იქ - გარკვეული სპეციფიკით), წითელ ხიდზე და აფხაზეთთან დაკავშირებით, მაგრამ თვით "სამხრეთ ოსეთის" გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ეკონომიკური საზღვრის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ სწორედ ამ რეგიონში იდგა.

ამრიგად, ქვეყნის ხელისუფლებამ მიიჩნია (სავსებით სამართლიანად), რომ კონტრაბანდის შეწყვეტის, ანუ ამ აზრით დესტაბილიზატორის "გაუვნებლების" გარეშე, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, ბიუჯეტის ზრდა და საერთო-სამეურნეო ვითარების გაჯანსაღება შეუძლებელი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, როდესაც მაისში ხელისუფლება ამ საკითხის გამწვავებას იწყებდა, "სამაჩაბლოს დაბრუნება" მას აზრადაც არ მოსვლია, რაკი შესანიშნავად უწყოდა, რომ ეს მხოლოდ შემდეგ ეტაპზე გადასაწყვეტი პრობლემა იყო. ძირითად ამოცანად სწორედ კონტრაბანდის აღკვეთა ჰქონდა დასახული და ყველაფერი, რასაც ხელისუფლება აკეთებდა, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. "ჰუმანიტარული შტურმის" დანიშნულებაც ის გახლდათ, რომ არ მიეცა კოკოითის რეჟიმისთვის (და მისი მხარდამჭერებისათვის) იმ ყალბი შთაბეჭდილების შექმნის საშუალება, თითქოს საქართველოს ხელისუფლება "ოსური მოსახლეობის მოხრჩობას ცდილობს ეკონომიკური ბლოკადით" ანუ, შოვინისტური ქვენაგრძნობი ამოძრავებს.

თვით "შემოვლით გზაზე" ქართული საჯარისო ფორმირებების განლაგებაც მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა - გიორგი ხაინდრავამ პირდაპირ განაცხადა: "ოღონდ ოსური და რუსული მხარეები დაგვითანხმდნენ როკის გვირაბთან საქართველოს ფინანსური პოლიციის სამიოდე უიარაღო წარმომადგენლის დაყენებას და ჩვენ დაუყოვნებლივ გავიყვანთ ყველა შეიარაღებულ ფორმირებას სამხრეთ ოსეთიდან".

თანაც, ამის პარალელურად, თვით კონფლიქტის არსის გადაწყვეტის თვალსაზრისითაც, საქართველო უპრეცედენტო დათმობებზე წავიდა. ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ მზად არის ცნოს "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" (და არა "ოსური მხარე") მოლაპარაკებათა სუბიექტად და გააფორმოს მასთან ფედერაციული ხელშეკრულება, ანუ "მიანიჭოს იმდენივე სუვერენიტეტი, რამდენსაც ფლობს "ჩრდილოეთ ოსეთი" რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში". მაშასადამე, თბილისი ამ არაპოპულარულ (და შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით სარისკო!) გადაწყვეტილებისთვისაც კი მზად იყო, ოღონდ გააუვნებელეყო "დესტაბილიზატორი", თუნდაც მხოლოდ კონტრაბანდის შემოდინების თვალსაზრისით მაინც.

მაგრამ პასუხად, მოწინააღმდეგემ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენა. კონფლიქტის რეგიონში ამოქმედდა რუსულ-ოსური სამხედრო ფორმირება, რომელსაც წვრთნა ჩრდილოეთ ოსეთში ჰქონდა გავლილი და ბრწყინვალედ იყო შეიარაღებული. მათ შორის იმ აპარატურითაც (მაგალითად, ღამის ხედვის ხელსაწყოებით), რაც ქართულ ქვედანაყოფებს არ გააჩნდათ.

რუსეთმა "გაყინული კონფლიქტი" გადაიყვანა შემდგომ (ესე იგი "დაბალი ინტენსივობის ომის") სტადიაში. რამდენიმე დღის განმავლობაში ვითარება მერყეობდა "დაბალი ინტენსივობის ომსა" და "სრულმასშტაბურ" საომარ კონფლიქტს შორის. დაიწყო გააფთრებული ბრძოლები, რომელსაც მზარდი ინტენსიურობის დინამიკა ჰქონდათ.

სამწუხაროდ, ქართულმა გენერალიტეტმა სამხედრო კამპანია (ბოლო დღეს განხორციელებული ოპერაციის მიუხედავად), მთლიანობაში, უნიჭოდ და წარუმატებლად წარმართა. ამას დაემატა მეორე ფაქტორი: დასავლეთმა, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა რუსეთის მოთხოვნას კონფლიქტის "გაყინულ სტადიაში" დაბრუნების შესახებ. ამ ორი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედების შედეგად, საქართველო იძულებული გახდა(!) უკან დაეხია, კონფლიქტის ზონიდან შეიარაღებული ძალები გამოეყვანა და "დესტაბილიზატორის" თავდაპირველ სტადიაში ("გაყინული კონფლიქტის" მდგომარეობაში) დაბრუნებაზე დათანხმებულიყო.

დაუყოვნებლივ შეწყდა ყოვლად უსინდისო ანტიქართული ისტერია რუსული მედიით და "სამხრეთ ოსეთში სრულმა სიმშვიდემ დაისადგურა". ეს ბუნებრივიცაა. მოწინააღმდეგემ მიზანს მიაღწია და შესანიშნავად იცის: იმ ვითარებაში, როდესაც საქართველო როკის გვირაბს ვერ აკონტროლებს, რაც უფრო მტკიცე და იდილიური მშვიდობა დამყარდება "სამხრეთ ოსეთში", მით უარესი საქართველოსათვის, რაკი "დესტაბილიზატორი" მით უფრო შეასრულებს თავის მთავარ ფუნქციას და საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა "საცრით წყლის ზიდვას" დაემსგავსება.

ძალიან ვშიშობ, სულ რაღაც 5-6 თვის შემდეგ, "სტატუს-კვო" უკვე მთლიანად აღდგება. ეს კი ქვეყანაში ვითარების მორიგი, ხანგრძლივი "დაჭაობების" პერიოდის დასაწყისი გახდება. მაშასადამე "დაბალი ინტენსივობის" ომის თავიდან აცილება საქართველომ მხოლოდ იმის ხარჯზე შეძლო, რომ უკან დაიხია.

ოპონენტს, ამასთან დაკავშირებით, გაუგებარი არგუმენტი მოაქვს: **"ის გარემოება, რომ საკუთარ საზღვართან მუდმივი "დესტაბილიზატორი" გჭირდება, სულაც არ მეტყველებს შენს სასარგებლოდ. უფრო მეტიც, არანაირად არაა ბუნებრივი და თავისთავად გასაგები. ავტორი ვერ აღწევს დამაჯერებლობას."**

ვის სასარგებლოდ არ მეტყველებს. რუსეთის თუ საქართველოს? მერედა ვინ თქვა, რომ რუსეთის "სასარგებლოდ მეტყველებს"?

რუსეთს სულაც არ ეპიტნავება სამხედრო დაძაბულობა თავის საზღვრებთან (ამ შემთხვევაში "სამხრეთ ოსეთში"). მისთვის იდეალურია ვითარება, როდესაც "დესტაბილიზატორი" "გაყინული კონფლიქტის" სტადიაში იმყოფება და მშვიდად, უხმაუროდ, ყოველგვარი სისხლისღვრისა და საერთაშორისო რეზონანსის გარეშე აკეთებს თავის საქმეს – ხილული ძალისხმევის გარეშე ანგრევს ეკონომიკას, აფერხებს საქართველოს განვითარებას, მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესს. მოსკოვმა მხოლოდ იმიტომ გადაიყვანა ოსური "დესტაბილიზატორი" "გაყინული კონფლიქტის მდგომარეობიდან " "დაბალი ინტენსივობის ომის" სტადიაში, რომ საქართველომ მისი გაუვნებლება სცადა! თუ თბილისი ამას არ შეეცდებოდა, ერგნეთის ბაზრობას არ დახურავდა, გზებზე დამატებით პოსტებს არ განალაგებდა, სეპარატისტულ რეჟიმს შემოსავლის წყაროს არ გადაუკეტავდა, ანუ მაისამდელ "სტატუს-კვოს" არ შეეხებოდა, ამ რეგიონში არაფერიც არ მოხდებოდა!

**"თავისთავად ნაგულისხმევია, რომ ცხინვალის ომი შესაძლებელია სრულიად დაგვირგვინდეს სამხედრო გამარჯვებით — ეს კი შეუწყნარებელი პოლიტიკური სიბეცეა."**

აქ ელემენტარული ლოგიკური შეუსაბამობაა. მე ვწერდი, რომ რუსეთი არ მოგვცემს საშუალებას, ავიღოთ ცხინვალი, "გავფანტოთ" ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დავუქვემდებაროთ როკის გვირაბი (რაც გამორიცხავს შემდგომში პარტიზანული ომის წარმოების შესაძლებლობას). რატომ არ იქნება ეს სამხედრო გამარჯვება ან თუნდაც თვით პრობლემის გადაწყვეტა? ჩვენ ხომ ვამბობთ, რომ პრობლემას ქმნის კოკოითი, მისი გარემოცვა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, თორემ ოსური მოსახლეობის უმრავლესობა სულაც არ არის წინააღმდეგი, იცხოვროს საქართველოს "ფედერაციული რესპუბლიკის" შემადგენლობაში. მაშასადამე, უნდა ვაღიაროთ ის, რისი აღიარებაც არ გვინდა: კოკოითი მართალია, როცა აცხადებს, რომ მას მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს და "ქართველებმა ხელის გულზე ერბო-კვერცხი რომც მოიწვან (მისი "ნაიზრევი" სწორედ ასე ჟღერს შინაარსობრივად), ოსი ხალხი მაინც აღარ დაეთანხმება საქართველოს თუნდაც ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში ცხოვრებას, რაკი ქართველებმა გასული საუკუნის განმავლობაში ორი გენოციდი მოგვიწყვეს".

რაც შეეხება იმას, რომ ცხინვალის აღება კონკრეტულ შემთხვევაში სისხლს გამოიწვევს და სწორედ ეს განაპირობებს შემდგომ შეურიგებლობას, როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლებას ეს არც უცდია და ამგვარი მიზანი საერთოდ არ ჰქონია. პირიქით – ყოველნაირად ცდილობდა სამხედრო დაპირისპირება თავიდან აეცილებინა, რაკი მსხვერპლი არ სურდა, მაგრამ დამოკიდებულება ამით იოტისოდენად არ შეცვლილა.

სინამდვილეში, პრობლემას ძალისმიერი გადაწყვეტა არ გააჩნია არა იმიტომ, რომ არ შეიძლება ჰქონდეს პრინციპში, არამედ იმიტომ, რომ ამის საშუალებას რუსეთი არ მოგვცემს. ხოლო თუ ამ დებულებას არ ვეთანხმებით, მაშინ კეთილი ვინებოთ და ისიც ვაღიაროთ, რომ პრობლემას საერთოდ არა აქვს გადაწყვეტა – არც სამხედრო და არც მშვიდობიანი.

თუმცა, აქ ჩვეული გულუბრყვილო მისწრაფება მჟღავნდება, რომლის შესაბამისადაც ტერიტორიული მთლიანობა კი გვინდა, მაგრამ ისე, რომ "ერთი ბავშვის ცრემლადაც არ ღირდეს".

ამასთან დაკავშირებით ოპონენტი სვამს ლოგიკურად კიდევ უფრო (ასე ვთქვათ ამჯერად) "მოულოდნელ" კითხვას: **"სხვანაირად შევხედოთ საკითხს: მოსკოვმა "საშუალება მოგვცა", ავიღოთ ცხინვალი და გავაბნიოთ ოსური ფორმირებები. ნუთუ ამგვარად ბოლო მოეღება მოსკოვის სწრაფვას მუდმივი "სისხლივით თბილი" დაძაბულობა შეინარჩუნოს საქართველოში? ცხინვალის აღება შიშველი ფაქტი იქნება, რომელსაც საზრისს უკვე ამლები კი არა, სხვა მიანიჭებს. რატომ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ეს საზრისი ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება?**

მე ვამბობ, რომ რუსეთი ამის საშუალებას არ მოგვცემს. ოპონენტი კი უშვებს ალბათობას, რომელიც მე არ დამიშვია და, უკვე ამ დაშვების საფუძველზე, ქმნის საწინააღმდეგო არგუმენტს.

თუ რუსეთი საქართველოს ოსური "დესტაბილიზატორის" გაუვნებლების საშუალებას მისცემს (ესე იგი, მოცემულ შემთხვევაში, საქართველო მოიგებს "დაბალი ინტენსივობის ომს" (იგივე "პარტიზანულ ომს"), ამით იგი უკვე ვერც ერთ შემთხვევაში ველარ ისარგებლებს, ისევე, როგორც რუსეთი ვეღარანაირ "საზრისს" ვეღარ მიანიჭებდა აჭარის "დესტაბილიზატორის" გაუვნებლებას მას შემდეგ, რაც ეს უკვე მოხდა. სწორედ ამიტომაა მტკნარი სისულელე შეხედულება, თითქოს "აჭარა რუსეთმა დაუთმო სააკაშვილს". აჭარაში რუსეთი საქართველომ უბრალოდ დაამარცხა, რაკი (საბედნიეროდ) აჭარლები არ აღმოჩნდნენ მზად, ესროლათ თანამოძმეთათვის, გადაეყვანათ კონფლიქტი "დაბალი ინტენსივობის ომის" ან "სრულმასშტაბური ომის" სტადიაში და ამით შეეშალათ ხელი "დესტაბილიზატორის" გაუვნებლებისათვის.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: "სისხლივით თბილი დაძაბულობის" შენარჩუნება (ანუ "დაბალი ინტენსივობის ომი") მოსკოვს ხელს აძლევს და სჭირდება მხოლოდ მანამ, სანამ საქართველო პრობლემის გადაწყვეტას და "სტატუს-კვოს" შეცვლას ცდილობს. როგორც კი ეს მცდელობა შევწყვიტეთ და იძულებული გავხდით, წინა სტადიაში დაბრუნებას დავთანხმებოდით (ესე იგი - "გაყინული კონფლიქტის"), როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით იდილიური მშვიდობა დამყარდა და არსებობს რეალური საშიშროება, რომ სულ რამდენიმე თვის შემდეგ "დესტაბილიზატორი" ძველებური ძალით ამოქმედდება ანუ კონტრაბანდის გამანადგურებელი "ჩანჩქერი" ისევ დაიძვრება.

თუ მტერი (მაინც იმედი ვიქონიოთ) ამას ვერ მოახერხებს, ეს ისევ და ისევ დაღუპული ვაჟკაცების დამსახურება იქნება, რაკი მათ სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს და ამით ხელისუფლებას მიანიჭეს მორალური უფლება, უმკაცრესად მოეპყროს ქვემძრომებს, რომლებიც, საკუთარი გამორჩენის მიზნით, "საფლავში აფურთხებენ" გმირებს, ვინც თავი დადო, რათა რუსეთს საქართველოსათვის სახელმწიფოებრივი მომავალი ვერ წაერთმია.

ამის შემდეგ პრეს-ომბუდსმენი აღიარებს, რომ ჩემი სახით იმგვარ "მონსტრს" შეეჩეხა, რომელმაც აიძულა "ერთი ისეთი რამ ეთქვა, რაც არასდროს უთქვამს". ანუ, რედაქციისათვის ესაყვედურა, ცენზორის ფუნქცია რატომ არ შეასრულეთ და ეს ნაწილი სტატიიდან რატომ არ ამოიღეთო. არადა, რა ვთქვი ასეთი "მონსტრუალური"? **"თუ ძალიან არ დასჭირდა, რუსეთი არც ოსებს მისცემს საშუალებას, სამხრეთ ოსეთი ქართველი მოსახლეობისაგან გაწმინდონ ან გორის მიმართულებით განავითარონ მძლავრი შეტევა. ნუ გაიკვირვებთ, ვლადიკავკაზში "ერთიანი დიდი ალანიის" იდეოლოგები ამგვარ სცენარსაც ამუშავებენ".**

ოპონენტი კი მსაყვედურობს: **"ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს ასე ჰაიჰარად არ განიხილავენ. სერიოზულ ბრალდებას სერიოზული დასაბუთება სჭირდება, მსგავსი განცხადებები კი სრულიად არაპროდუქტიულ და გაუმართლებელ სიძულვილს აღვივებს მკითხველში."**

დასაბუთება გნებავთ? ინებეთ:

ა) საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას, "ჩრდილოეთ ოსეთის" პრეზიდენტმა, ალექსანდრე ძასოხოვმა განაცხადა: "ყოველი გასროლა სამხრეთ ოსეთში, უდიდეს რეზონანსს იწვევს ჩრდილოეთ ოსეთში და თბილისში ვერც კი წარმოუდგენიათ, რამდენად შორსმიმავალი (!) შეიძლება აღმოჩნდეს საპასუხო რეაქცია".

ბ) "სამხრეთ ოსეთის" პრეზიდენტმა, ედუარდ კოკოითმა საგანგებოდ მიმართა ქართული სოფლების მაცხოვრებლებს და გააფრთხილა ისინი, რომ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გასცემდა ბრძანებას ეს სოფლები დაებომბათ და მათზე იერიში მიეტანათ, თუ ისინი თავად გააძევებდნენ იქედან ქართულ ფორმირებებს.

გ) საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, გრიგოლეთში გამოსვლისას საგანგებოდ აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთიდან ჯარების გამოყვანით საქართველომ შეძლო თავიდან აეცილებინა სრულმასშტაბური ომი და შეენარჩუნებინა ქართული სოფლები, რომელთა დაცლას (თუ "დაწვას") მტერი აპირებდა.

დ) შინაარსობრივად ანალოგიური განცხადებები გააკეთეს პარლამენტის თავმჯდომარემ, თავდაცვის მინისტრმა, უშიშროების მინისტრმა, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ და ა. შ.

ბუნებრივია, "დიდ ალანიაში" (მე კიდევ შევარბილე და მის იდეოლოგად ბატონი ძასოხოვი არ დამისახელებია) მისი ადეპტები გულისხმობენ "ერთიან და განუყოფელ ოსეთს" ვლადიკავკაზიდან – ცხინვალამდე. რაც შეეხება "გორის მიმართულებით შეტევას" და "ქართული სოფლების ეთნოწმენდას", ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეცდებოდნენ (სხვა საქმეა, რამდენად გაახერხებდნენ), თუ საქართველო რეგიონიდან ჯარს არ გამოიყვანდა. ასეთ ვითარებაში, გორის მიმართულებით შეტევას თვით სამხედრო მოქმედებათა ლოგიკა უკარნახებდათ და არა "დიდ ალანიასთან" ახალი ტერიტორიების შემოერთების სურვილი. ანუ, მათთვის ეს "ბუფერული ზონის" შექმნა იქნებოდა (საიდანაც შეუძლებელი გახდებოდა ეთნოწმენდის საპასუხოდ ცხინვალის პერმანენტული საარტილერიო დაბომბვა) ისევე, როგორც სომხეთმა შექმნა "ბუფერული ზონა" ყარაბაღის გარშემო აზერბაიჯანის ექვსი რაიონის დაპყრობით. თუმცა, მათი სრული ინკორპორაცია არც უფიქრია და მზად არის დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები ამ ზონიდან. ოღონდ, რასაკვირველია, ყარაბაღის უსაფრთხოებისა და სამომავლო ხელშეუხებლობის იურიდიულ გარანტიათა სანაცვლოდ.

■ ■ ■

ზოგადად, ჩვენში ამ საკითხებზე დისკუსიისას, სტრიქონებს შუა ხშირად იკითხება კითხვა: "მაშ სად არის გამოსავალი, რატომ გამოსავალს არ ასახელებთ?". აქ, ისევ და ისევ, მენტალური თავისებურება მჟღავნდება. წინა წერილში ვწერდი, რომ "სოვკოვური" მენტალიტეტი ცნებებს მხოლოდ შავ-თეთრ რაკურსში განიხილავს. იმავე მენტალიტეტის კიდევ ერთი მახასიათებელია "გადაუწყვეტად პრობლემათა" შეუძლებლობის რწმენა. ანუ, ამ მენტალიტეტის მატარებელი ადამიანისათვის (თანაც, განურჩევლად მისი მსოფლმხედველობისა – კომუნისტი იყო იგი თუ დისიდენტი), კატეგორიულად გაუგებარი და მიუღებელია, რომ შეიძლება არსებობდეს პრობლემა, რომელსაც გადაწყვეტა პრინციპში არ გააჩნია. ანუ, გადაუწყვეტადობა მისი არსი და თვისებაა. მაგრამ "სოვკოვური" მენტალიტეტისათვის ეს გაუგებარია. მას მიაჩნია, რომ ყველა პრობლემას უნდა ჰქონდეს (არ შეიძლება არ ჰქონდეს) გადაწყვეტა – საბოლოო ანგარიშში "ერთადერთი სწორი მოძღვრების" საფუძველზე მაინც. დღეს, იმავე მენტალიტეტის (მენტალიტეტი ძნელად ცვალებადია) მატარებელი ადამიანი თვლის, რომ ნებისმიერი პრობლემა მაინც შეიძლება გადაწყდეს, თუ არა "მარქსიზმ-ლენინიზმის", მაშინ ლიბერალური ცივილიზაციის მიერ შექმნილ ღირებულებათა სისტემის საფუძველზე. თუ ამ სისტემის საფუძველზე იმოქმედებ, ადრე თუ გვიან ყველა პრობლემას უეჭველად გადაჭრი. არადა, განსხვავებით "მარქსიზმ-ლენინიზმისაგან", ლიბერალიზმი ღირებულებათა რეალური სისტემაა და "გადაუწყვეტადი პრობლემების" არსებობის შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, აღიარებს. "სოვკოვურ" მენტალიტეტს ამას ვერ აუხსნი, რაკი "გადაუწყვეტადი პრობლემის" არსებობის შესაძლებლობა ისევე აშინებს და აძრწუნებს, როგორც სამყაროს უსასრულობა ან სიკვდილის შეუცნობადობა. აქედან მომდინარეობს სწორედ ეჭვი, რომ მე საზოგადოებას (ალბათ სპეცსამსახურთა დავალებით) "ვაშინებ". სინამდვილეში მე კი არ ვაშინებ, თავად ეშინია. არ შეიძლება შეაშინო ის, რაც (ვინც) ისედაც "შეშინებულია".

■ ■ ■

**"სახელმწიფოები განხილულია როგორც სრულიად ჰომოგენური და ერთიანი ნებით დაჯილდოებული ინდივიდები. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ანალიზის ილიკო-ილარიონისეული დონეა: "რას უჩივა გერმანია... რას უჩივა იაპონია".**

ჰმ. . . . ილიკო-ილარიონს ენაცვალოს ჩემი თავი. ისე, რა ამის პასუხია და, ძალიან მომწონს ერთი ბოლოდროინდელი მინიატურა, გურული გლეხი (ზედგამოჭრილი "ილარიონი") სოციალური აღმატებულობის პრეტენზიის მქონე ფსევდოინტელექტუალს რომ ეუბნება, თუ გინდა გათხოვებო.

სახელმწიფოები, რა თქმა უნდა, არ არიან "სრულიად ჰომოგენური და ერთიანი ნებით დაჯილდოვებული ინდივიდები", მაგრამ სახელმწიფოებს, როგორც მდგრად, მრავალგვარ რესურს-მომხმარებელ და განახლებად სისტემებს, უდავოდ აქვთ სტრატეგიული და საუკუნეთა მანძილზე ძნელად ცვალებადი ინტერესები. ამიტომაც არსებობს გეოპოლიტიკაში "სტრატეგიული მოკავშირის", ისევე, როგორც თვით "სახელმწიფო სტრატეგიის" (ინტერესთა განხორციელების გრძელვადიანი პოლიტიკის) ცნებები..

ეს არც მე მითქვამს და არც ილიკო-ილარიონს. ეს თქვა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, რომლის "დიადი საჭადრაკო დაფა" ევროატლანტიკური ელიტის სამაგიდო წიგნად ითვლება.

მე დავსვი ბუნებრივი კითხვა: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხთა გადაწყვეტაში (ესე იგი ქვეყნის მთლიანობის აღდგენაში) რუსეთის მხარდაჭერის მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლება მზად არის რუსეთის მიმართ წავიდეს შემდეგ დათმობებზე:

1) დააკანონოს რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე. შევარდნაძე ამას აპირებდა 25 წლით. დღევანდელი ხელისუფლება, - "ანტიტერორისტული ცენტრის" ფორმით.

გაგრძელება A8 გვერდზე

# ჩინეთის ეკონომიკა საფრთხის წინაშე დგას

თორნიკე შარაშენიძე

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით, ჩინეთმა კვლავაც უნდა მიიღოს ზომები ეკონომიკური ზრდის შენელებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას სერიოზული რეცესია ელის.

ჩინეთის ეკონომიკური ზრდა წელს 9 პროცენტს შეადგენს. ეს უკვე არაბუნებრივად მაღალი მაჩვენებელია. ამგვარი ტემპები აშშ-შიც კი იწვევს შეშფოთებას, სადაც ეკონომიკა გაცილებით უფრო განვითარებულია და საბაზრო მექანიზმიც, დიდი ხანია, ჩამოყალიბდა. 90-იანი წლების ბოლოს ამერიკაში უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა, რის საპასუხოდაც ფედერალურმა რეზერვმა (ადგილობრივმა ცენტრალურმა ბანკმა) საგანგებო ზომები მიიღო – საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა, რათა შემცირებულიყო სამეწარმეო აქტივობა და თავიდან აცილებულიყო ინფლაცია. საბოლოოდ, ეს მიზანი მიღწეულ იქნა. ეკონომიკის კანონების შესაბამისად, აღმასვლის მერე ამერიკას ჩავარდნის პერიოდი დაუდგა, მაგრამ ჩავარდნა ქვეყანამ საკმაოდ უმტკივნეულოდ გადაიარა (11 სექტემბრის მოვლენათა მიუხედავად) და ახლა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკა კვლავ აღმავლობას განიცდის.

ჩინეთში კი "ეკონომიკის გადახურება", ცხადია, გაცილებით უფრო სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევს. მთავრობამ უკვე მიიღო ზომები, რათა კომერციულმა ბანკებმა შეზღუდონ სესხების გაცემა. მეტისმეტად დიდი ოდენობით გაცემულმა კრედიტებმა შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს. უკვე აშკარაა, რომ ჩინეთში ერთობ შეუსაბამო განსხვავებაა, ერთი მხრივ, უძრავ ქონებაში დიდძალ დაბანდებებსა და მეორე მხრივ, მოძველებულ ინფრასტრუქტურასა და ენერგიის დეფიციტს შორის. მთელი ქვეყნის მასშტაბით არნახული მშენებლობები მიდის, მთელი ტერიტორია ახალი, ბეტონის ცათამბჯენებით, ხიდებითა და ქარხნებით იფარება. ეს მაშინ, როცა ინფრასტრუქტურა უკვე გადატვირთულია, ენერგეტიკული პრობლემები კი - კვლავაც მოუგვარებელი.

საგანგაშო ნიშნები უკვე გამოჩნდა, ნედლეულზე ფასებმა იმატა. მთავრობის განცხადებით, ჯერჯერობით, ინფლაციამდე საქმე არ მიდის (სამომხმარებლო კალათა სულ 2,8 პროცენტით გაძვირდა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით), მაგრამ თუკი შიდა ინვესტიციათა მოცულობა ასეთი ტემპით გაიზარდა და ეკონომიკამაც ამგვარი სისწრაფით განაგრძო ზრდა, ინფლაცია მეტად და მეტად რეალური გახდება. ეკონომიკის აღმასვლას ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მოსდევს, რასაც ხელფასების ზრდა მოჰყვება. ეს უკანასკნელი კი ინფლაციას იწვევს.

მაგრამ სავალუტო ფონდის განცხადებით, მიღებული ზომები კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს. ჩინურ ბანკებს სახელმწიფო საწარმოებისაგან დიდძალი ვალები აქვთ ამოღებული; სპეციალისტთა გათვლებით, ამოუღებელი ვალები მთელი სესხების 45 პროცენტს შეადგენს. თუმცა, ამის მიუხედავად, ბანკებს გასაცემი ფული დიდი ოდენობით აქვთ იმ გარემოების წყალობით, რომ ჩინელები "აქტიური მეანაბრეები" არიან. სწორედ ასეთ ვითარებაშია საჭირო კონტროლი, რათა მოქალაქეთა ანაბრები უპერსპექტივო და არამომგებიან პროექტებში არ დაბანდდეს. მთავრობამ უკვე მკაცრი შეზღუდვა დაადო მეტალურგიულ სფეროზე კრედიტების გაცემას (ეს სფერო ისედაც გადავსებულია), მაგრამ შეზღუდვები სხვა სექტორებზეც უნდა გავრცელდეს.

სავალუტო ფონდმა ასევე გააკრიტიკა ჩინური ვალუტის, იუანის დოლარზე მიბმის პოლიტიკაც, რაც მნიშვნელოვნად აიაფებს ჩინურ ექსპორტს, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობს ინფლაციას ქვეყნის შიგნით. ინფლაციას ხელს უწყობს ასევე დიდძალი საგარეო ინვესტიციები, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტი.

## მოკლედ

### ღვინის ქარხნები ყურძენს 45 თეთრიდან 2 ლარამდე ჩაიბარებენ

გურჯაანის რაიონის ღვინის ქარხნები წლევანდელ სეზონზე 16 ათას ტონამდე ყურძნის შესყიდვას აპირებენ. დადგენილია სხვადასხვა ჯიშის ყურძნის მიღების ფასებიც. საფერავის ჯიშის ყურძნის ერთ კილოგრამს - ორ ლარამდე, ხოლო თეთრ (სხვადასხვა ჯიშის) ყურძენს 45-50 თეთრად ჩაიბარებენ. "რაიონში, ივლისის თვეში, ძლიერმა სეტყვამ ჰექტრობით ვენახი დააზიანა. წინასწარი ინფორმაციით, სულ 20 ათას ტონა თეთრი ჯიშის ყურძენს, ხოლო 5 ათასამდე ტონა საფერავს ველით. რაიონის გამგეობის წევრები 11 ქარხნის მფლობელებს შევხვდით და ფასებზეც შევთანხმდით," - განაცხადა გურჯაანის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა აკაკი სიხარულიძემ.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ევროკომისიამ განაცხადა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთათვის 4 მილიონი ევროს ოდენობის ჰუმანიტარული დახმარების გამოყოფის შესახებ. დახმარების მთავარ ადრესატებად ორივე მხრიდან იძულებით გადაადგილებული პირები იქნებიან. გამოყოფილი თანხით დევნილებისთვის, პირველ რიგში, საკვებ პროდუქტებს, წამლებს და სამედიცინო მოწყობილობებს შეიძენენ. თანხის ხარჯვას ევროკომისიის ჰუმანიტარული ბიურო გააკონტროლებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იანვარ-აგვისტოს შემოსავლების გეგმა საგადასახადო დეპარტამენტმა 100,9 პროცენტით, ხოლო საბაჟომ 100,5 პროცენტით შეასრულა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, გეგმა აქციზებისა და მსხვილგადამხდელთა ინსპექციებმაც გადაჭარბებით შეასრულეს. აქციზების ინსპექციამ გეგმას 2,9 პროცენტით, ხოლო მსხვილგადამხდელთა ინსპექციამ 0,5 პროცენტით გადააჭარბა. 8 თვის შემოსავლების გეგმის გადაჭარბების მიუხედავად, საქართველოს ზოგიერთ რაიონში დაბალია აგვისტოს თვის საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების დონე. ბათუმის, ქედას, ხულოს, თელავის, ქუთაისის, დმანისის, რუსთავის, ხაშურის, დიდუბე-ჩუღურეთის, შუახევის, ჭიათურას, ახალქალაქის, ონის, ლენტეხის, ხობის, თეთრიწყაროს და ისან-სამგორის საგადასახადო ინსპექციებმა 80 პროცენტზე დაბალი მაჩვენებელი აჩვენეს. "ეს მაჩვენებელი აშკარად არ არის ის შედეგი, რომელსაც ქვეყანა ფისკალური სამსახურებისგან მოითხოვს," – განაცხადეს ფინანსთა სამინისტროში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური დღეს ცხინვალის რეგიონში გამგზავრებას გეგმავს. როგორც მან "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, უკვე დასრულდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დამაკავშირებელი 4-კილომეტრიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის პრეზენტაციაც დღეს იგეგმება. ამიერიდან, ახალი ხაზის წყალობით, დიდი ლიახვის ხეობის ელექტრომომარაგება ცხინვალზე აღარ იქნება დამოკიდებული. მას ელექტროენერგიას პირდაპირ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მიაწვდის. **24 საათი**

# "კანონი ყველაზე თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს"

## ენერგოომბუდსმენი სემეკ-ს მუნიციპალური ორგანიზაციებისადმი უკანონო რევერანსებში ადანაშაულებს

ნიკა მარიამიძე

*ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების დამცველი დავით ებრალიძე კვლავ სემეკ-ის მიერ უკანონოდ მიღებულ გადაწყვეტილებებზე საუბრობს. ამჯერად ენერგოომბუდსმენის სამიზნედ თბილისის რამდენიმე ორგანიზაციის მიმართ სემეკ-ის მიერ დაშვებული შეღავათები იქცა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ენერგოომბუდსმენი მოუწოდებს სემეკ-ს, ძველი ხელმძღვანელების მიერ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს.*

**"თბილისის ორგანიზაციები "თბილწყალკანალი", "მეტრო, ტრამვაი-ტროლეიბუსების გაერთიანება" და "გარეგანათება" დენს კანონმდებლობის დარღვევით, ჟინვალიდან გენერაციის საშუალო-შეწონილ ტარიფზე დაბალი ფასით, თავად ჟინვალის ჰიდროსადგურის ტარიფით იღებენ. ეს უკანონობა სემეკ-მა დააწესა. შედეგად კი, დღეს ქართულ ენერგეტიკას ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ლარის ზარალი ადგება,"** – აცხადებს ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების დამცველი დავით ებრალიძე.

სემეკ-ის ამ გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც სხვა ყველას, საფუძვლად, ერთი შეხედვით, ძალზე სერიოზული არგუმენტაცია დაედო. კერძოდ კი ის, რომ ეს ორგანიზაციები მოსახლეობის სასიცოცხლოდ აუცილებელ ინტერესებს ემსახურებიან და, ვთქვათ, წყლის გადასახადი ან მგზავრობის ფასი ელექტროენერგიის ტარიფზეა დამოკიდებული.

გადაწყვეტილების მოტივაცია ისიც გახლდათ, რომ ჟინვალჰესი თბილისის წყალმომარაგებისთვის აშენდა და ახლა მისი ქონება თბილისის მუნიციპალური საკუთრებაა. სემეკ-მაც მიიჩნია, რომ "საკუთარი ჰესიდან" თბილისს შეღავათის მიღების სრული უფლება აქვს.

მაგრამ, როგორც ენერგოომბუდსმენი აცხადებს, ამ ჯენტლმენური ჟესტით თბილისმა (უფრო სწორად, თბილისის ბიუჯეტმა, და არა თბილისის მოსახლეობამ) შეღავათი საკუთარი ჰესის ტარიფიდან კი არ მიიღო, რაც ლოგიკური იქნებოდა, არამედ სხვა მხრიდან – მთელი საქართველოს ენერგოგენერაციის სექტორიდან. მოკლედ, გამოდის, რომ ენერგეტიკა და ელექტროენერგიის მომხმარებლები თბილისის ბიუჯეტის არაპირდაპირ სუბსიდირებას ეწევიან.

**"საკუთარს - "ჟინვალს" დღეს თბილისი სრულად უხდის გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურს, ხოლო საერთოდ არ ნაზღაურდება დანარჩენი საქართველოს ენერგოგენერაციის ობიექტების კუთვნილი თანხა - განსხვავება შეწონილ ტარიფთან. ამ დაუფინანსებელ ნაწილს ჩვენ, ყველა უბრალო მომხმარებელი ვანაზღაურებთ. გამოდის, რომ შეღავათი თბილისელ მაცხოვრებელს კი არა, მხოლოდ თბილისის ბიუჯეტს ეძლევა და, ისიც, თითოეული ჩვენგანის ხარჯზე. რატომ უნდა მიიღონ შეღავათი ჩვეულებრივი მომხმარებლების ხარჯზე ორგანიზაციებმა, რომელთაც ისედაც საკმარისი ლობისტები ჰყავთ? ამას ჯობს, სამასმილიონიანი ბიუჯეტის პატრონმა თბილისმა საკუთარი ენერგოპრობლემების მოსაგვარებლად ხუთი-ექვსი მილიონი ლარიც გამოძებნოს,"** – აცხადებს ებრალიძე და დასძენს, რომ სემეკ-ს ენერგეტიკის დარგისთვის საზიანო გადაწყვეტილებები მარტო თბილისის ორგანიზაციების მიმართ არ გამოუტანია. **"კომისიამ ენერგეტიკა "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმისთვის", აგრეთვე, "საქართველოს რკინიგზისთვის" დენის გამომუშავებაზე დაბალი ტარიფის დაწესებითაც აზარალა და ეს გადაწყვეტილებებიც უკანონო იყო. თუ კანონი ყველასათვის თანაბარი იქნება და ყველა ამ ორგანიზაციას შეღავათები გაუუქმდება, ისინი იძულებულნი იქნებიან, იბრძოლონ ერთიანი ტარიფის შესამცირებლად, რაც დღეს თითოეული ჩვენგანის ინტერესებში შედის,"** – ირწმუნება ენერგოომბუდსმენი და მოუწოდებს სემეკ-ს, ძველი ხელმძღვანელების მიერ დაშვებული შეცდომები გამოასწოროს.

# მოეწონებათ თუ არა ახალი კოდექსი ნავთობიმპორტიორებს

*ახალი საგადასახადო კოდექსის მთავარი ღირსება, რასაც ასე ხშირად გვახსენებენ მისი შემოქმედები, შემცირებული და გაუქმებული გადასახადებია. თუმცა, ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს "შემცირებული" საგადასახადო ტვირთი დარჩენილ გადასახადებზე ნაწილდება. ამის მაგალითად კი მოჰყავთ ნავთობპროდუქტების ერთ ტონა იმპორტირებულ საწვავზე აქციზის გადასახადის 40 ლარით გაზრდა ეკოლოგიის გადასახადის გაუქმების ფონზე, რომელიც, ასევე, ტონაზე 40 ლარს შეადგენს. ერთი სიტყვით, ახალ კოდექსში გადასახადები მცირდება და უქმდება, მაგრამ მეწარმეთათვის შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.*

დიანა ჩაჩუა

წინასწარი ინფორმაციით, ნავთობპროდუქტების აქციზის გადასახადი ერთ ტონა იმპორტირებულ საწვავზე, სავარაუდოდ, 40 ლარით გაიზრდება. ამ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროში ადასტურებენ. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ ანთელიძე აცხადებს, ამით საგადასახადო ტვირთი არ გაიზრდება. **"ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, ერთ ტონა იმპორტირებულ საწვავზე მოქმედი, ეკოლოგიის გადასახადი უქმდება, რომელიც საშუალოდ 40 ლარს შეადგენს. ეს ვალდებულება იმ 12 გადასახადშია მოქცეული, რომელიც ახალი კოდექსის ძირითადი პარამეტრებით 2005 წლიდან უქმდება. ასე რომ, მეწარმეებს იგივე ოდენობის თანხის გადახდა მოუწევთ,"** – განაცხადა ანთელიძემ.

აქციზი პირველი იანვრიდან, ახალი კოდექსის ამოქმედებისთანავე უნდა გაიზარდოს. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კოდექსის პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ნავთობპროდუქტები დიდი საგადასახადო განაკვეთებით იბეგრება და ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად, დისტრიბუტორი ერთ ტონა დიზელზე 100 ლარის ოდენობის აქციზის გადასახადს, ხოლო ერთ ტონა იმპორტირებულ ბენზინზე - 200 ლარს იხდის. ზურაბ ანთელიძე განმარტავს, რომ გაზრდილი გადასახადი მეწარმეს მძიმე ტვირთად არ დააწვება, რადგან, პარალელურად, შემცირდება საშემოსავლო, სოციალური და დამატებითი ღირებულების გადასახადები.

ეკონომიკური ექსპერტი სოსო სიმონიშვილი იზიარებს ახალ საგადასახადო კოდექსში მიმდინარე გადანაწილებით პოლიტიკას და აცხადებს, რომ **"ნავთობპროდუქტები გადასახადების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი წყაროა. ამიტომაც გაჩნდა აზრი, რომ შემცირებული გადასახადები ამ სექტორზე გადანაწილებულიყო."** იგი არ იწონებს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკას. მისი აზრით, სამინისტრომ უნდა გაითავისოს, რომ, როცა საგადასახადო ტვირთი მცირდება, ბიუჯეტის შემოსავლები კი არ მცირდება, არამედ იზრდება. **"მათ ამის არ სჯერათ. ეს არის ფინანსთა სამინისტროს ურწმუნო პოზიცია. ისინი ფიქრობენ, რომ ქართველებს რაც გინდა მსუბუქი საგადასახადო ტვირთი მისცე, ნებისმიერ შემთხვევაში მოიპარავენ. მთავრობამ გადასახადები კი არ შეამცირა, უბრალოდ, გადაანაწილა,"** – აღნიშნა ექსპერტმა.

ნავთობსექტორში მოღვაწე ბიზნესმენები აქციზის გაზრდას, ეკოლოგიის გადასახადის გაუქმების ფონზე, სასარგებლოდაც მიიჩნევენ. **"ადრე, სხვადასხვა უწყებაში ვიხდიდით გადასახადებს, ახლა კი 240 ლარს საბაჟოზე ერთიანად გადავიხდით. ნაკლები ბიუროკრატია და ფორმალობები გვექნება გასავლელი,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას კომპანია "კანარგო სტანდარტ ოილის" წარმომადგენელმა სოსო ფხაკაძემ.

როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა და რეალიზატორთა უფლებების დაცვის ასოციაცია "ნიას" თავმჯდომარემ გიორგი კოტრიკაძემ განაცხადა, თვით გადასახადის ზრდის ტენდენცია არ არის მისთვის მისასალმებელი, მაგრამ, ითვალისწინებს რა ეკოლოგიის გაუქმებულ გადასახადს, საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. პირიქით, იგი აცხადებს, რომ **"ამით ფასები შედარებით სტაბილური გახდება. მით უმეტეს, რომ სოციალური გადასახადებიც უქმდება."**

თუმცა, კოტრიკაძის ინფორმაციით, აქციზის გადასახადი, შესაძლოა, არსებული აქციზის 100 პროცენტითაც კი გაიზარდოს, ანუ, გაორმაგდეს. ამ შემთხვევაში კი, ექსპერტები და იმპორტიორები სიტუაციის გაუარესებას ელიან. **"არის ინფორმაცია, რომ აქციზი, შესაძლოა, 100 პროცენტით გაიზარდოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის მოსალოდნელი ნავთობპროდუქტებზე ფასების სერიოზული მატება. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასები საერთაშორისო ფასებით რეგულირდება, რასაც ოპეკ-ის წევრი ქვეყნები განსაზღვრავენ. ბოლო მონაცემებით კი, ბარელი ნავთობის ფასმა რეკორდულ მაჩვენებელს – 50 დოლარს მიაღწია,"** – განაცხადა გიორგი კოტრიკაძემ.

კომპანია "ლუკოილის" წარმომადგენლის გოჩა სულხანიშვილის განცხადებით, მასაც გააჩნდა ინფორმაცია აქციზის 100-პროცენტიანი (150 ლარით) შესაძლო ზრდის შესახებ. **"თუ სწორედ ეკოლოგიის გადასახადი გადააქვთ აქციზში, მაშინ ეს არაფერს ცვლის. ამ შემთხვევაში, ეს საწვავის ხუთი თეთრით გაძვირებას გამოიწვევს. მაგრამ თუ პროგნოზები გამართლდა და აქციზი 150 ლარით გაიზარდა, მაშინ ეს ბენზინზე ფასის 15 თეთრით გაზრდას გამოიწვევს. ასეთ სიტუაციაში ჩვენც ცუდ მდგომარეობაში აღვმოჩნდებით და მოსახლეობაც,"** – აღნიშნა მან.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე, საგადასახადო კოდექსის პროექტის პარლამენტში შესვლამდე, აღნიშნული საკითხის კომენტირებაზე უარს აცხადებს.

ის, რომ ახალ კოდექსს პარლამენტში ბევრი სერიოზული დარტყმის მოგერიება მოუწევს, უკვე აშკარაა. ნავთობიმპორტიორები დღეს კოდექსს არ აკრიტიკებენ და არც მის ოპონირებას აპირებენ. მაგრამ, თუ საგადასახადო წნეხმა მათ პროდუქციაზე ფასების გაზრდა აიძულა, ხელისუფლებას ამ ბიზნესის წარმომადგენელთა პოზიციაზე დაფიქრება კიდევ ერთხელ დასჭირდება, რადგან ეს უკანასკნელი საბიუჯეტო შემოსავლების სოლიდურ სეგმენტს ავსებს.



# „კანონის ძალაუფლებით", ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნები მაინც „შედგა"

ხათუნა გაბიევი



ჩეჩნეთში ალმავლობის ხანის დადგომის კიდევ ერთი რუსული ზღაპარი.

მას შემდეგ, რაც 9 მაისს, გამარჯვების დღეს, ჩეჩნეთის პრორუსული პრეზიდენტი აჰმად კადიროვი გროზნოს ცენტრალურ სტადიონზე აღლუმის დროს ააფეთქეს, რუსეთმა ჩეჩნეთს ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დაუნიშნა. ჩეჩნეთში გუშინ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ერთი წლის განმავლობაში რიგით უკვე მეორეა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რეგისტრირებულ შვიდ კანდიდატთაგან ყველა რუსული ორიენტაციის მქონე იყო. დანარჩენ მსურველებს უარი ეთქვათ – ზოგს მუდმივი საცხოვრებლის უქონლობის გამო (ასლან მასხადოვისა და შამილ ბასაევის შემთხვევაში), ზოგს კი პასპორტში დაბადების ადგილის არაწორად მითითების გამო (ჩეჩენ ბიზნესმენს მალიკ საიდულაევს რეგისტრაციაზე უარი სწორედ პასპორტში დაბადების ადგილად, "ჩეჩნეთ-ინგუშეთის" ნაცვლად, "ჩეჩნეთის" მითითებისთვის განუცხადეს). უდავო ფავორიტად, რა თქმა უნდა, ალუ ალხანოვი განიხილებოდა, რომელიც კრემლის მხრიდან აშკარა მხარდაჭერას არც მალავდა. გროზნოს ჩრდილოეთ ნაწილში მოწყობილ ერთ-ერთ საარჩევნო უბანს უზარმაზარი პლაკატიც ამშვენებდა, სადაც თავს იწონებდნენ ვლადიმირ პუტინი და მისი პროტეჟე ალუ ალხანოვი. ამ პლაკატს ასევე არანაკლებ შთამბეჭდავი ლოზუნგი ჰქონდა ქვეშ წარწერილი: "კანონის ძალაუფლება, ხალხის დაცვა, მშვიდობა და რესპუბლიკის აღორძინება".

ჩეჩნეთში გუშინ "ჩატარებულ" საპრეზიდენტო არჩევნებს, როგორც მოსალოდნელი იყო, მშვიდ ვითარებაში არ ჩაუვლია. დილის 10 საათზე ახალგაზრდა კამიკაძე-ტერორისტმა გროზნოში, ზავოდსკოის რაიონში, №360 საარჩევნო უბანთან, თავი აიფეთქა. თუმცა, ტერორისტის მოქმედებას მსხვერპლად სხვა ადამიანების სიცოცხლე არ შეუწირავს. ტერორისტის ვინაობა მალე დადგინდა. ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ის არც დანაშაულში იყო ოდესმე შემჩნეული და არც მილიციაში გახლდათ აღრიცხვაზე აყვანილი. ჩეჩნეთის ხელისუფლების განცხადებით კი, იგი აჯანყებულთა ჯგუფის წევრი გახლდათ, რომელსაც ჩეჩნური მილიცია ეძებდა. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია ქვეყნის სამხრეთში საარჩევნო უბნების გახსნამდე მომხდარი აფეთქებების შესახებ, რომელსაც მსხვერპლად რამდენიმე სამართალდამცველი და სამხედრო მოხელე შეეწირა. თუმცა, აჯანყებულთა მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია ოფიციალურმა ჩეჩნეთმა კატეგორიულად უარყო.

დღის განმავლობაში ვრცელდებოდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია საარჩევნო უბნებზე მისულ ამომრჩეველთა პროცენტული რაოდენობის შესახებ. რუსული საინფორმაციო წყაროებისთვის ჩეჩნეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის აბდულ კერიმ არსახანოვის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 20:00 სთ-ზე, საარჩევნო ყუთების დალუქვის შემდეგ, ამომრჩეველთა 79.29 პროცენტი იყო გამოცხადებული. "შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევნებში მონაწილეობა 80-მა პროცენტმა მიიღო", - განაცხადა არსახანოვმა. თანაც, ჩეჩენი მოსახლეობის გარდა, არჩევნებში მუდმივად დისლოცირებული შინაგანი ჯარი და სამხედრო ნაწილებიც მონაწილეობდნენ. დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე, აღნიშნულ ნაწილებში ხმის მიცემის პროცედურები თითქმის 100-პროცენტიანი მონაწილეობით დასრულდა. ჩრდილოკავკასიის რეგიონში საჯარისო შენაერთების მეთაურმა გენერალ-ლეიტენანტმა ვიაჩესლავ დადონოვმა აღნიშნული "წარმატება" საჯარისო შეანერთებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის კოორდინაციისა და ორგანიზებულობის მაღალ დონეს მიაწერა.

ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით 20 საერთაშორისო დამკვირვებელი, დსთ-ს, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის, ინდონეზიის, ბელორუსისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. რუსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია ჯერ კიდევ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე იმედოვნებდა, რომ ეუთო და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, თუმცა ცესკო-ს ხელმძღვანელის ალექსანდრ ვეშნიაკოვის მოლოდინი არ გამართლდა. დამკვირვებლის სტატუსზე ეუთო-მაც და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამაც უარი განაცხადეს.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების წინა დღეს ჩეჩნეთს ვიზიტით ეწვია ევროპის საპარლამენტო ასამბლეის შვიდკაციანი დელეგაცია ანდრეას გროსის მეთაურობით, მათი ვიზიტის მიზანი მხოლოდ ჩეჩნეთში მუჰაჯირებისა და რესპუბლიკაში ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხის შესწავლა იყო.

რაც შეეხება ჩეჩნეთში არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, საამისოდ ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისია: საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტო "AFP"-ს წარმომადგენელს გროზნოს ერთ-ერთმა მკვიდრმა განუცხადა: "მე ხმა ოთხ სხვადასხვა უბანზე მივეცი, გროზნოსა და მიმდებარე სოფლებში".

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ, როდესაც ჩეჩნეთი პრეზიდენტად აჰმად კადიროვს "ირჩევდა", რუსეთი ჩეჩნეთში მდგომარეობის ნორმალიზაციაზე აკეთებდა აქცენტს, თუმცა, რუსეთის "რჩეულის" სიკვდილმა ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობების რეგულირების ყოველგვარი იმედი გააქარწყლა. დღესაც, როდესაც რუსეთი პროცესის რეგულირებაზე ხმამაღლა საუბრობს, ექსპერტთა მიერ "ფარსად" შეფასებული არჩევნები კვლავინდებურად საპირისპიროს ამტკიცებს.

არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ხომ პრეზიდენტი პუტინი ჩეჩნეთის მომავალ პრეზიდენტს ალუ ალხანოვს ნავთობის მთელი მოგების ჩეჩნეთის ეკონომიკური სისტემის გაუმჯობესებისთვის მიმართვას დაჰპირდა. გარდა ამისა, ჩეჩნეთში ნაციონალური ელიტის, როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიკურის, შექმნა იგეგმება. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიარაღებულ ფორმირებათა პრობლემა მოგვარდება. აჯანყებულთა დაშოშმინების გზა კი მხოლოდ ორია: მათი სრული ლიკვიდაცია ან მათთან მოლაპარაკება. თუმცა, პუტინისეული "ნორმალიზაციის" პროცესის გათვალისწინებით, ორუელის წესებიდან - "ომი მშვიდობაა, ხოლო თავისუფლება - მონობა" – გადახვევა ხომ ტოტალიტარული სახელმწიფოს პრინციპებს ეწინააღმდეგება. მერე რა, რომ რუსეთს დემოკრატიული სახელმწიფოს ამბიცია აქვს, კგბ-ს სკოლაგავლილი პუტინი ხომ ტრადიციების დიდი მოყვარულია.

## ჩეჩნეთის არჩევნები უკანონოა

*გთავაზობთ განცხადებას, რომელიც ჩეჩნეთის პრობლემებზე მომუშავე ჯგუფების მიერ ევროსტრუქტურების ხელმძღვანელების მიმართ არის გაკეთებული. მიმართვა მიმდინარე წლის 27 აგვისტოს ინტერნეტ-საიტზე www.kavkazcenter.com გამოქვეყნდა.*

**ევროპარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ხოსე ბორელ ფონტელესს,**

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ბატონ პეტერ შიდერს,**

**ეუთო-ს თავმჯდომარეს ბატონ სოლომონ პასის**

**განცხადება**

რუსეთის ხელისუფლება, რომელმაც ჩეჩენი ხალხის მიერ 1997 წლის დემოკრატიული არჩევნების შედეგად მოპოვებული თვითგამორკვევის უფლებები ჩაახშო, უკვე მეექვსე წელია, რაც ჩეჩნეთში არადემოკრატიული წესრიგის ძალადობით დამკვიდრებას ცდილობს. სამხედრო მეთოდებით და ადრე შექმნილი დემოკრატიული სტრუქტურების ნგრევით დემოკრატიის აშენება შეუძლებელია.

რუსეთი ჩეჩნეთში ძალაუფლებას კრიმინალურ სტრუქტურებს ანიჭებს, რომლებსაც თვითნებობასა და დანაშაულზე დაფუძნებული განუსაზღვრელი უფლებები გააჩნიათ.

რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ 2003 წლის 23 მარტს ორგანიზებული საკონსტიტუციო რეფერენდუმი და იმავე წლის 5 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმურია, რაც აშკარა ფალსიფიცირებისა და ძალადობის მაგალითი გახლავთ.

მოცემულ მომენტში ჩეჩნეთში ნებისმიერი არჩევნები მიუღებელია. ამგვარ ვითარებაში, კანონიერ ხელისუფლებად პრეზიდენტი ასლან მასხადოვი და ჩეჩნეთის პარლამენტი რჩება.

2004 წლის 29 აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნები და მომდევნო საპარლამენტო არჩევნები შემდეგი მიზეზების გამო არალეგიტიმურად ითვლება:

ქვეყანაში 80 ათასი რუსი სამხედრო-მოსამსახურეა;

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე კომენდანტის რეჟიმი მოქმედებს;

ჩეჩნეთში მოქმედებენ როგორც რუსეთის სამხედრო "სიკვდილის ესკადრონები", ისე ადგილობრივი დამსჯელი რაზმები;

არსებული ბლოკ-პოსტებისა და დანაღმული ტერიტორიების გამო, ხალხის გადაადგილება გართულებული და სახიფათოა;

სიცოცხლის უფლება გარანტირებული არაა და შიშის ატმოსფერო მეფობს;

თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ არსებობს;

ჩეჩნეთში დამოუკიდებელ ჟურნალისტებსა და დამკვირვებლებს არ უშვებენ;

სავარაუდო "პრეზიდენტი" მოსკოვის მიერ უკვე დანიშნულია და არჩევნები მხოლოდ ხალხის ნების გამოხატვის იმიტირებას მოახდენს, როგორც ეს სტალინის რეჟიმის დროს იყო მიღებული.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის პირველ მუხლში (16.12.1966) ნათქვამია: "ყველა ერს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად ადგენენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად უზრუნველყოფენ საკუთარ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას".

ამის აღიარებითა და პატივისცემით, ჩვენ მოგმართავთ წინადადებით, ამ პაქტის შეუსრულებლობის გამო, ზემოქმედება იქონიოთ რუსეთზე. აუცილებელია, რომ ჩეჩნეთის მიმდინარე არჩევნები და კრემლის მიერ წინასწარ განსაზღვრული შედეგები არ იქნეს ცნობილი, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების პრინციპებს ეწინააღმდეგება. არჩევნების ცნობა კაცობრიობის წინაშე ჩადენილ და განხორციელებულ დანაშაულთა გამართლება იქნებოდა.

ასლან მასხადოვის მთავრობასთან მოლაპარაკებები ჩეჩნეთის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი სამართლებრივი გზა გახლავთ.

**"ჩეჩნეთში ადამიანის უფლებების" მხარდამჭერი საპარლამენტო ჯგუფის სახელით, ესტონეთის პარლამენტის წევრი** ***ანდერს ხერკელი***
**ჩეჩნეთის პრობლემების პარლამენტართა საერთაშორისო ჯგუფის გენერალური მდივანი** ***ალგიდას ენდრიუკაიტისი***
**არაწარმომადგენლობითი ერების ორგანიზაციის ქ. ტარტუს ცენტრის ხელმძღვანელი** ***ლინარტ მიალი***
**ასოციაცია "ფინეთი-ჩეჩნეთი"-ს თავმჯდომარის მოადგილე** ***ტაპანი მატილა.***

# ჯაშუშებს პენტაგონშიც პოულობენ

ლაშა გიორგიძე



ჯაშუშებმა პენტაგონშიც შეაღწიეს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იზრდება დაპირისპირება დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის. მმართველი პარტიის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს კიდევ ერთი ბრალდება დაემატება - თავდაცვის უწყების არაეფექტური მუშაობა. საქმე იმსაა, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, სისტემაში ისრაელის ჯაშუში საქმიანობს.

გუანტანამოს და აბუ ღრაიბის ციხეებთან დაკავშირებული სკანდალების შემდეგ, პენტაგონის შეფს დონალდ რამსფელდს მასმედიის წარმომადგენლებმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადეს. ტელეკომპანია "სიბიეს"-ის ეთერით გავრცელდა ინფორმაცია აშშ-ს თავდაცვის სისტემაში ისრაელის ჯაშუშის მოღვაწეობის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, ეჭვმიტანილს მჭიდრო კავშირები ჰქონდა პენტაგონის მაღალჩინოსნებთან, თავად კი ანალიტიკოსის პოსტი ეკავა და ისრაელის მხარეს იმ საიდუმლო მასალების შესახებ აწოდებდა ინფორმაციას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს პოლიტიკას ეხებოდა. ისრაელმა, რომელიც აშშ-ს პარტნიორი და მოკავშირეა, ამ ბრალდებას "აბსოლუტურად ყალბი და მოუღებელი" უწოდა. არსებული ინფორმაცით, ჯაშუშს ისეთ გავლენიან პირებთან ჰქონდა კონტაქტი, როგორიც აშშ-ს თავდაცვის მდივნის მთავარი მრჩეველი დუგლას ფეითი და დონალდ რამსფელდის მოადგილე პოლ ვოლფოვიცია. ორივე ზემოაღნიშნულმა პიროვნებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2003 წელს ერაყზე თავდასხმის დაგეგმვაში.

ერთი შეხედვით, თითქოს უცნაურია ის ფაქტი, რომ ჯაშუში საიდუმლო ინფორმაცით იმ ქვეყანას ამარაგებდა, რომელიც აშშ-ს მოკავშირე და მეგობარია. თუმცა, თუკი მათი ურთიერთობების ისტორიას გადავხედავთ, მსგავსი რამ წარსულშიც მომხდარა. 1985 წელს, ისრაელისათვის საიდუმლო ინფორმაციის მიწოდების გამო, აშშ-ს საზღვაო დაზვერვის ანალიტიკოსი ჯონათან პოლარდი დააკავეს და დანაშაულის დამტკიცების შემდეგ სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯეს. ისრაელმა მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ აღიარა, რომ პოლარდი მისი აგენტი იყო. ქვეყნის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნათანიაჰუმ ოფიციალურ მოხსენებაში განაცხადა: "ისრაელის მხარე აღიარებს თავის ვალდებულებას ბატონი პოლარდის მიმართ და მზად არის, ყველა შესაბამისი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღოს."

დღეისთვის მოვლენები ისევ ძველი სცენარით ვითარდება: ისრაელის მთავრობა და, შესაბამისად, ისრაელის საელჩო ვაშინგტონში ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და მსგავსი ფაქტის არსებობას კატეგორიულად უარყოფს. იქნებ, ისევ ცამეტი წლის გასვლას ელოდება, რათა პენტაგონში თავისი ჯაშუშის მოღვაწეობა აღიაროს?

"სიბიეს"-ის ინფორმაციით, ჯაშუშმა ისრაელის მხარეს ირანის მიმართ პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული, აშშ-ს პრეზიდენტის დირექტივები გადასცა. უშიშროების სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომლის განცხადებით, ეჭვმიტანილი ინფორმაციას პირადად აწოდებდა ამერიკა-ისრაელის საზოგადოებრივი ურთიერთობების კომიტეტს **(AIPAC).** კომიტეტის პრესმდივანმა იოშ ბლოკმა ასეთ განცხადებას "უსაფუძვლო და ყალბი" უწოდა. მისი სიტყვებით, "კომიტეტი არ დაუშვებს განმეორდეს ის, რაც აშშ-ს კანონმდებლობას და ინტერესებს ეწინააღმდეგება". ასევე კატეგორიულად უარყო ყველა ბრალდება აშშ-ში ისრაელის საელჩოს პრესმდივანმა დევიდ სიგელმა.

მსგავსი ინფორმაციის მიღების შემდეგ, ისრაელს ადვილად შეეძლო გავლენა მოეხდინა ახლო აღმოსავლეთში მოსალოდნელ შედეგებზე და ბევრი რამ თავის სასარგებლოდაც გადაეწყვიტა. თუკი ისრაელისა და ირანის ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დიდი უპირატესობის მიღწევა შეეძლო თელ-ავივს თეირანთან დაპირისპირებაში. ისრაელი და ირანი დიდი ხანია ღიად გამოთქვამენ ეჭვს ერთმანეთის ბირთვული მიზნების და შესაძლებლობების შესახებ. ისრაელის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა, რომ თუკი მის ქვეყანას საფრთხე დაემუქრება, თავდასხმის ასაცილებლად, ირანის ატომურ რეაქტორებზე შეტევას განახორციელებს. ირანის ხელისუფლების განცხადებით კი, თეირანი მზადაა, აგრესიის პირობებში "შესაბამისი ზომები მიიღოს".

მას შემდეგ, რაც რეგიონში სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმი აღარ არსებობს, მთავარ პრობლემად ირანის ტრანსფორმაცია და მისი დემოკრატიის ჩარჩოებში მოქცევა რჩება. ეს საკითხი თანაბრად აწუხებს როგორც აშშ-ს, ისე ისრაელს, რომელიც ევროპის ქვეყნებს უფრო აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს. მანამდე კი, როგორც ჩანს, არც იმაზე ამბობს უარს, რომ თავისი აგენტები აშშ-ს თავდაცვის მთავარ უწყებაში ჰყავდეს.

პენტაგონის შეფს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა. მართალია, ჯაშუში აღმოჩენილია და უახლოეს დღეებში დააკავებენ, მაგრამ ეს ფაქტი მაინც უარყოფითად აისახება დონალდ რამსფელდის მოღვაწეობაზე. თავის მხრივ, ამ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ დემოკრატები, რათა წინასაარჩევნოდ კიდევ ერთხელ აძაგონ ჯორჯ ბუშის რესპუბლიკური გუნდი და ამომრჩევლებს თავიანთი უპირატესობა დაუმტკიცონ.

## ერაყელი ექსტრემისტები ფრანგებსაც არ ინდობენ

შაბათს არაბულ ტელეკომპანია "ალ-ჯაზირას" საშუალებით, ორი მოკლე ვიდეოჩანაწერი გადაიცა, სადაც ორმა ფრანგმა ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ისინი გატაცებულნი არიან "ერაყის ისლამური არმიის" მიერ. გატაცებულთა თქმით, იმ შემთვევაში, თუ საფრანგეთის მთავრობა არ გააუქმებს კანონს, რომელიც საერო სკოლებში რელიგიური ნიშნების ტარებას კრძალავს, მათ სიკვდილი ემუქრებათ. მომხდარს ისიც ამძაფრებს, რომ აღნიშულმა ორგანიზაციამ ამას წინათ იტალიელი ჟურნალისტი ენცო ბალდონი გაიტაცა და იტალიის მთავრობის მიერ მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო სიკვდილით დასაჯა.

მუსლიმ მოსწავლეებს ჩადრების ტარება ამა წლის გაზაფხულიდან ეკრძალებათ. კანონის თანახმად, სკოლებში აკრძალულია "შესამჩნევი რელიგიური სიმბოლიკის", დიდი ზომის ქრისტიანული ჯვრებით, ებრაული კიპებითა და მუსლიმური თავსაბურავებით სიარული.

გამტაცებლებმა საფრანგეთის ხელისუფლებას მოთხოვნების შესასრულებლად 48 საათი მისცეს.

საფრანგეთის სახელმწიფო რადიოს "რადიო ფრანს ინტერნასიონალე"-ს და გაზეთ "ფიგარო"-ს ჟურნალისტები კრისტიან შენო და ჟორჟ მალბრიუნო ერაყში 20 აგვისტოს გაუჩინარდნენ. ორივე მათგანი ბაღდადიდან ნაჯაფისკენ მიემართებოდნენ, როდესაც მათთან კავშირი შეწყდა. ცნობილია მხოლოდ, რომ კრისტიან შენო ამბოხებულ შიიტთა ლიდერთან, მოქთადა ას-სადრთან ინტერვიუს აღებას გეგმავდა.

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, მომხდართან დაკავშირებით, გუშინ პრემიერ-მინისტრთან ერთად თათბირობდა. კვირას დილით პარიზში მთელი მთავრობა საგანგებო რეჟიმში მუშაობდა, იმართებოდა საგანგებო თათბირები და შეხვედრები. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ, მუსლიმური რელიგიის ფრანგული საბჭოს ბიურო მოიწვია. ეს ორგანო საფრანგეთის მუსლიმურ საზოგადოებას წარმოადგენს. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მინისტრი აცხადებდა, რომ აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს და ყველა გატაცებული ჟურნალისტის უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს.

მუსლიმური რელიგიის ფრანგული საბჭოს ხელმძღვანელმა დალილ ბუბაქერმა აღნიშნა, რომ საფრანგეთში მცხოვრებ მუსლიმებს ტერორისტული ჯგუფის ნამოქმედართან არანაირი კავშირი არ აქვთ. საფრანგეთის ისლამური ორგანიზაციების საბჭოში მიაჩნიათ, რომ გამტაცებლებთან მოლაპარაკებების წარმოება მიუღებელია.

გუშინ გვიანობამდე ცნობილი არ იყო, დაეთანხმებოდა თუ არა საფრანგეთი ტერორისტთა მოთხოვნებს. თუმცა, მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, მათ მძიმე გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ.

# იაპონიის პრემიერ-მინისტრს კურილიის კუნძულების მონახულება სურს

იაპონიის პრემიერ-მინისტრის, ძუნიტირო კოიძუმის განზრახვამ, სამხრეთ კურილიის კუნძულების ინსპექტირების შესახებ, ამომავალი მზის ქვეყანასა და რუსეთს შორის შესაძლოა ახალი გაუგებრობები წარმოშვას. კოიძუმი აცხადებს, რომ სამხრეთ კურილებიდან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განდევნილ იაპონელთა შვილიშვილების თხოვნით, იგი კატარღით ან შვეულმფრენით კუნძულებთან მივა. თუმცა, პრემიერ-მინისტრის თქმით, იგი ხმელეთზე გადასვლას არ აპირებს. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ელჩი იაპონიაში ამბობს, რომ კუნძულების მონახულების ნებისმიერი მცდელობა უშედეგო იქნება.

დღეს იაპონიაში ძალიან ბევრი მოუწოდებს მთავრობის მეთაურს, დაკარგული "ჩრდილოეთი ტერიტორიების" დაბრუნების საკითხი რუსეთთან ფინანსური გარიგებით გადაჭრას. იაპონიაში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის ვიზიტი მომავალ წელსაა დაგეგმილი, მაგრამ უკვე დღეს გაისმის განცხადებები, რომ იაპონიამ კუნძულების "გამოსყიდვის" საკითხი აუცილებლად უნდა დააყენოს და რუსეთს მძლავრი ინვესტიციების განხორციელებას დაჰპირდეს.

აღსანიშნავია, რომ დღესაც იაპონური ბიზნესწრეები მილიარდობით დოლარის დაბანდებებს ახორციელებენ სახალინზე გაზისა და ნავთობის პროექტებში. ტოკიო რუსულ პორტ ნახოდკამდე ნავთობსადენის აგების წინადადებითაც გამოდის, რომლის ძირითადი მომხმარებელი თავად იაპონია იქნება. იაპონელები აცხადებენ, რომ ამ პროექტში 10 მლრდ დოლარს ჩადებენ.

სადავო კუნძულები სახალინის ოლქის შემადგენლობაში შედიან და რუსეთში მათ სამხრეთ კურილებს უწოდებენ, ხოლო იაპონიაში "ჩრდილოეთ ტერიტორიებად" მოიხსენიებენ. ოთხ კუნძულზე დაახლოებით 15 ათასი მაცხოვრებელია. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიული დავის გამო, ტოკიოსა და მოსკოვს შორის დღემდე ვერ მოხერხდა სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა.

1956 წელს, საბჭოთა ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოხატა, გადაეცა იაპონური მხარისთვის ამ კუნძულებიდან ყველაზე პატარა ორი კუნძული: შიკოტანი და ხაბომაი. მაგრამ იაპონია ამ წინადადებას არ ეთანხმება და ყველა კუნძულის ერთდროულად დაბრუნებას მოითხოვს.

*24 საათი*

## ახალი სკანდალი დიდ ბრიტანეთში

გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მეთაურის გარშემო ახალი სკანდალი მწიფდება, თუმცა მიზეზი ძველია – ერაყის ომი. ბრიტანეთის გავლენიანი ტელეკომპანიის ყოფილი დირექტორის, გრეგ დაიკის აზრით ბრიტანეთის პრემიერის არაკომპეტენტურობა შეიძლება ორი მიზეზით ყოფილიყო გამოწვეული: პირველი – ტონი ბლერი საქმის კურსში არ იყო და ერაყის ომში ბრიტანეთი შემთხვევით აღმოჩნდა ჩათრეული, ან იგი შეგნებულად ცრუობდა თემთა პალატის წინაშე გამოსვლისას, როდესაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის ხელში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ საუბრობდა. იანვარში, სწორედ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა-არარსებობის თაობაზე ატეხილი სკანდალის გამო, თანამდებობიდან გათავისუფლებული გრეგ დაიკის სტატია გაზეთ "მეილ ონ სანდი"-ში დაიბეჭდა. სტატიაში ბლერის შესახებ არცთუ სასიამოვნო გამონათქვამებია მოყვანილი. აღსანიშნავია, რომ დაიკი ტონი ბლერს არა მარტო ერაყის ომისათვის, არამედ მასმედიასთან დამოკიდებულების გამოც აკრიტიკებს. "ბიბისი"-ს ყოფილი დირექტორის განცხადებით, ბლერი ტელეკომპანიაზე ზეწოლას ახდენდა.

დაიკის სტატია მისი წიგნის გამოსვლას დაემთხვა, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბრიტანეთის ყველაზე დიდი ტელეკომპანიის დაშინებას ცდილობდა. სავარაუდოდ, დაიკის ამგვარ "გალაშქრებას" ლეიბორისტული პარტიის ლიდერის წინააღმდეგ წიგნის "ბესტსელერად" გადაქცევის მიზანიც ჰქონდა.

*24 საათი*

# დიდი დიღმის ექსპერიმენტი

*"დიდი დიღმის ექსპერიმენტი" - თბილისის მერიისა და "თბილწყალკანალის" ერთობლივი პროექტია, რომელიც აქტიურ ფაზაში შევიდა. უკვე გამოცხადებულია წყლის მრიცხველების ტენდერი და შერჩეულია საექსპერიმენტო უბნები და კორპუსები.*

ნანა ყაველაშვილი

მოსახლეობას, ბუნებრივია, აინტერესებს, რატომ შეირჩა საექსპერიმენტოდ მაინც და მაინც დიდი დიღომი? როგორც "თბილწყალკანალში" განაცხადეს, დიდი დიღმის წყალმომარაგების სისტემა შედარებით ახალია და თავისი ავტონომიურობის გამო, შესაძლებელია, წყალმომარაგების მთლიანი სისტემის მიკრომოდელად წარმოვიდგონოთ.

ექსპერიმენტის მიზანი რეალური წყალმოხმარების, აგრეთვე შიდა და გარე ქსელებსა თუ საცხოვრებელ სახლებში წყლის დანაკარგების დადგენაა. ექსპერიმენტში მონაწილეობენ მერიისა და "თბილწყალკანალის" შესაბამისი სამსახურები და ვაკე-საბურთალოს გამგეობა. შერჩეული კორპუსების გამრიცხველიანების შემდეგ, თითოეულ მათგანში აირჩევენ "მამასახლისს", რომელიც ექსპერიმენტის მიმდინარეობას ადგილზე გაუწევს კოორდინაციას.

წინასწარი მონაცემებით, ტენდერის დასრულებას 107 დღე დასჭირდება. ექსპერიმენტი კი დეკემბრის ბოლოსთვის დასრულებული უნდა იყოს. ამიტომ, ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა ზურაბ ღონღაძემ მერიას შესთავაზა, რომ ტენდერის პროცესი გამარტივდეს და მრიცხველების შესყიდვა პირდაპირი გზით მოხდეს. სავარაუდოდ, მათ სომხურ-გერმანული ერთობლივი საწარმო "არაზენისგან" შეისყიდიან. როგორც "წყალკანალში" აცხადებენ, ადგილობრივი წარმოების მრიცხველები დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა, "არაზენის" ნაწარმი კი იაფი, ნაცადი და უფრო საიმედოა. ამასთან, ტენდერში მონაწილეობაზე ოფიციალური განაცხადი ჯერ არავის გაუკეთებია.

ექსპერიმენტისთვის შერჩეულია დიდი დიღმის პირველი და მესამე მიკრორაიონის ოთხი კორპუსი. პირველი მ/რ-ის მეთექვსმეტე "ა" - თექვსმეტსართულიან კორპუსში, რომელშიც ტურბო-გამაძლიერებელია, წყალსადენი და კანალიზაციის ქსელი მთლიანად შეკეთდება. მესამე მ/რ-ის მეშვიდე - თოთხმეტსართულიანი, ასევე ტურბო-გამაძლიერებლიანი კორპუსი უცვლელი დარჩება. ამ კორპუსების გამრიცხველიანება არ მოხდება. ექსპერიმენტის განმავლობაში, მათში, ქსელის გარემონტების შემდეგ, წყლის დანაკარგის მონაცემებს შეადარებენ. პირველი მ/რ-ის მეცამეტე - ცხრასართულიან და მეთხუთმეტე - თექვსმეტსართულიან კორპუსებშიც გარემონტდება ქსელები (მეთხუთმეტე კორპუსი ტუმბოს გარეშეა). გამრიცხველიანდება მხოლოდ პირველი მ/რ-ის მეცამეტე კორპუსი. ის 36-ბინიანია. მათში დამონტაჟებენ 120 ინდივიდუალურ მრიცხველს. დეკემბრამდე, აღნიშნულ კორპუსებში არსებულ სიტუაციას ყოველთვიურად "წყალკანალის" წარმომადგენლები შეამოწმებენ. მიღებულ შედეგებს კი შეადარებენ.

ექსპერიმენტში მონაწილე კორპუსების მოსახლეობა მოხმარებული წყლის საფასურს ძველი ტარიფით – 1.20 ლარს გადაიხდის, რადგან მრიცხველის მიხედვით გადახდისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ჯერ არ არსებობს. გამრიცხველიანებას "წყალკანალის" რაიონული სამსახური შეასრულებს.

**"ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით დადგინდება, სარეაბილიტაციო პროცესის დაწყებისას, რა უფრო გადაუდებელია, გამრიცხველიანება თუ დაზიანებული ქსელების შეკეთება. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დღესდღეობით, თბილისის მოსახლეობა დღე-ღამეში ერთ სულზე 950 ლიტრ წყალს ხარჯავს, რას ევროპის საშუალო მაჩვენებლებზე ხუთჯერ მეტია. არადა, მოსახლეობას გაცილებით ნაკლები სჭირდება. რეალურად მოხმარებული წყლის აღრიცხვიანობის მოწესრიგების, წყლის ყაირათიანი ხარჯვისა და დანაკარგების მაქსიმალურად შემცირების შემდეგ, ხალხი თავად დარწმუნდება, არსებულთან შედარებით რამდენად ნაკლები გახდება ტარიფი. ოთხსულიან ოჯახს თვეში შეიძლება მხოლოდ ორი ლარის გადახდა მოუხდეს,"**- ამბობს "თბილწყალკანალის" ხელმძღვანელი იუზა ცარციძე.

# „მერიული" სიახლეები და ინტრიგები

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მთავრობის სკანდალური თათბირის შემდეგ თანამდებობიდან გათავისუფლებული მთავრობის პირების ვაკანტური ადგილები, სავარაუდოდ, სექტემბრისთვის შეივსება. კანდიდატების ვინაობას ქალაქის მთავრობა, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს. თუმცა, ორი მათგანის გვარებმა კულუარებიდან მასმედიაში უკვე გამოჟონა. გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქის მთავრობაში კიდევ ერთი ვაკანტური ადგილი გაჩნდება, ოღონდ, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ამჯერად არაფერ შუაშია.*



*როგორც სპეციალისტები აცხადებდნენ, ნარკომანის ენა და თვალები კიდევ შეიძლება, ტყუოდნენ, მაგრამ შარდი - არა.*

მთავრობის ორი კვირის წინანდელ თათბირზე დაზარალებულ თანამდებობის ზოგიერთ, აწ უკვე ყოფილ წევრს, პროტესტის გამოხატვის "უკიდურესმა ფორმამაც" ვერ უშველა. როგორც სპეციალისტები აცხადებდნენ, ნარკომანის ენა და თვალები კიდევ შეიძლება, ტყუოდნენ, მაგრამ შარდი - არა. დედაქალაქის მთავრობამ ერთი, უფრო სწორად ხუთი პრობლემა კი მოიშორა, მაგრამ ახალი თავსატეხი გაუჩნდა - გამოთავისუფლებული ადგილების შევსება ჯანსაღი ადამიანებით. როგორც კულუარებში ამბობდნენ, მთავრობა შესაფერისი კადრების ნაკლებობას განიცდის და გამოთავისუფლებულ თანამდებობებზე ახალი უფროსების დანიშვნას ამიტომაც აჭიანურებსო. თუმცა, თვითონ მთავრობა ამ ინფორმაციას, კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ სექტებრისთვის მერიის სამსახურებში ყველა თავისუფალი ვაკანსია შეივსება.

ორი გვარი, რომელზეც კულუარებში უკვე საუბრობენ, ზაზა გოროზია და გივი ორდენიძეა. პირველი მათგანი, სავარაუდოდ, არჩილ გედენიძის ნაცვლად, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად უნდა დაინიშნოს, მეორე კი ლევან ურუშაძის ადგილას, მერიის აპარატის უფროსად. ზაზა გოროზია, რომელიც ამჯერად სამსახურის უფროსის მოადგილეა, კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს. თუმცა, მისი თანამშრომლები გოროზიას გაუფროსების იდეას ძალზე იწონებენ - საქმის კაცია და სამართლიანი ადამიანიო. რაც შეეხება გივი ორდენიძეს (მერიის სამდივნო აპარატის უფროსი), მას ლევან ურუშაძის შეცვლის სურვილი სულაც არ ჰქონია. თუმცა, თუკი ქალაქის მერი, მაინც და მაინც, ასე გადაწყვეტს, მეტი გზა არ მექნება, დავთანხმდებიო, აცხადებს ორდენიძე.

ინფორმაცია ახალი ვაკანსიის შესახებ კი მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსს ამირან ჯებისაშვილს შეეხება. თბილისის მთავრობა ჯებისაშვილის საქმიანობით უკმაყოფილოა და თანამდებობიდან გათავისუფლება ემუქრებაო, იტყობინება მასმედია. მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსი კი საფრთხეს გრძნობს საიდანმე. **"ასეთი რამე პირველად მესმის. თბილისის ხელმძღვანელობას ყოველდღე ვხვდები, მაგრამ ჩემს მიმართ რაიმე უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. უკმაყოფილონი ან რატომ უნდა იყვნენ? პრეტენზია არ მაქვს, რომ ყველაფერს უშეცდომოდ ვაკეთებ, მაგრამ ანგარებითა და განზრახ არაფერი გამიკეთებია,"** – აცხადებს ჯებისაშვილი.

აღნიშნულ ინფორმაციას თბილისის მთავრობაც უარყოფს. **"მერმა ეს ინფორმაცია არც კი იცის. ალბათ, ჭორია, რომლის გავრცელებაც რომელიმე ჯგუფს აწყობს. ჭიაბერაშვილი მერიის საფინანსო საქმეებში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ერევა (მაგალითად, მერიის შენობის რემონტისთვის ბიუჯეტში არცთუ მცირე თანხა რომ იდო, ამაზე მოახდინა რეაგირება). აქედან გამომდინარე, ჯებისაშვილის საწინააღმდეგოც ვერაფერი ექნება,"** – განგვიცხადა ორდენიძემ.

ჯებისაშვილის მოსალოდნელ საფრთხეს ქალაქის პრემიერიც უარყოფს. ჭორია, სიმართლეს არ შეესაბამებაო, აცხადებს ბრეგაძე. თუმცა, როგორც "24 საათმა" ასევე კულუარებიდან შეიტყო, ეს ამბავი მთლად ჭორი არ უნდა იყოს. ვიღაც-ვიღაცების ინტრიგების შედეგად, ამ საკითხზე საუბარი მერიაში ნამდვილად ყოფილა.

*თვალსაზრისი*

# სამხედრო სოფელი - ძლევაი საკვირველი

ორასწლიანმა რუსულმა კოლონიურმა რეჟიმმა განსაკუთრებით დააზიანა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დედაბოძი - ეკლესია. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, თავის თვითმყოფადი ხასიათით, მკვეთრად განსხვავდებოდა რუსული და სხვა მართლმადიდებლური ეკლესიებისაგან. ჯერ კიდევ გიორგი მთაწმინდელის დროს, როდესაც ბიზანტიელები ცდილობდნენ ქართული ეკლესიის შერყვნას, იმდროინდელი ხელისუფალნიც და სასულიერო იერარქნიც ბიზანტიელებს ამ ჭიდილში ძლევამოსილად უხრიდნენ მარჯვენას. ამიტომაც ქართული მართლმადიდებლობა შეუდრეკლად რჩებოდა ეროვნული სახელმწიფოს მტკიცე საყრდენად. ქართული ეკლესიის ღვაწლი მარტო ლიტერატურული შემოქმედებით არ ამოიწურებოდა; სამონასტრო თუ საეკლესიო ყოფა, სულიერი განათლების გარდა, საბუნებისმეტყველო განათლების მძლავრი კერა იყო. მრავალმხრივ განათლებული, სუფთა წარსულის მქონე, ხალხის სატკივარისა და ეროვნული სახელმწიფოს უერთგულესი სასულიერო პირები მტკიცედ და ერთგულად დარაჯობდნენ ერს, როგორც ერთგული მწყემსები. ხალხის აღზრდისა და ჩამოყალიბების სადავეები მტკიცედ ეპყრა ხელს ეკლესიას, ამიტომაც, მიუხედავად წარმოუდგენლად დიდი განსაცდელებისა, რომელიც ევლინებოდა ქვეყანას, აბობოქრებული გარეშე სამყაროდან, ქართველთა სახელმწიფო მაინც გადარჩენილი გამოდიოდა ყოველთვის. ეკლესია იყო ერის ფორმირების სრული ყალიბი. სამშობლოს ერთგული, მებრძოლი, მშრომელი, ზნეკეთილი, ურთიერთგამტანი, განათლებული, თავის მიწა-წყლის უსაზღვრო ერთგული, ერთი სიტყვით, ქალნი უბიწონი და კაცნი რაინდნი, აი როგორი იყო ეკლესიის აღზრდილი ერი. ქალს იდეალად ღვთისმშობელი დაუსახა ჩვენმა ეკლესიამ, ხოლო კაცს წმ. გიორგი. ქართული ეკლესია მებრძოლი ეკლესია იყო. ბევრ სისხლისმღვრელ ბრძოლაში ეკლესიის მამები, ერის, ანუ მათი სულიერი შვილებისთვის მაგალითის მიმცემნი იყვნენ. ბრძოლა, მეცნიერება, განათლება, ზნეობა, ყოფითი სტანდარტების დაგეგმარება და განხორციელება, ქართულ საზოგადოებაში ეკლესიის მიერ ხდებოდა. რჯულის კანონის მტკიცე დაცვით, უღირსი, უმეცარი, ჩრდილოვანი წარსულის, ზნეობრივად ან სულიერად დაავადებული პიროვნება სასულიერო პირად არ ირჩეოდა. სასულიერო პირთა სახალხოდ ხელდასხმის ტრადიცია ყველგან იყო გავრცელებული. ქართული ეკლესია აქტიურად ერეოდა ერის ყოველი მტკივნეული პრობლემის გადაჭრის საქმეში. ეს მისი ცხოვრების ნორმა იყო. ხშირად მამაო ხმალსაც იჭერდა ხელში, თუ ეს ქვეყნის ინტერესებით იყო განპირობებული. ისიც ცნობილია, რომ მარაბდის ბრძოლაში რამდენიმე ეპისკოპოსი დაეცა ბრძოლის ველზე. რუსულმა იმპერიულმა ზემოქმედებამ ქართული ეკლესიის სრული დეგრადაცია გამოიწვია. ერს წაერთვა ეკლესიის სახით მასწავლებელი და მაგალითის მიმცემი.

ვიგონებ ერთ შემთხვევას. 2002 წლის ზაფხულში, ჩემი ნიკორწმინდაში მოღვაწეობის პერიოდში, აღინიშნა აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის 90 წლისთავი. წარმოსადეგ დელეგაციას ტაძრის კარიბჭესთან შევხვდი, როგორც ტაძრის წინამძღვარი. დელეგაციის რამდენიმე წევრი, რომლებიც ჩოხებში იყვნენ გამოწყობილი, მორიდებით მომიახლოვდნენ და ტაძრის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლება ითხოვეს ხანჯლებით. მე სახტად დავრჩი, მათ კი მომიგეს, ჩვენ არც ერთი ტაძრის წინამძღვარმა არ მოგვცა მსგავსი ნებართვა. მაშინ მათ მივუგე, აბა შემოდით და იხილეთ ის წმინდანები, რომლებიც ჩვენ ფრესკებზე მრავლად არიან და შეიარაღებული არიან წარმოდგენილი, რა ვუყოთ მათ? მოვუშალოთ მახვილები, შუბები და ფარები? აი დეგრადაციის მომენტი, რომელიც რუსულმა იმპერიამ მტკიცედ ჩანერგა ჩვენს უკვე მათ ყაიდაზე გადაგვარებულ ქართულ ეკლესიაში. მიმდინარე წლის 4 აპრილს (ბზობას) რუსეთის ტელევიზიამ აჩვენა ასეთი სიუჟეტი: მოსკოვის გარნიზონის საჰაერო თავდაცვის დივიზიის მღვდელი (კაპელანი) მიმჯდარი ტყვიამფრქვევთან, ნაღმტყორცთან ან ტანკზე ამხედრებული, როგორ მაგალითს აძლევს თავის სულიერ შვილებს - ჯარისკაცებს. როგორც ჩანს, მისი ნაწილი კოსოვოში მსახურობდა "მშვიდობის მყოფელის" მანდატით. გვაჩვენა ფოტოები, რომელზედაც გაერო-ს ავიაციის მიერ დაბომბილი ეკლესია იყო გამოსახული. ეს სურათი დიდი ცრემლითა და გულისტკივილით წარმოგვიდგინა, მაგრამ ერთიც არ წამოცდენია იმის თაობაზე, თუ როგორ დაბომბეს რუსებმა და მიწასთან გაასწორეს ჩეჩენ-ინგუშეთში IX საუკუნის ტყობაერდის ქართული ტაძარი. ჩვენს ეკლესიაში დღეს მიმდინარე პროცესებიდან ბევრი რამე ჩასაფიქრებელია, ჩვენ ახალი ხელისუფლების წყალობით დავიწყეთ ორასი წლის ამოძირკვული სახელმწიფოს ფუნდამენტის ჩაყრა. რა თქმა უნდა, ჩვენ გვჭირდება მტკიცე შემკვრელი ამ კედლის დაწყობისას, ეს მტკიცე შემკვრელი წარსულში ჩვენი ეკლესია იყო. დღეს აღარ გამოგვადგება რუსული იმპერიული ინტერესების მატარებელი ეკლესია, ჩვენ უნდა ალვადგინოთ ისევ ის ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების ეკლესია.

სად და ვის მიერ ხდებოდა ქართული ყოფითი ცნობიერების აღზრდა? ჩვენს ისტორიას და ტრადიციულ ყოფას თუ გადავხედავთ, ქართველი მამები წარსულში დიდი კაპელანებიც იყვნენ. საქართველოს მთიანეთის სოფლის მოდელს თუ ჩავწვდებით, იგი წარმოადგენდა პატარა სამხედრო ქალაქს, რომლის ცენტრში იდეურ-სულიერი იდეოლოგიით, სასულიერო პირები იდგნენ. სამწუხაროდ, მთიანეთის უწყვეტი ჯაჭვი, თუშეთის, ფშავ-ხევსურეთის, ხევ-მთიულეთის, დვალეთის, რაჭა-სვანეთის, აფხაზეთ-სვანეთის სახით დღეს უკვე თითქმის მორღვეულია. მხოლოდ ზემო სვანეთს შემორჩა რამდენადმე ამ ბრწყინვალე ქართული ყოფითი სამხედრო-სარწმუნოებრივი დასახლების ნაშთები, სწორედ მათი შესწავლით შეგვიძლია, კვლავ ავაღორძინოთ ეს დიდებული მეომრულ-სარწმუნოებრივი ტრადიცია. ამ სამხედრო-სარწმუნოებრივ ტრადიციას სვანურად ფუსტობა ეწოდება. ფუსტი - სვანურად უფალს ნიშნავს, ფუსტელი, ე.ი. მეუფლე, უფლის მხედარი. ქართული უძველესი გვარდიული შენაერთის სინონიმია. სიტყვა "გვარდია" იტალიური წარმოშობისაა და რჩეულ ჯარისკაცს ნიშნავს. გვარდია, როგორც ასეთი, ევროპაში, კონკრეტულად კი საფრანგეთში, XVI საუკუნიდან დამკვიდრდა. ხოლო ქართული სინონიმი გვარდიელისა, უფრო ფართო მცნებაა. გვარდიელი რჩეული ჯარისკაცია, ხოლო ფუსტელი - უფლის მხედარი. ადამიანი ღვთის ხატება და არსია და მისი მთავარი ამქვეყნიური არსი ღვთის განდიდებაში მდგომარეობს შესაქმის თანახმად.

ქართული ხალხური ყოფა მტკიცედ იყო აღჭურვილი მართლმადიდებლური ქრისტიანული მორალით, როგორც მოყვარესთან, ისე მტერთან ურთიერთობის საქმეში. ამას ყოველივეს სასულიერო პირების დიდი ნიჭი და ინტელექტი განაპირობებდა. უფლისმიერი აღზრდის შედეგი იყო ის, თუ მტერს ხმალი უტყდებოდა, ან უვარდებოდა ხელიდან, მას საშუალება ეძლეოდა კვლავ აელო იგი. არათანაბარ პირობებში მტრის განადგურება არაღვთიური იყო. ბრძოლას საფუძვლად არასოდეს ედო გაბოროტება. დღეს ჩვენი ეკლესია, რუსული იმპერიული ზემოქმედების გამო დაშორდა ბევრ ეროვნულ მართლმადიდებლურ ღირებულებებს. სვანურ ყოფაში შემორჩენილი ფუსტობის ტრადიცია, ეს არის სამხედრო-სარწმუნოებრივ ყოფაზე აგებული სამხედრო სოფლის იდეოლოგიურ-ყოფითი საფუძველი. ეს დიდი ტრადიცია ათასწლეულებს ითვლის, მისი სათავე შუამდინარულ და ხეთურ სამყაროებს უკავშირდება. წარმართობის დროს იგი წარმართული ტაძრების მცველი გვარდია იყო, ქრისტიანობის პერიოდში მტკიცედ დადგა მართლმადიდებლურ ფუნდამენტზე. ამ ტრადიციით შემოგვრჩა, თუ რამ სიწმინდეები გვაქვს დღეს საქართველოში.

ფუსტელი რაინდის ატრიბუტიკა - ფუსტაკი ევროპის ყოფაშიც შევიდა. ევროპაში რაინდის წოდების მინიჭება, მცირე ზომის მახვილის, ე.წ. ფუსტაკის გადაცემით ხდებოდა. ქართულ ყოფაში შემორჩენილი მართლმადიდებელი მეომრის შინაარსი ფუსტელი - ღრმა სულიერი და ყოფითი ელემენტების მომცველია. მასში სრული ჩაწვდომა მომავალი კვლევის საქმეა. ერთი რამ კი ცხადია, სარწმუნოებრივ სამყაროში ღრმად განსწავლული ხალხური ყოფა ჰქმნის იშვიათ შედევრს რწმენის და ყოფის რენესანსისა. ამის ნათელი მაგალითია ფუსტელი მეომრის პატივის ამსახველი სვანური ნაგებობანი. ამ ნაგებობების ქრისტიანული არსის შესახებ მე წერილი გამოვაქვეყნე გაზეთ "ლილეო"-ში (№ 6, 2003 წ. გვ. 3, 4). ამიტომ მათ დაწვრილებით განხილვას აქ აღარ შევუდგები. სვანური მურყვამი - მაჩუბთან ერთად წარმოადგენს ღვთისმშობელს ჩვილი იესოთი. ხოლო კოშკის მეორე ტიპი, რომელსაც სვანები გუბანდს, ანუ სვანირსაც უწოდებენ, წარმოადგენს წმ. გიორგის სიმბოლოს. ამ ნაგებობაში აშკარად ჩანს ადამიანის ყოფითი და სულიერი სამყაროს მტკიცე კავშირი, რაც კაცობრივი აზროვნების იშვიათ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ქართული საბრძოლო და ყოფითი ტრადიციები მტკიცედ იდგა სარწმუნოებრივ ფუნდამენტზე, რაც რაინდული აღზრდის ვეფხისტყაოსნისებურ გაგებასთან იმდროინდელ ცნობიერებას ბუნებრივად მიყავდა. მრავალძალის წმ. გიორგის ერთ ბარელიეფში წმიდა გიორგი გმირავს არა გველეშაპს, არამედ ვეფხვს. ეს ტაძარი გაცილებით ადრეა აგებული, ვიდრე ვეფხისტყაოსანი დაიწერებოდა, ე.ი. ქართული მეომრული ტრადიციები იმთავითვე მტკიცედ იდგა ქრისტიანულ საფუძვლებზე. ფუსტობის მეომრული ტრადიცია გვარდიულ არსზე ალმატებული ჩანს, ვინაიდან მას საფუძვლად ქრისტიანული სიღრმისეული წვდომა უდევს საფუძვლად. სამხედრო და სარწმუნოებრივი ეს უძველესი და სრულყოფილი შედევრი, რომელსაც სათავე უძველეს მახლობელი აღმოსავლეთის მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად ცნობილ ქვეყნებში ეძებნება, ჩვენში დღემდე მოღწეულია. ეს სამხედრო-სარწმუნოებრივი ტრადიცია ატარებს კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპს. ვმადლობდეთ უფალს, რომ ქართულმა, კონკრეტულად კი სვანურმა ყოფამ კაცობრიობას დღემდე მოუტანა ეს დიდი სამხედრო-სარწმუნოებრივი კულტურული მემკვიდრეობა.

ფუსტის ტრადიციის უმთავრეს, დღემდე შემორჩენილ კერად უნდა მივიჩნიოთ რაჭაში სოფ. ფუტიეთი (ფუ(ს)ტიეთი). ეს სოფელი რაჭის ქედის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და კრისულას ხევის ჩამკეტი სოფელია. ეს ხევი კი გრანდიოზული კვარა ციხით (წარსულში ფუსტას ციხით) მთელ დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ანუ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მთავარ კარიბჭეს წარმოადგენდა. ეს იყო ფუსტელთა ერთ-ერთი უმთავრესი ფორფოსტი საუკუნეების განმავლობაში. აქ მოხდა 1819-1820 წწ. საეკლესიო აჯანყების ერთ-ერთი ტრაგიკული ბრძოლა 1820 წლის 3 ივნისს, სადაც 2000 ფუსტის მხედარი დაეცა საეკლესიო სიწმინდეთა გადარჩენისათვის. ამ ბრძოლასთან ერთად დამთავრდა ფუსტის დიადი ტრადიცია.

ფუსტობა, ეს ჩვენი დიდი მეომრული და სარწმუნოებრივი ტრადიციაა, მისი აღორძინება აუცილებლად მიმაჩნია. სოფელი ფუტიეთი ამბროლაურიდან 15 კმ-ზე მდებარეობს, ხოლო საჩხერიდან 25 კმ-ზე. მით უმეტეს, რომ საჩხერეში ჩვენ ბაზირებული გვყავს სამთო ბატალიონი. არ იქნება ურიგო, თუ ამ ძველი ტრადიციების სოფლის ბაზაზე შევქმნით სამხედრო სოფელს, ანუ ფუსტელთა სოფელს. ამ სამხედრო სოფელს ექნება სამხედრო-პატრიოტული, სამხედრო-სარწმუნოებრივი, სამხედრო-ტურისტული, კულტურულ-ყოფითი დანიშნულება. თანაც ეს სოფელი იქნება სამუზეუმო კვანძი იმ დიდი "ფუსტის რაინდთა ნაკვალევისა", რომელიც საჩხერიდან-მესტიამდეა გადაჭიმული. ამ საკითხის ირგვლივ, კარგი იქნება თუ ერთობლივად ვიმსჯელებთ, სამხედრო უწყებებთან ერთად. საქართველო უმდიდრესი და უძველესი საბრძოლო ტრადიციების ქვეყანაა, ფუსტობის ტრადიციით ჩვენ ერთხელ კიდევ დავანახებთ მსოფლიოს იმ უნიკალურ კულტურულ და ყოფით ტრადიციებს, რაც გაგვაჩნია.

*"განათლების ეროვნული ალტერნატივის" (გეა) სახელით*
*მამა ავთანდილ (გიორგობიანი)*
*და ტარიელ კიკაბიძე*

**ეკოლოგიისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი "ამიანტი" და შვეიცარიული ფირმა N"*NEWFO SA*" აცხადებს კონკურსს დევიზით:**

**"ინოვაციური პროექტები - საქართველოს ნაციონალური ეკონომიკური ინტერესები გლობალიზაციის ეპოქაში"**.

კონკურსი ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის 50 წლის იუბილეს.

**საკონკურსო თემატიკა:**
- წიაღისეულის საბადოების მარკეტინგი;
- ბუნებრივი და ტექნოგენური საცავების მარკეტინგი;
- სარეკრიაციო ზონების მარკეტინგი.

მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

**სამი საუკეთესო პროექტისთვის** დაწესებულია პრიზები 600, 400, და 200 ლარის ოდენობით.

**ფონდი "ამიანტი" იზრუნებს** ჟიურის მიერ რეკომენდებული პროექტებისთვის ინვესტიციის მოზიდვის შესაძლებლობებზე.

ანოტაციის (არაუმეტეს ორი გვერდისა) წარმოდგენის ვადაა 1.09.-17.09.2004

სრული პროექტის წარმოდგენის ბოლო ვადაა 01.10.2004

კონფერენცია ჩატარდება 2004 წლის 16 და 17 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, პროფესორ გიორგი ჯაფარიძის სახელობის N432 აუდიტორიაში, დასაწყისი 11:00

საორგანიზაციო კომიტეტი:
კოსტავას ქ. N77
0175 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი
III კორპუსი, III სართული, ოთახი 410.
ტელ: 37-73-19; 36-41-67
ფაქსი: 22-53-08; მობ: 8 99-401-503
ელ-ფოსტა: amianti@posta.ge.

**სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"**
**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ:** 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ.83/11**

# 72 წლის მოხუცი მხოლოდ მდიდრების სახლებს ქურდავდა

"საინტერესო და ჭკვიანი დამნაშავე," – ეს შეფასება გუშინ დაკავებულმა, 72 წლის ჯიმშერ გობეჯიშვილმა სამართალდამცველებისგან დაიმსახურა. პოლიცია მას გუშინ სახლში მოულოდნელად ეწვია. გობეჯიშვილის საცხოვრებელი ბინა გაიჩხრიკა, თავად ეჭვმიტანილი კი გუშინვე წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს.

საქმე ისაა, რომ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციამ გობეჯიშვილის სახლში უამრავ მოპარულ ძვირფას ნივთს მიაგნო. ნივთებს შორის ანტიკვარული ნაკეთობებიც არის. გობეჯიშვილის ბინაში აღმოჩენილი ძვირფასეულობის გარკვეულ ნაწილს გუშინვე გამოუჩნდა პატრონი. გუშინვე, 72 წლის მოხუცისგან დაზარალებულმა ორმა ოჯახმა, ცოტა ხნის წინ სახლიდან მოპარული საკუთარი ნივთები ამოიცნო.

როგორც ირკვევა, გლდანის დასახლებაში მცხოვრები ჯიმშერ გობეჯიშვილი არა მხოლოდ მის რაიონში, თბილისის სხვადასხვა უბანშიც "მოღვაწეობდა", ეგრეთ წოდებული "ატმიჩკებითა " და კარის გასაღები სხვადასხვა საშუალებით. ის ორი ოჯახი, რომლის წევრებმაც საკუთარი ნივთები ამოიცნეს, საბურთალოს



რაიონის მაცხოვრებელია."

**"დაკავებული ოთხჯერ არის გასამართლებული, ოთხივეჯერ - ქურდობისთვის. ძალიან ჭკვიან დამნაშავესთან გვაქვს საქმე, თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ მოხუცი მარტო არ მოქმედებდა და მას ბინებში შესვლისას სხვებიც ახლდნენ. მათი ვინაობა დგინდება. არ არის გამორიცხული, სწორედ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან გვქონდეს საქმე. ჯიმშერ გობეჯიშვილი იმ სტილის დამნაშავეა, რომელსაც კანონის სრული დაცვით უნდა ეთამაშო,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსმა დავით კეკუამ.

როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, ჯიმშერ გობეჯიშვილის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ხელყუმბარები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნებიც ნახეს. თავად დაკავებული კი იარაღის მის სახლში არსებობას კატეგორიულად უარყოფს.



*გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციამ გობეჯიშვილის სახლში უამრავ მოპარულ ძვირფას ნივთს მიაგნო. ნივთებს შორის ანტიკვარული ნაკეთობებიც არის.*

ჯიმშერ გობეჯიშვილი ამჟამად თბილისის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანშია მოთავსებული. მიმდინარეობს მოკვლევა თანამზრახველთა გვარების დასადგენად.

ერთი სიტყვით, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლები დაზარალებულებს უცდიან. ჯიმშერ გობეჯიშვილის სახლში ნაპოვნი, დაახლოებით ასი დასახელების ძვირფასი ნივთი, ამოცნობის შემთხვევაში, პატრონს დაუბრუნდება.

*24 საათი*

# ქრთამის აღებაში ბრალდებული გამომძიებელი იზოლატორში გაისტუმრეს

ქრთამის აღების ბრალდებით ორი დღის წინ დაკავებული, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლის გიორგი რამიშვილის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის საკითხი გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გადაწყდა. მართლმსაჯულებამ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და ბრალდებულ გამომძიებელს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. როდის, ვისგან და რა ვითარებაში აიღო ქრთამი გიორგი რამიშვილმა, გუშინაც გასაიდუმლოებული დარჩა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გამომძიებელმა დაზარალებულის ნათესავისთვის გარკვეული პროცესუალური შეღავათების გაწევის მიზნით, მისგან ქრთამის სახით 1300 აშშ დოლარი აიღო.

კანონის თანახმად, სამართალდამცველის მიერ ქრთამის აღების ფაქტი თავისუფლების 6-დან 15 წლამდე აღკვეთით ისჯება.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებული გამომძიებლის ადვოკატმა უსაფუძვლო უწოდა. ადვოკატი ირწმუნება, რომ **"ქრთამის აღება პროვოცირებულია, შეგნებულად ითითხნება საქმე. კონკრეტული პირები დაინტერესებულნი არიან უდანაშაულო პირის პასუხისგებაში მიცემით. ადგილი ჰქონდა სიყალბეს, რათა ვიღაცის ინტერესების გულისთვის უდანაშაულო პირი დასჯილიყო ".**

პროკურატურა ადვოკატის პოზიციას კატეგორიულად არ ეთანხმება. **"სასამართლომ აბსოლუტურად კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. გამოძიებას აქვს უტყუარი, მყარი მტკიცებულებები, რომლებიც გიორგი რამიშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულს ადასტურებენ,"** - ასეთი გახლავთ პროკურატურის პოზიცია.

გამომძიებლის ადვოკატი კი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას აპირებს.

*24 საათი*

# იმერეთში კრიმინოგენული ვითარება კვლავაც მძიმეა

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

იმერეთში კვლავაც მძიმე კრიმინოგენული ვითარებაა. მართალია, ადგილობრივი სამართალდამცველები ირწმუნებიან, "კანონიერი ქურდები" ქუთაისში აღარ არიანო, მაგრამ ფაქტია, რომ ამას დანაშაულის რაოდენობა დიდად არ შეუმცირებია. ამის თქმის საფუძვლად პოლიციის ხელთ არსებული ერთი კვირის სტატისტიკური მონაცემების გადახედვაც გამოდგება. აგვისტოს მანძილზე იმერეთში დაფიქსირებულია თითქმის ყველა სახის დანაშაული, დაწყებული ყაჩაღობიდან, მკვლელობებით დამთავრებული. პოლიციაში განმარტავენ, რომ ისინი დანაშაულის აღკვეთისათვის ყველაფერს აკეთებენ, თუმცა, ფაქტები მათ სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს.

იმერეთის მხარეში, აგვისტოში, განსაკუთრებით მკვლელობებია თვალშისაცემი. მაგალითად, სამტრედიის გადასასველ ხიდთან ბუჩქებში ნაპოვნი იქნა ორი ადამიანის გვამი. გარდაცვლილები გეგუთის კოლონიის რეჟიმის უფროსი - 32 წლის კობა კობახიძე და ქუთაისის პოლიციის 1 რაიონის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი - 42 წლის თენგიზ ხურციძე აღმოჩნდნენ. ისინი მოკლული იყვნენ მაკაროვის სიტემის იარაღით, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია შესაბამისი მასრებიც. ერთ-ერთი ვერსიით, გარდაცვლილები დამნაშავეებს დაედევნენ და მათ შორის დაპირისპირება მოხდა, თუმცა აღნიშნული ვერსიის დამადასტურებელი ფაქტები ჯერჯერობით მოპოვებული არ არის. პოლიციის მიერ დაფიქსირებული მეორე მკვლელობაც განსაკუთრებული სისასტიკით იქნა ჩადენილი. კერძოდ, ქუთაისის ცენტრალური ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუდგენელი ნომრის მიკროავტობუსიდან ორი დაჭრილი პიროვნება ჩამოსვეს. მოგვიანებით, დაჭრილთა ვინაობა გაირკვა. ისინი ქუთაისში, სულხან-საბას დასახლებაში მცხოვრები ჯიმშერ ხურციძე და ლევან მესხაძე აღმოჩნდნენ. ლევან მესხაძე ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ჯიმშერ ხურციძე კი ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. ქუთაისის პოლიცია აღნიშნულ ფაქტზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კომენტარს არ აკეთებს.

იმერეთში არც ყაჩაღობების ნაკლებობა იგრძობა. აღნიშნულ დანაშაულს როგორც ცალკეულ რაიონებში, ასევე მაგისტრალურ გზებზეც ხშირად სჩადიან. იმისათვის, რომ მსხვერპლი მათი ყურადღების არეალში მოხდეს, საკმარისია, თან ასი ლარი და მობილური ტელეფონი მაინც ჰქონდეს. მაგალითად, იმერეთის სამხარეო სამმართველოსა და თერჯოლის პოლიციის ერთობლივი ოპერაციის შედეგად, კახა ქათამაძე და დავით ბოჭორიშვილი დააკავეს, რომლებიც სოფელ ძევრში გამავალ საავტომობილო მაგისტრალზე, გადაჭრილი თოფებით შეიარაღებულები თავს დაესხნენ შპს "არტის" კუთვნილ ავტომანქანა "ტოიოტას" და ძალადობის მუქარით გაიტაცეს მათი კუთვნილი შვიდასი ლარი.

ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის საავტომობილო გზაზე კი, გიორგი მესხიშვილი და ალეკო ჯაჭვლიანი ყაჩაღური გზით თავს დაესხნენ, "მერსედესის" მარკის ავტომობილს, რომელსაც მალხაზ კვანტრიშვილი მართავდა. ყაჩაღებმა გადაჭრილი თოფითა და დანის მუქარით მგზავრებს 100 ლარი და მობილური ტელეფონი წაართვეს. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა წყალტუბოს რაიონში, სოფელ საყულიაშიც, სადაც მუხიანის საავტომობილო გზაზე არშაკ ტოტოლაშვილის კუთვნილ კამაზს თავს დაესხა ორი ნიღბიანი, რომლთაგან ერთ-ერთმა ტოტოლაშვილს, ავტომატიდან გასროლით ჭრილობა მიაყენა, მისგან გაიტაცეს 350 ლარი და მობილური ტელეფონი.

გარდა ამისა, ჯერჯერობით დაუდგენელი, პისტოლეტით შეიარაღებული 4 ნიღბიანი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ქუთაისში, მუსხელიშვილის ქუჩაზე მცხოვრებ სერგო ბარბაქაძის ოჯახს. დამნაშავეებმა სხეულის დაზიანებები მიაყენეს სერგო ბარბაქაძეს, მის მეუღლეს ნინო კვირიკაშვილს და ოჯახის სხვა წევრებს, მაგრამ დაზარალებულებმა თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და მათ ოჯახიდან ფულისა და მატერიალური ფასეულობების წაღება ვერ მოახერხეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობას პოლიციისადმი ნდობა ჯერაც არ გასჩენია, ამიტომაც დანაშაულის გარკვეული ნაწილი, მათ შორის - ყაჩაღობებიც, აღურიცხავი რჩება. ამიტომაც, ჩვენს მიერ მოყვანილი მონაცემები რეალურ ვითარებას ვერ ასახავს.

რაც შეეხება ქურდობებს, აღნიშნული ფაქტები რეგიონის მასშტაბით უამრავია, ამიტომაც მათზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

"24 საათი" გარკვეული პერიოდის წინ წერდა მწვანილის ბიზნესის რეკეტის შესახებ, რასაც კრიმინალებისთვის მილიონობით დოლარის მოგება მოჰქონდა. პოლიციის სასახელოდ შეიძლება ითქვას, რომ მათ რამდენიმე გამომძალველის დაკავება შეძლეს.

"პოლიციის მიერ მხილებული იქნა წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიგეთში მცხოვრები 1970 წელს დაბადებული ლერი კარკალაია და სერგო ტყეშელაშვილი, რომლებმაც ამავე სოფელში მცხოვრებ ნოდარ ყაველაშვილს და სხვა პირებს, ძალადობის გამოყენებითა და ქონების განადგურების მუქარით, იანვრიდან ივნისის ჩათვლით, 21 000 ლარი გამოსძალეს", - ნათქვამია პოლიციის ოფიციალურ მონაცემებში.

ამავე რაიონის სოფელ გეგუთში მცხოვრებმა კონსტანტინე ლალიაშვილმა კი წითელხეველ გიორგი ონიანს 350 ლარად ღირებული ცხენი მოჰპარა. სამტრედიაში კი ოთხჯერ ნასამართლევმა ნუგზარ ფხაკაძემ თანასოფლელს სახლის ეზოში მოუკლა 800 ლარად ღირებული ძროხა. 10 აგვისტოს ჭიათურაში თემურ მაჩაიძეს სადგურ ჭიქაურის სარკინიგზო მონაკვეთზე ჩაეძინა, მას ელმავალმა გადაუარა და ადგილზევე გარდაიცვალა. სოფელ ალისუბანში კი მეშვიდეკლასელებმა თავისივე სოფლის საექიმო ამბულატორია გაძარცვეს. ამჟამად სკოლის მოსწავლეები დაკავებულნი არიან. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ სამედიცინოზე სურდა ჩაბარება და ამბულატორიის ნივთები პრაქტიკის გასავლელად სჭირდებოდა. ქუთაისში კი სხვადასხვა ქუჩაზე მოძრავი ორი ადამიანი - მურმან გოგორიშვილი და რომან ხურციზე, უეცრად, გულის შეტევით გარდაიცვალნენ. ისინი ქალაქის პროზექტურაში იქნენ გადაყვანილნი. ეს ოფიციალური მონაცემები ნათლად ასახავს, რომ პოლიციას კრიმინოგენული ვითარების გამოსასწორებლად და საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად ჯეროვანი საქმიანობა დაწყებული არ აქვს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 28 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, საქართველოს პარლამენტის შენობის უკან, სკვერში აფეთქების ხმა გაისმა. შემთხვევის ადგილას გამნაღმველთა ჯგუფი და კინოლოგები მივიდნენ. მათი დასკვნით, აფეთქდა ხელნაკეთი ასაფეთქებელი ნივთიერება. ჩამსხვრეულია იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლის მინები. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. მოკვლევას უშიშროების სამინისტრო აწარმოებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალურ კომენტარს, ჯერჯერობით, არც ერთ ძალოვან უწყებაში არ აკეთებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქართლი.** ქვემო ქართლის რაიონის სამართალდამცველებმა ქურდობაში ეჭვმიტანილი 6-კაციანი ჯგუფი დააკავეს. დაკავებულებს მარნეულის ტერიტორიაზე, ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის სამშენებლო ორგანიზაციის პარკის გაქურდვა ბრალდებათ. გამოძიების მასალებით, უკვე გარკვეულია, რომ ქურდობის ორგანიზატორი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვის, შპს "ატლანტის" თანამშრომლი ზურაბ გელაშვილია. ბოროტმოქმედებმა აღნიშნული ავტოპარკის ტერიტორიიდან 12-კილოვატიანი დიზელ-გენერატორი, რვა ცალი წყლის საქაჩი ტუმბო, ჯიპის საბურავები და ოთხი აკუმულატორი გაიტანეს. მხარის პოლიციამ ქურდები მაშინ დააკავა, როცა ისინი თბილისში, ე. წ ელიავას ბაზრობაზე ნაქურდალი ტუმბოების რეალიზაციით იყვნენ დაკავებულნი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და სამტრედიის პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ სოფელ მიწაბოგირაში მცხოვრები, 30 წლის შოთა ბოლქვაძე დააკავეს, რომელიც ადრე ჩადენილ ყაჩაღობაში იმხილება. ბოლქვაძის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა "აკს"-ის სისტემის ავტომატი ხუთი მჭიდით და 150 ვაზნით, რუსული წარმოების ტყვიაგაუმტარი ჟილეტი და ორი თვითნაკეთი ნიღაბი ამოიღეს. დაკავებულის მიმართ 236-ე მუხლით დამატებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს ვანელი, ნასამართლევი, 27 წლის გუგა ბელთაძე, რომელმაც აბაშის რაიონის სოფელ ზანათში მცხოვრებ, 18 წლის ნათია კოკაიას თაღლითურად გამოსძალა ოქროულობა, მობილური ტელეფონი და 70 ლარი. ნივთმტკიცება ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში მცხოვრები, 23 წლის ზვიად სოხაშვილი, რომელმაც თბილისის დიდუბის ბაზრობის ტერიტორიაზე კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში მცხოვრებ, 54 წლის ბელა თაგვიაშვილს გასტაცა საფულე 30 ლარით. **მედია-ნიუსი**

Mercy Corps
btc
SCP South Caucasus Pipeline

## საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი მთავრობისა და ბიზნესის თანამშრომლობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად

საერთაშორისო ორგანიზაცი მერსი ქორმა და საერთაშორისო ფონდმა "კურაციო", საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში (ინიცირებული და დაფინანსებული ბი-პისა და მისი BTC/SCP პროექტების მიერ) შეიმუშავეს მოსახლეობის სოციალური მომსახურეობის მოდელი, რომლის მიზანია არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მთავრობისა და ბიზნეს სტრუქტურების ჩართვა, რათა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უფრო ეფექტურად გაეწიოს ჯანდაცვითი და სხვა სახის სოციალური მომსახურეობა.

გასული რამდენიმე თვის განმავლობაში "კურაციომ" და "მერსი ქორმა" მიაღწიეს შეთანხმებას ადგილობრივ ბიზნესთან, რომელიც უზრუნველყოფს სოფლების - ივანოვკასა და ჯიგრაშენის დაფინასნებას, ასევე თეთრიწყაროს ადგილობრივ მთავრობასთან, რომელიც აფინასნებს ჯანდაცვის მომსახუეობას სოფლებში ხაიში, ქოსოლარი, დიდი და პატარა დურნუკი. ჯანდაცვით მომსახურეობაში შედის სამედიცინო ბრიგადეს მიერ ვიზიტი აღნიშნულ სოფლებში, პაციენტების გასინჯვა, დიაგნოსტირება, საჭირო ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება, მედიკამენტების შეძენა და მათი გადაცემა ხანშიშესული



მოსახლეობისათვის. თეთრიწყაროს ადგილობრივი მთავრობა ასევე დათანხმდა დაეფინანსებინა საშუალო სამედიცინო პერსონალის ხელფასები სოფლებში სამშვილდე, ქოსოლარი და ახალსოფელი, ხოლო საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა კი უზრუნველყოფს ამ სოფლების ამბულატორიის აღჭურვას საჭირო სამედიცინო მოწყობილობებით.

პროგრამის დაწყებიდან დღემდე აღნიშნული მომსახურეობა გაეწია 200-ზე მეტმა ხანშიშესულმა პაციენტმა, რომელთაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში არ ჰქონიათ შესაძლებლობა მიეღოთ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურეობა თანხების არარსებობის ან სოფლების მოშორებული მდებარეობის გამო. მერსი ქორი და მისი პარტნიორი ორგანიზაციები საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამაში მონიტორინგს გაუწევენ აღნიშნული პროცესის წარმატებით მიმდინარეობას და ხელს შეუწყობენ სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა მოქმედი პირების ურთიერთთანამშრომლობას მსგავს პროგრამებში, რათა ერთად უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეძლონ ქვეყნის საკეთილდღეოდ.



ძირითადი ტენდენცია

# შემეცნების ტკივილი

ა3 გვერდიდან

2) გააფორმოს ფედერაციული ხელშეკრულებები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ცნოს "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა" ფედერაციის სუბიექტად, ხოლო რუსეთი – ფედერაციის გარანტად, მაშასადამე დაეთანხმოს საქართველოს გარდაქმნას ფედერაციულ სახელმწიფოდ.

3) მოიზიდოს რუსული კაპიტალი სახელმწიფოებრივი ცხოველმოქმედების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებშიც კი, როგორიცაა ტრანსპორტი და ენერგეტიკა, გადასცეს რუსულ კომპანიებს მართვაში ან საკუთრებაში უმნიშვნელოვანესი საწარმოები, მათ შორის თუნდაც პორტები და ასე შემდეგ.

აქ ხაზგასასმელია, რომ არც ერთი ეს წინადადება ახალი არ არის. ამას მოსკოვს ჯერ კიდევ შევარდნაძე სთავაზობდა მრავალი წლის განმავლობაში, ამა თუ იმ ფორმით. ოღონდ, რასაკვირველია, აფხაზეთის თაობაზე პოზიციის შეცვლის სანაცვლოდ.

მაგრამ რუსეთის დამოკიდებულება არ იცვლება. მაშასადამე, სავსებით ლოგიკურია კითხვა - რატომ?

ჩემი პასუხი შემდეგია: იმიტომ, რომ ვერც ერთი ხსენებული დათმობა (ვერც "ფედერაცია", ვერც სამხედრო ბაზები და ვერც რუსული კაპიტალის მოზიდვა) ვერ შეაფერხებს საქართველოს (მისგან დამოუკიდებელ) განვითარებას! საქართველოს დამოუკიდებელი განვითარება კი, ადრე თუ გვიან, უეჭველად დასრულდება იმით, რომ ჩვენი ქვეყანა მოახერხებს "გეოპოლიტიკურ კოორდინატთა სისტემის" შეცვლას და იქცევა ნატოსა და ევროკავშირის (ანუ ევროატლანტიკური სივრცის) ორგანულ ნაწილად.

რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური და ჭკვიანი რუსი ექსპერტი, შესანიშნავი ჟურნალისტი, ფენომენალური "ნეზავისიმაია გაზეტას" დამაარსებელი, ვიტალი ტრეტიაკოვი წერდა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა განახორციელოს მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩრდილოეთ კავკასიაში, ვინაიდან ამ რეგიონის მოძლიერება ადგილობრივი სეპარატისტული "ეთნოელიტების" გავლენის ზრდასა და გაძლიერებასაც განაპირობებს. ამიტომ, - წერდა ტრეტიაკოვი, - რუსეთმა უნდა განავითაროს არა თვით ჩრდილოეთ კავკასია, არამედ (მიაქციეთ ყურადღება!) მისი მეზობელი რუსული რეგიონები, რათა იქ წარმოიშვას ჩრდილოეთ კავკასიელი ინდივიდისათვის(!) "მიზიდულობის ძალის მქონე" (!) ცენტრი და ეთნოელიტებმა ველარ შეძლონ ინდივიდს სეპარატისტული ანტირუსული განწყობა შეუნარჩუნონ.

ესე იგი, ამ გზით მოხდება ტრადიციონალისტური ჩრდილოკავკასიური საზოგადოებების სტრუქტურული კრიზისის პროვოცირება, სოციუმში (რუსეთისათვის სასარგებლო) შინაგანი კონფლიქტის გაღვივება, რაც უზრუნველყოფს რუსეთის გავლენის შენარჩუნებას ჩრდილოეთ კავკასიაში (ეს რეგიონი კი რუსეთის გეოპოლიტიკური ძმზის წნულია") არა ძალადობრივი, არამედ ცივილიზებული მეთოდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, - საგანგებოდ აღნიშნავდა ტრეტიაკოვი, - ამგვარი "მიზიდულობის ცენტრი", რამდენიმე წლის შემდეგ (დავაკვირდეთ) შეიძლება წარმოიშვას სამხრეთ კავკასიაში (!!!-ნ.ი.), რითაც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ისარგებლებენ ხსენებული სეპარატისტული ელიტები. (რუსეთისაგან განსხვავებით ხომ, საქართველოს უშუალოდ მათზე გავლენის დამყარების მისწრაფება არ ექნება –ნ.ი.).

გაუგებარია, რატომ იწვევს ოპონენტის გაღიზიანებას (და წარმოშობს მის კომიკურ ეჭვებს) ვითარების მოდელირების ცდა, რაც პოლიტოლოგიაში სავსებით აპრობირებული მეთოდია?

წარმოვიდგინოთ, საქართველო იქცა ნორმალურ, განვითარებულ, აყვავებულ, მდიდარ, სტაბილურ ევროპულ სახელმწიფოდ. ამით იგი ბუნებრივად მოიპოვებს "მიზიდულობის" ძალას ჩრდილოეთ კავკასიელი ინდივიდისათვის. "მიზიდულობის ძალაში" ვგულისხმობ ობიექტურ უნარს, პიროვნულ მისწრაფებათა დაკმაყოფილებისა. ასეთი ძალა გააჩნიათ ევროპულ სახელმწიფოებს და სწორედ ამიტომ იზიდავენ ინდივიდებს მთელი მსოფლიოდან – სამუშაოდ, სასწავლებლად თუ საკუთარი სხვა "პროექტების" განსახორციელებლად. ამიტომაც ვწერდი, რომ ეს ფაქტორი არ უკავშირდება ხელისუფლების კონკრეტულ პოლიტიკას – იგი ობიექტურად მოქმედებს. არსებობს, როგორც "თავისთავადი საგანი" და არანაირ "ნება-ვნებაზე" აღარ არის დამოკიდებული.

და რაც მთავარია: რაკი ასეთი სახელმწიფო ევროკავშირის და ნატოს წევრი იქნება, როგორ შეიძლება დავიჯეროთ, რომ რუსეთისათვის ხელსაყრელია, ევროკავშირი და ნატო დაუმეზობლდეს მარადიული სეპარატისტული ინტენციის მქონე ჩრდილოეთ კავკასიას? ეს, როგორც მინიმუმ, ამ რეგიონში რუსეთის "ხელგახსნილობის" დასასრულს ნიშნავს.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, ევროკავშირი უშუალოდ ესაზღვრება ჩეჩნეთს. განა "მზესავით ნათელი" არ არის, რომ ამ შემთხვევაში კრემლი ველარ შეძლებდა (ყოველ შემთხვევაში, უდიდესი პრობლემების გარეშე) ჩეჩნეთში ისეთივე ბარბაროსული მეთოდებით დაეთრგუნა სეპარატისტული მისწრაფება, როგორითაც ამ ეტაპზე ახერხებს?



იური ლობოდინის ფოტო

*გიორგობას განხორციელებულ რევოლუციაში ქართველმა ხალხმა თავისი უკანასკნელი იმედი - ეროვნული, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მრავალსაუკუნოვანი წმიდათაწმიდა ოცნება ჩადო.*

რუსეთი კი, თავად, ვერასდროს გახდება ევროკავშირის წევრი. ამისათვის იგი მეტისმეტად "დიდი, ვეება და წინააღმდეგობრივია". ევროატლანტიკურ სივრცეში ჭეშმარიტი ინტეგრაცია რუსეთის "ევრაზიული იდენტურობის" დაკარგვის ტოლფასი იქნებოდა. რუსეთი ამით იქცევა სხვა სივრცის ნაკლებგანვითარებულ პროვინციად. მაშინ, როდესაც აქვს პრეტენზია, რომ თავად წარმოადგენს "თვითკმარ სივრცეს" ანუ "თავისთავად ცივილიზაციას".

ასეთი გახლავთ ჩემი პასუხი ნამდვილად აქტუალურ კითხვაზე. მაგრამ დავუშვათ ვცდები. დავუშვათ ეს პასუხი არ არის სწორი. მაშინ კეთილი ინებოს და სხვამ გასცეს პასუხი ხსენებულ კითხვას: ყველა ზემოთჩამოთვლილი დათმობა რატომ არ აკმაყოფილებს რუსეთს და რატომ მიაჩნია მას ისინი არასაკმარისად თავისი სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად საქართველოში?

სინამდვილეში, ამ ინტერესთა განხორციელების უზრუნველსაყოფად, რუსეთი ჩვენგან (არადეკლარირებულად) მოითხოვს შემდეგ გარანტიებს:

1) საქართველოს სრული ინტეგრაცია რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში; საბაჟო კავშირის გაფორმება, რაც რეალურად იმას ნიშნავს, რომ (ვთქვათ) თბილისის აეროპორტსა და სარფის საბაჟოზე ქართველ მებაჟესთან ერთად რუსეთის საბაჟოს წარმომადგენელიც დადგება (მივაქციოთ ყურადღება, სწორედ ამ გზით გვთავაზობენ "ერგნეთის პრობლემის" გადაწყვეტასაც – თუ საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური საზღვარი აღარ იარსებებს, აღარ იარსებებს რუსეთიდან შემომავალი კონტრაბანდის პრობლემაც); კანონმდებლობათა უნიფიკაცია უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის, საგადასახადო და საფინანსო სფეროებში; საერთო ვალუტის შემოღება ანუ საქართველოს შესვლა რუბლის ზონაში, რასაც რუსეთი, თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ 1994 წელს გვთავაზობდა; საბოლოო ანგარიშით, მთლიანობაში, რუსეთსა და საქართველოს შორის "რუსეთ-ბელორუსეთის" უნიის მსგავსი კავშირის შექმნა.

2) თბილისსა და ცხინვალს, თბილისსა და სოხუმს შორის არა ვერტიკალური (ფედერაციული), არამედ ჰორიზონტული (კონფედერაციული) კავშირების დამყარება (აფხაზეთის კურორტებზე უვიზოდ გამგზავრების "წარმტაცი" პერსპექტივით და მხოლოდ გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებით – ესეც აფხაზური იურისდიქციის ქვეშ). ისე რომ, მაგალითად, საგარეო პოლიტიკა, ან სახელმწიფოებრივი ცხოველმოქმედების სხვა უმნიშვნელოვანესი დარგები, არ იყოს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიური პრეროგატივა და ყოფილი ავტონომიების მეშვეობით (ამ ბერკეტის გამოყენებით) რუსეთმა მოახერხოს ზეგავლენა სახელმწიფო პოლიტიკის იმ სფეროებზე, რაც ყველა ფედერაციულ სახელმწიფოში მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური ორგანოების შეუვალი უფლებამოსილებაა. ეს მოდელი გულისხმობს ისეთ "წვრილმანსაც", როგორიცაა რუსულის გამოცხადება (ბუნებრივია, ქართულთან, ოსურთან და აფხაზურთან ერთად) მეოთხე სახელმწიფო ენად და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

აი, სწორედ და მხოლოდ ამ გარანტიათა მიღების შემთხვევაში დაკარგავს რუსეთი ინტერესს, ხელი შეუშალოს საქართველოს განვითარებას. ისევე, როგორც რუსეთს არანაირი ინტერესი არა აქვს, ხელი შეუშალოს ბელორუსის განვითარებას, რაკი მისი განვითარება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას განაპირობებს - მეტს არაფერს.

თუ ქართული ელიტა ამას დაეთანხმება (რაშიც ეჭვი მეპარება), მაშინ მას მოუწევს უპასუხოს საკუთარი მოსახლეობის მრისხანე კითხვას: რაღა საჭირო იყო ამდენი მსხვერპლი 9 აპრილიდან დაწყებული?!

ამერიკასა და მექსიკას რაც შეეხება, ავტორის მოსაზრებებით "ჟონგლიორობა" ისევ და ისევ ოპონირების მდაბალ სტილზე მიუთითებს. სტატიაში ხაზგასმით ვთქვი, რომ ამერიკა, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია მისი მეზობელი ქვეყანა იყოს მდიდარი, სტაბილური, აყვავებული, კონსოლიდირებული, სწრაფად განვითარებადი სახელმწიფო. მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ "გეოპოლიტიკურ კოორდინატთა სისტემის" შეცვლას არ ცდილობს, სახელმწიფოებრივი მდგრადობის თვალსაზრისით არანაირ "საფრთხეებს" არ უქმნის და მისი განვითარება მთლიანად ამერიკაზეა დამოკიდებული. ანუ, ამ სისტემაში, რაც უფრო განვითარდება, მით უფრო მჭიდროდ ინტეგრირებული აღმოჩნდება ამერიკის ეკონომიკასთან და მეზობელი, გრანდიოზული ქვეყნის სხვა სახელმწიფოებრივ სისტემებთან.

ნებისმიერ დიდ სახელმწიფოს სურს, მეზობელი პატარა სახელმწიფო მისი "გავლენის სფეროში" დარჩეს და მისი "სახელმწიფოებრივი ველის ძაბვის ქვეშ" ვითარდებოდეს. ეს არა ბუნების, არამედ გეოპოლიტიკის კანონია. გეოპოლიტიკას კი ბუნებისაზე არა ნაკლებ მრისხანე კანონები აქვს. გააჩნია ვის-სად-ვისთან რა "გაუვა". რუსეთს ბალტიის ქვეყნებთან მიმართებაში ანალოგიური მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ იქ დამარცხდა, რადგან დასავლეთმა შეუდარებლად პრინციპული და შეუვალი პოზიცია დაიკავა.

რაკი ამ სფეროში რაიმე ავტორიტეტზე პრეტენზია არ გამაჩნია, ყველა კითხვითა და შენიშვნით მიმართეთ ჭეშმარიტ ავტორიტეტს – ზბიგნევ ბჟეზინსკის, რომელიც ხსენებულ წიგნში არა თუ მექსიკას, არამედ ევროპასაც კი (მთლიანად!) ამერიკის "ჰეგემონიის" (მისი ტერმინია) სფეროში შემავალ რეგიონად აცხადებს.

■ ■ ■

ბოლოს იწყება ყველაზე საინტერესო. ოპონენტი აფასებს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას "სამხრეთ ოსეთიდან" ჯარების გამოყვანის თაობაზე. თანაც, ჩემს მოსაზრებებთან სრულიად ხელოვნურ და "თითიდან გამოწოვილ" დისკურსში.

ავტორის შეფასებით, ეს გადაწყვეტილება არის "ჰუმანისტური", "სულიერი", "ღირებულებათა მაღიარებელი" და პრობლემის გადაჭრის პერსპექტივის შემცველი. კეთილი და პატიოსანი. დავაკვირდეთ რა გამოდის:

შემოვლითი გზიდან ქართული ფორმირებების გამოყვანამდე რამდენიმე საათით ადრე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შემდგომი წინააღმდეგობა გამოიწვევს კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს. გარდა ამისა, წინააღმდეგობის გაგრძელებით საქართველო დაკარგავს საერთაშორისო მხარდაჭერას ("გვჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა" - პირდაპირი მინიშნება დასავლეთის ზეწოლაზე). თანაც, ეს განცხადება პრეზიდენტმა გააკეთა იმ დროს, როდესაც უკვე იცოდა, რომ დილით ქართულმა ფორმირებებმა დაიკავეს ერთ-ერთი სიმაღლე, სადაც მტრის თხუთმეტამდე მეომარი იყო გამაგრებული. მაშინ, როდესაც წინა დღეებში, შემოვლით გზაზე, ქართულ პოზიციებს ორი ათასამდე "ბოევიკი" უტევდა.

მაშასადამე, პრეზიდენტმა ამით თქვა, რომ ეს არის მისთვის (ესე იგი, მისი რწმენით, ქვეყნისთვის) ძალზე არასასურველი, სამომავლოდ საშიში, მაგრამ იძულებითი (!!!) გადაწყვეტილება. შემდგომ, ამა თუ იმ ფორმით, დებულება გაიმეორა საქართველოს ხელისუფლების ყველა უმაღლესი რანგის წარმომადგენელმა: მივიღეთ არასასურველი, მაგრამ იძულებითი გადაწყვეტილება. რაც მთლიანად დაადასტურა გენერალური შტაბის უფროსის გადაყენებამ. წარმატებული სამხედრო კამპანიის შედეგად ამგვარი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა.

კი მაგრამ, ეს რა პრეზიდენტი და ხელისუფლება გვყოლია? მაშასადამე, ოპონენტის ლოგიკით გამოდის, ისეთი პრეზიდენტი აგვირჩევია, რომელიც მხოლოდ ლამის პლანეტარული ძალისხმევით შეიძლება აიძულო(!), რათა მიიღოს "სულიერი", "ჰუმანური" "ღირებულებათა მაღიარებელი" და "პრობლემის გადაწყვეტის პერსპექტივის შემცველი" (ესე იგი ელემენტარულად გონივრული) გადაწყვეტილება!

თურმე ოსურ-რუსული სპეცდანიშნულების რაზმები იმ მიზნით უტევდნენ ქართულ პოზიციებს შემოვლით გზაზე, რათა საქართველოს ხელისუფლება ამ მეთოდებით "დაერწმუნებინათ", მიეღო "ჰუმანური", "სულიერი" და "ღირებულებითი" გადაწყვეტილება. თანაც **არა იმ ზედაპირული თვალსაზრისით, რომ ომსა და სისხლისღვრაზე უარს წარმოადგენს** (სხვათა შორის, ეს არგუმენტი კიდევ გასაგები და მისაღები იქნებოდა – ნ.ი.)

ეგება შევიკრიბოთ და აღვძრათ შუამდგომლობა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს იმ უჩინარი სამხედრო ჩინოსნის მიმართ, რომელსაც ამდენი ჯაფა და ჭაპანწყვეტა დასჭირდა ჩრდილოეთ კავკასიაში, როკის გვირაბთან, რათა "ძალისმიერი მეთოდებით" დაერწმუნებინა საქართველოს ხელისუფლება, მიეღო "სულიერი", "ჰუმანური" და "ღირებულებათა მაღიარებელი" გადაწყვეტილება?! იქნებ "ტრეპტოვპარკიდან" ცნობილი მონუმენტი გადმოვიტანოთ (ან ზურაბ წერეთელს შევუკვეთოთ ასლი) მის სადიდებლად?

მადლობის მეტი რაღა გვეთქმის სერგეი ლავროვის მიმართ, რომლის სამინისტრო, დიპლომატიური უწყებისათვის უპრეცედენტოდ უხამსი განცხადებებით დღეში სამჯერ, თურმე, იმ მიზნით "ბომბავდა" საქართველოს, რათა, საბოლოო ჯამში, ესოდენ კეთილშობილი და საქართველოსათვის სასიკეთო მიზნისათვის მიეღწია და ჩვენი ხელისუფლებისთვის როგორმე გაეგებინებინა, რამდენად გაიზრდებოდა პრობლემის გადაწყვეტისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის (ამ ეტაპზე თუნდაც გამანადგურებელი კონტრაბანდის შეწყვეტის) პერსპექტივა მას შემდეგ, რაც საქართველო "სამხრეთ ოსეთიდან" თავის შეიარაღებულ ნაწილებს გამოიყვანდა?

ასევე, მისი ღირსპატივცემული კოლეგა, თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, როგორც ჩანს, იმავე კეთილშობილი მიზნის მისაღწევად იღვწოდა: საქართველოს უარეყო, რომ **საარსებო ინტერესების მისაღწევად სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ლამის დარვინისტულად განპირობებული ქიშპობა ერთადერთი შესაძლებლობაა** ანუ ეღიარებინა, რომ **ინტერესთა მრავლობითობა და დარწმუნება გამარჯვების ყველაზე საიმედო და ეფექტური ხერხია.**

არადა, მაინც რა ღირებულებებია ისეთი, რომელთა საქართველოში განსახორციელებლად, ისევე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ლამის მთელი კაცობრიობა გაერთიანდა ადამ ერელიდან – რამზან კადიროვამდე?

აქვე: პოლიტიკაში "სულიერი" და "არასულიერი" გადაწყვეტილებები არ არსებობს. არსებობს სულელური და ჭკვიანური გადაწყვეტილებები. ანუ, მიზანშეწონილი და არამიზანშეწონილი. იმ ვითარებაში, როდესაც რუსული არმია საქართველოში შემოსაჭრელად ემზადებოდა როკის გვირაბთან, ხოლო დასავლეთმა ჩვენი ქვეყანა უსინდისოდ მიატოვა აგრესორის პირისპირ (ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა ძალისმიერ მეთოდებს ქართული ფორმირებების რეგიონიდან განდევნის მიზნით – აბა, სხვას რას ნიშნავდა განცხადებები რუსეთის "კონსტრუქციული როლის" შესახებ კონფლიქტის ზონაში გაგანია საომარი მოქმედებების დროს), პრეზიდენტის გადაწყვეტილება იყო აბსოლუტურად მიზანშეწონილი! მაგრამ იმ აზრით კი არა, თითქოს ამით პრეზიდენტმა იძულებითი გადაწყვეტილების (ანუ კონფლიქტამდელი "სტატუს-კვოს" აღდგენის) რაიმე "ღირებულება" და "პერსპექტიულობა" აღიარა, არამედ იმ მიზეზით, რომ ვითარებაში, როდესაც ქართულმა გენერალიტეტმა ვერაფერი გაახერხა, ხოლო დასავლეთმა პოლიტიკურ მხარდაჭერაზეც კი უარი გვითხრა, საქართველოს, უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა! რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ამის აღიარება, ამ ეტაპზე იძულებული გავხდით უკან დაგვეხია. ეს იყო არჩევანი პოლიტიკურ სიბრტყეზე, შედეგის თვალსაზრისით, "ნაკლებ" და "მეტ" ბოროტებას შორის. ხელისუფლებამ ერთადერთი შესაძლო არჩევანი გააკეთა და სწორად მოიქცა.

არადა, რის მისაღწევად ვითხოვდით პოლიტიკურ (თუნდაც პოლიტიკურ!!!) მხარდაჭერას? - შეცვლილიყო "სტატუს-კვო" მხოლოდ კონტრაბანდის შეწყვეტის თვალსაზრისით მაინც და როკის გვირაბთან დაწესებულიყო ერთობლივი მონიტორინგი. აი, ამისთვისაც კი არ აღმოჩნდნენ მზად! "სამხრეთ ოსეთის" სტატუსზე და "იურისდიქციაზე" ხომ ლაპარაკი ზედმეტია – კატეგორიულად მოგვთხოვეს "სტატუს-კვოს" აღდგენა. ზოგჯერ ლამის რუსეთზე მეტი კატეგორიულობითაც კი.

საქართველოსათვის საშიში და ძალზე არახელსაყრელი ამ "სტატუს-კვოს" დარღვევისათვის ბრძოლას თექვსმეტი ახალგაზრდა სიცოცხლე შეეწირა!!! ყველაზე დიდი ღირებულება ამიერიდან სწორედ იმისათვის ბრძოლაა, რათა მათი მსხვერპლი ამაო არ აღმოჩნდეს და საზიზღარი "სტატუს-კვო", ადრე თუ გვიან, მაინც დაირღვეს.

მიხეილ სააკაშვილი თხემითტერფამდე პრაგმატიკოსია (ანუ ჭეშმარიტი პოლიტიკოსია) და უკანასკნელ მომენტამდე გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთ-ამერიკის "შეხმატკბილებულ" ძალისხმევას, როგორმე აეძულებინათ საქართველო ქართულ სოფლებთან დამაკავშირებული გზიდან ქართული ფორმირებები გაეყვანა, რაკი შესანიშნავად უწყოდა, რომ ეს "შეხმატკბილება" კონფლიქტამდელი სიტუაციის აღდგენის რაიმე "ღირებულებითობით" თუ "პერსპექტიულობით" კი არ იყო განპირობებული, არამედ იმით, რომ ორივე "ხმატკბილს", სწორედ "სტატუს-კვოს" აღდგენა სურდა, თავთავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ერთნაირად (ილიას დავესესხები) "ფეხბზეც ჰკიდიათ".

"პერსპექტივას" რაც შეეხება, მანამ არაფერი გეტკინოთ, სანამ "სამხრეთ ოსეთიდან" ქართული არმიის გამოყვანის შემდეგ, ვენაში, "ეუთო-ს ეგიდით, რუსეთის შუამავლობით და დასავლეთის მონაწილეობით" გამართული მოლაპარაკება რაიმე შედეგს გამოიღებს. შედეგი ისეთივე "წარმატებული" იქნება, როგორი "ხვავრიელიც" იყო ჟენევის ტბისპირა მოლაპარაკებები აფხაზეთის თაობაზე გაეროს ეგიდით, რუსეთის შუამავლობით და ე.წ. "საქართველოს მეგობარი ქვეყნების" მონაწილეობით.

ესეც "კონკრეტულობის მეორადობის" დისკურსში. საბედნიეროდ "კონკრეტულობის მეორადობას" ინსტინქტურად არ ალიარებდნენ ის მეომრები, რომლებიც გმირულად იცავდნენ წვერიახოს ფერდობებზე ერთი პატარა საურმე გზის მონაკვეთს საქართველოს შიდა რეგიონებიდან ლიახვის ხეობის ქართული სოფლებისაკენ. არადა, რა იყო იქ დასაცავი, როცა, თურმე, ალტერნატივა არსებობდა – საკმარისი ყოფილა მათ მეთაურებს და უმაღლეს მხედართმთავარს ბრძოლების დაწყებამდე ეღიარებინათ "კონკრეტულობის მეორადობა", "ინტერესთა მრავლობითობა", უარი ეთქვათ "სახელმწიფოთაშორის დარვინისტულ ქიშპობაზე" (როგორც ჩანს, აქ "მტაცებელი" საქართველო იყო, ხოლო რუსეთი და კოკოითას შეიარაღებული ხროვა საბრალო, "ბალახისმჭამელი" მსხვერპლი) და მიეღოთ სულიერი, ჰუმანური და ღირებულებათა მატარებელი გადაწყვეტილება, ანუ საერთოდ არ ეცადათ "სტატუს-კვოს" დარღვევა, რაკი ეს უფრო პერსპექტიული და მაღალზნეობრივი ყოფილა.

■ ■ ■

სინამდვილეში, რასაკვირველია, მთელი ამ ფსევდომორალისტური რეფლექსიის მიღმა მკაფიო რეფრენად ისმის საბრალო "წიგნიერი ობივატელის" საწყალობელი გოდება: "მშვიდობა გვინდააააააა!!!".

რას ქვია "მშვიდობა გინდა?" მშვიდობა ყველას გვინდა, მაგრამ ქვეყანას სამკვდრო- სასიცოცხლო პრობლემები (უპირველესად, ტერიტორიული კონსოლიდაციის პრობლემა) აქვს გადასაწყვეტი, რის გარეშეც მას, უბრალოდ, მომავალი არ გააჩნია!

პრეზიდენტი "მშვიდობას" არავის დაჰპირებია, არც რევოლუციამდე და არც საპრეზიდენტო არჩევნებამდე. მისი ძირითადი "შეტყობინება" სწორედაც ქვეყნის სტრატეგიულ პრობლემათა გადაწყვეტა და ამისთვის უმოწყალო ბრძოლა იყო.

"ღირებულებითი" თვალსაზრისით კი, როგორც დიდი რონალდ რეიგანი (სხვათა შორის, არც თუ რაფინირებული ინტელიგენტი და მორალისტი, სამაგიეროდ ბრწყინვალე პოლიტიკოსი) ამბობდა, არსებობს "მშვიდობაზე ბევრად დიდი ღირებულებები".

"კოგნიტიური დისონანსის" ერთ-ერთი მიზეზიც ესაა, რომ რეალობის "შემეცნების ჭმუნვა" აიძულებთ, ეძიონ თავიანთი პოზიციის "ფსევდოღირებულებით-მორალისტური" გამართლება. ომის თავიდან აცილების მცდელობა აბსოლუტურად გამართლებულია. ოღონდ არა "ღირებულებითი", არამედ პოლიტიკურ-მიზანშეწონილობითი თვალსაზრისით, სანამ სხვა გზა არ ჩანს და მცირე იმედი კიდევ რჩება.

ეს არავის "დაშინება" არ არის. თუ(!) ამ საზოგადოებას მართლაც სურდა და სურს რუსეთისაგან დამოუკიდებლობა, გეოპოლიტიკურ კოორდინატთა სისტემის შეცვლა, ევროატლანტიკური სივრცის თვისებრივ, ორგანულ ნაწილად ქცევა, მაშინ იმასაც უნდა შევურიგდეთ, რომ მხოლოდ "ვარდებით" ეს არ გამოვა. ამისათვის, დიახაც, გარდუვალი იქნება წლების განმავლობაში უმოწყალო ბრძოლა, მათ შორის, თუ აუცილებელი იქნა, სისხლისღვრა, მრავალმხრივი გაჭირვების ატანა (იგივე "უგაზობა-უშუქობა"), გამოუცხადებელი ეკონომიკური ბლოკადის მოთმენა, საერთოეროვნული ძალისხმევა, კეთილშობილი მიზნის მისაღწევად რეალური მსხვერპლის გაღება (და არა იმის იმედად ყოფნა, რომ ამ მსხვერპლს შენს ნაცვლად სხვა გაიღებს) და ასე შემდეგ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთხელ და სამუდამოდ ვანებოთ თავი ამ "ეროვნულ" თუ "ნაციონალურ" მოძრაობებს და ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე ალმაცერად შევავლოთ ხოლმე თვალი რუსეთის შეიარაღებულ ძალთა "თბილისის გარნიზონის" შტაბს.

■ ■ ■

გიორგობას განხორციელებულ რევოლუციაში ქართველმა ხალხმა თავისი უკანასკნელი იმედი - ეროვნული, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მრავალსაუკუნოვანი წმიდათაწმიდა ოცნება ჩადო.

საბედნიეროდ, პრეზიდენტი და მისი გუნდი სწორედ ამ პროექტს ახორციელებენ და ამით თავისი ერის მოთხოვნას ეხმაურებიან. მაგრამ რევოლუციის მონაწილე სეგმენტთა შორის არსებობდა სხვა პროექტებიც. მათ შორის იყო ერთი "მოდური", იმპოზანტური, აგრესიულად-პრეტენზიული სოციალური სეგმენტი (შესაბამისი "ფსევდოპროექტით"), რომლის აქტიურობა მოსახლეობას ყოველთვის უქმნიდა ყალბ(!) შთაბეჭდილებას, თითქოსდა ლიბერალიზმი შეუთავსებელია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის ბრძოლასთან; რომ, ვითომდაც, ამ იდეალებს თავისთავადი, დემოკრატიული ღირებულება არ გააჩნიათ; ამდენად, უალტერნატივო და ეჭვმიუტანელია ის უპასუხისმგებლო თეზისი, რომ "ჭეშმარიტება" და "სამშობლო" შეიძლება სხვადასხვა ღირებულებით კატეგორიაში განიხილებოდეს და ერთ განუყოფელ მთლიანობას არ წარმოადგენდეს.

სინამდვილეში კი, თუ ქართული სახელმწიფო ვერ "შედგება" (მათ შორის ტერიტორიული კონსოლიდაციის თვალსაზრისითაც), ვერ შედგება ქართული ლიბერალიზმიც. აქ სწორედაც პირველია განმსაზღვრელი და არა მეორე, რაკი "პიროვნებას, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ამაყი სამშობლო სჭირდება". ეს მე არ მითქვამს – ჯერ კიდევ ძველ დემოკრატიაში ითქვა, 2500 წლის წინათ.

"ამაყი სამშობლო" და არა არვიცივის მაჩანჩალა "პროვინციული დემოკრატია", რომელშიც ვცხოვრობდით გასული 10 წლის განმავლობაში.

ამიტომაც ისმის, ჯერჯერობით, ყრუ "კბილთა ღრჭენანი" - ამჟამად ახალი რეალობის "შემეცნების კრუნჩხვას" განიცდიან.

რას იზამ, შემეცნება მტკივნეულია.

## სად მდებარეობს არსად?



B3

## ოლიმპიური თამაშები დასრულდა



B4

## ჩემი კრიალოსანი



B6

ნოდარ ლადარია

ნეტა, ახალ ქართულ რეზერვისტობაში “ზვანიას” შემინარჩუნებენ? — ერთ დროს, საბჭოთა არმიაში კავშირგაბმულობის უფროსი ლეიტენანტი ვიყავი, თუმცა ჩემი სამხედრო ბილეთი ახლა სად დევს, აღარც კი მახსოვს. განა ეს ერთადერთი სიძნელეა? — აი, ქალებსაც მოუწოდეს სამშობლოს დასაცავად. დაგიყენებენ წინ გოგოების ოცეულს და როგორ გინდა აუხსნა, რომ ბრძანება “სწორდი!” მაშინ სრულდება კარგად, როცა მწკრივში შენგან მეოთხე ადამიანის მკერდს ხედავ... ალბათ “გენშტაბის” შემადგენლობა იმიტომაც შეცვალეს, რომ ასეთ რაღაცეებს ახლებურად, ნატოსებურად გაგვიმარტავენ და საქმესაც მოევლება.

კიდევ კარგი, “24 საათის” 28 აგვისტოს ნომერში აგვიხსნეს, რას ნიშნავს რეზერვისტობა შვეიცარიასა და ისრაელში. ახლა, იმედია, ვერც ერთი რეგიონული მმართველი ვერ გაიმართლებს თავს იმის მსგავსად, როგორც წელს გაზაფხულზე ბათუმის მერმა, გიორგი აბაშიძემ აგვიგდო მასხრად: იარაღი იმიტომ დავარიგეთ, რომ “შვეიცარიული მოდელი” ავირჩიეთო. თუმცა რაღაც საშიშროება მაინც რჩება: ოდესღაც, ბავშვობაში სულ კაპიტალიზმის ლანძღვა-გინება მესმოდა და საოცრად გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ სოციალიზმი სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთ-ერთი ფორმა ყოფილა. ლამის შოკში ჩავვარდი. ალბათ შოკი კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩენთ, რომ “სახელმწიფო მხედრიონიზმი” აგვიშენებია. საერთოდ, მშენებლობაზე ბევრი რამ ითქვა გასულ კვირას. ამჯერად თბილისში მრავლად არსებულ უკანონო მშენებლობებს არ ვგულისხმობ...

რამდენიმე დღის წინ ელექტრონულ საფოსტო ყუთში ჩავიხედე და ერთი ჩემი ანონიმური კორესპონდენტის ახალი შეტყობინება დამხვდა. სამწუხაროდ, ავტორს თავისი სახელი ჩემთვის დღემდე არ გაუმჟღავნებია. შემომთავაზა: იქნებ **ნიკა იმნაიშვილის** მიერ შემოთავაზებულ “კონსოლიდირებულ დემოკრატიას” შესაფერი შემოკლება შევურჩიოთო — “კონდემი”. მართალია, ასოციაცია ბროლივით გამჭვირვალე იყო, შეტყობინებაში მაინც მოიპოვებოდა კომენტარი: როგორც კონდომი უშლის ხელს განაყოფიერებას, ისე იმნაიშვილისეული “კონდემი” არ გააჭაჭანებს ჩვენში არც განვითარებას, არც რაიმე სიახლეს, არც იმას, რასაც ნათელი მომავალი შეიძლება დავარქვათ. აქ და შემდგომ იგულისხმება ნ. იმნაიშვილის სტატია *კონსოლიდირებული დემოკრატიის პროექტი* (23 აგვისტო).

სისტემური და ამომწურავი პასუხი იმნაიშვილის იდეებს **ეკა კვესიტაძემ** გასცა 24 აგვისტოს სტატიაში *ზღვარი სახელმწიფო ინტერესებსა და ცენზურას შორის*. აქ რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული იმის შესახებ, თუ როგორ ესმის თვით ნიკა იმნაიშვილს სიტყვათშეთანხმება “კონსოლიდირებული დემოკრატია”, მერე კი ნათქვამია შემდეგი: “**სხვათა შორის, ინგლისური პოლიტიკური ტერმინი** — Consolidate Democracy — **ჩამოყალიბებულ დემოკრატიას ნიშნავს**”. ახლა კი შეგვიძლია გავხსნათ ტერმინოლოგიური გაუგებრობა და ნელ-ნელა შევიყვანოთ დისკუსიას ახლადშემოსწრებული მკითხველი საქმის კურსში.

ამისათვის ავიღოთ უფრო მარტივი წყვილი, მაგალითად, “შავი ყავა”. რას ნიშნავს ეს? — გასაგებია, რომ შავი ფერის (ყოველ შემთხვევაში, მუქ) ყავას უნდა ნიშნავდეს. აქ ზედსართავი სახელი (განსაზღვრება) მასთან უშუალოდ შეთანხმებული არსებითი სახელის (საზღვრული) თვისებებს აღნიშნავს, სხვა სიტყვებით, სინტაქსური და სემანტიკური კავშირი ერთნაირია. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ცნება “შავი ყავა” აღნიშნავს, მაგალითად, დაბალხარისხოვან, წყალწყალა სასმელს, რომლითაც რასისტულ საზოგადოებაში, სადაც აპარტეიდია გამეფებული, უმასპინძლდებიან ზანგებს. ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი მასთან სინტაქსურად დაკავშირებულ არსებით სახელს კი არ ახასიათებს, არამედ რაღაც მესამეზე, სადღაც შორს, კონტექსტუალურ სფეროში მდებარე რეალობაზე მიუთითებს: სინტაქსური და სემანტიკური კავშირები ერთმანეთს აცილებულია.

ასეთივე თამაშს მიმართავს ნიკა იმნაიშვილი. მის მიერ შემოთავაზებულ გამოთქმაში ზედსართავი სახელი “კონსოლიდირებული” არსებით სახელს, “დემოკრატიას” კი არ შეეფარდება, როგორც უნდა იყოს ეს და როგორც არის ინგლისური ტერმინის შემთხვევაში, არამედ მის გარეთ, კონტექსტუალურ სფეროში მდებარე რეალობაზე, კერძოდ, საზოგადოებაზე თუ ერზე მიუთითებს. კონსოლიდირებული თვით დემოკრატია კი არა, მასთან დაკავშირებული საზოგადოება უნდა იყოს.

ეს თამაში რომ შეგნებულია და არა უცაბედი, ნ. იმნაიშვილის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: “**ბატონმა ნოდარმა, რასაკვირველია იცის, რომ სიტყვა-ცნება “დემოკრატია” ხშირად ნაციისა და ქვეყნის აღმნიშვნელად იხმარება**”. ეს, რასაკვირველია, იცის ბატონმა ნოდარმა, მაგრამ ამ ჩვეულებაზე კარგს ვერაფერს იტყვის. უფრო მეტიც, ბატონი ნოდარი ხშირად იმასაც კი არჩევს, როდის გამოიყენება ცნება მეტონიმიურად და როდის — ტერმინოლოგიურად. ვგონებ, ეს არც ბატონ იმნაიშვილს უნდა ერეოდეს, მით უმეტეს, რომ ამდენი რამ უნახავს ცხოვრებაში და **ზურაბ ჟვანიას** რეფერენტობაც მოუსწრია. ნეტა მაშინ თუ ახერხებდა თავისი შეფის “დაბოლებას”? — გავბედავ და ვიტყვი, რომ ალბათ ახერხებდა.

მაგრამ კვლავ ჩვენს “ინგსოცს”, ბოდიში, “კონდემს” დავუბრუნდეთ: რისთვისაა საჭირო ეს ფაქიზი თამაში? — მაგალითად მოყვანილი გამოთქმა “შავი ყავა” თავის მეორე, დამახინჯებულ მნიშვნელობაში რომ სწორად გავიგოთ, საჭიროა ვიცნობდეთ სოციალურ კონტექსტს. თუ არ ვიცნობთ, ვერ გავიგებთ — აქ ლექსიკონი არ კმარა, აქ ენციკლოპედიაა საჭირო. ასევე, თუ სისხლში არა გვაქვს გამჯდარი დემოკრატიული ღირებულებები, საკმარისია ყბადაღებული “ნაციონალური თანხმობის” ილუზია შევიქმნათ (ეს კი ყველას თავისებური შეიძლება ჰქონდეს), თანაც დემოკრატია და ნაცია გავაიგივოთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვიგრძნოთ თავი კონსოლიდირებული დემოკრატიის სამოთხეში. ხელისუფლება კი ისე მოგვაჯდება, როგორც გაუხარდება, თან არც ბატონ იმნაიშვილს დაუვიწყებს ღვაწლს, როგორც თვით ბატონი იმნაიშვილი იმედოვნებს.

ამგვარად გაგებული “კონსოლიდირება” კი შორიდან კი არა, ისევ კავკასიონის გაღმიდან მოდის. ოღონდ იქ ოდნავ სხვა სახელი ჰქვია: “სობორნოსტი”. რუსებმა ყოველნაირად მოახერხეს არა მარტო პლურალიზმის, არამედ პარლამენტარიზმის დისკრედიტირება, ამისთვის იმასაც კი არ მოერიდნენ, რომ საკუთარი სახელმწიფო დუმის სხდომები საცირკო წარმოდგენებს დაამსგავსეს. ჰოდა, ახლა ტირიან: ჩვენ, მართლმადიდებლები, პარლამენტს ვერ ვეგუებით, ჩვენთვის “სობორნოსტია” ზედგამოჭრილი, სადაც გადაწყვეტილებები ხმების ზუსტი დათვლით კი არ მიიღება, არამედ რაღაც გაურკვეველი “კონსენსუსის” საფუძველზე. ეს ტერმინიც ხომ პირველად **მიხეილ გორბაჩოვის** დროს შემოვიდა — საკმაოდ ნაცნობი და ჩვეულია.

რა გაეწყობა, დემოკრატიის პირობებში საქართველოშიც რომ გვყავდეს ჩვენი დუგინი, ბელკოვსკი ან მიგრანიანი დიდი უბედურება არაა. მაგრამ მაინც იბადება ორი კითხვა:

1) რატომ უნდა იქცეს “24 საათი” ამ ჩვენი შინგაზრდილი დუგინის ტრიბუნად?

2) რატომ უნდა იყოს ეს ჩვენი ეროვნული დუგინი ასეთი მოუხეშავი და მდარე? — მე წამიკითხავს იმ ბიჭების სტატიები ორიგინალში: გაცილებით უფრო მტკიცედ და დამაჯერებლად აკეთებენ თავიანთ საქმეს. სანუგეშოდ ერთიღა შეგვრჩა: თუ ჩვენთან ავტორიტარიზმის დასამკვიდრებლად ამდენი ქარაგმა და შემოვლითი გზაა საჭირო, ესე იგი ყველა იმედი ჯერ არ დაკარგულა.

რაც შეეხება რუსული “სობორნოსტისა” და, საერთოდ, საეკლესიო ტრადიციისა და მასთან შეზრდილი პოლიტიკის გავლენას ქართულ სინამდვილეზე, გასულ კვირას “24 საათმა” ორი მშვენიერი მაგალითი შემოგვთავაზა.

პირველი მოქმედების სფეროს მიეკუთვნება: 24 აგვისტოს გამოქვეყნდა *მიმართვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს, მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს, საერთაშორისო თანამეგობრობას*, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სამი მღვდელთმთავარი აწერს ხელს: დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი **აბრაამი**, ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი, **გრიგოლი** და დმანელი ეპისკოპოსი, **ზენონი**. მიმართვაში ნათქვამია: “**რუსეთის ხელისუფლება და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს, ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტი ქართველი და ოსი ხალხების დაპირისპირებად წარმოაჩინოს**”. ეს მიმართვა მართლაც რომ საოცარი ნაბიჯი იყო. არ ვიცი, როგორი რეაქცია ჰქონდა ადრესატს, მაგრამ კარგადაა ცნობილი მასზე სულ სხვა დაუყოვნებელი რეაქცია: საქართველოს საპატრიარქომ, ბოლოს და ბოლოს, შეახსენა ცხინვალისა და ნიქოზის ეპისკოპოსს, ისაიას, რომ საჭიროა აგრძნობინოს საზოგადოებას თავისი არსებობა.

რას იზამ, ჩვენი ეკლესია მხოლოდ ახლა სწავლობს საზოგადოებასთან ურთიერთობას თანამედროვე პირობებში. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსის, გრიგოლის ვრცელი სტატია, *საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია* და *საზოგადოება* (28 აგვისტო). სწორედ ესაა დაპირებული მეორე მაგალითი, რომელიც უკვე ქმედების კი არა ანალიზის სფეროს ეკუთვნის. სხვათა შორის, ტექსტი ერთი თავისთავად ცხადი აზრით იწყება: “**მას შემდეგ, რაც საქართველო გათავისუფლდა კომუნისტური მმართველობისა და ათეისტური იდეოლოგიის წნეხისაგან, საზოგადოებას მიეცა თავისუფალი აზრის გამოთქმის საშუალება, რამაც შესაძლებელი გახადა ერისათვის არსებითი, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე ღიად საუბარი**”. სწორედ თავისუფალი, ღია საუბრის საშუალებას მიიჩნევს მეუფე გრიგოლი ათეისტური ტოტალიტარული რეჟიმის დასასრულად. მარტივია-მეთქი ეს აზრი, მაგრამ რა ხშირად გვჭირდება ჯერ კიდევ ვინმესგან შეხსენება. უკვე ორ კვირაზე მეტია, თვალნათლივ ვხედავთ, რომ ჩვენი ხელისუფლების წევრთა ყოფილ რეფერენტებსაც ავიწყდებათ ხოლმე.

და კიდევ ერთი მარტივი რამ, რაც ჩვენს პირობებში ლამის მოქალაქეობრივი სიმამაცის საზღვარზე დგას — მეუფე გრიგოლის ტექსტში ვკითხულობთ: “**მართლმადიდებელი მოსახლეობის სულ რაღაც 6-7 პროცენტია ეკლესიური და სხვა დანარჩენი კულტუროლოგიურად და ნათლობით აკუთვნებს თავს მართლმადიდებელ ეკლესიას**”. მარტივია, როგორც ყოველგვარი სიმართლე, მაგრამ, აბა, გაბედე და თქვი! რატომაა უფრო ადვილი 87 პროცენტის თქმა? ახლავე გეტყვით: ეს უკანასკნელი პასუხი პირდაპირი გენეტიკური შთამომავალია იმ “პრიპისკებისა”, რომლებითაც ხდებოდა გეგმებისა და გეგმა-ვალდებულებების რეალური შედეგების გადაჭარბება და რომელთა უბადლო ოსტატი იყო **ედუარდ შევარდნაძე**.

და რადგან ჩვენს მართლმადიდებლებს შორის ჯერ კიდევ მაინც პოპულარულია რუსულ ტრადიციაზე დაყრდნობა, ჩვენც მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც ერთგვარ სინათლეს შეიტანს საკითხში. ეს სიტყვები რუსმა მონაზონმა, **მარია სკობცოვამ** წარმოთქვა პარიზში 1936 წელს: “**არის ერთი საშინელი რამ, რომლისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია: არა ხელისუფლების, არა ძალის, არამედ იდეების, ამა თუ იმ გენერალური მიმართულების დიქტატურა, რწმენა, რომ შეუმცდარობა ადვილი განსახორციელებელია. არსებითად, ეს ერთადერთი საშინელებაა თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიაში. თუ ეკლესიაში, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება შეწყნარებასა და აღიარებას უბოძებს, ამ ხელისუფლების მიერ აღზრდილი ადამიანები მოვლენ, ისინი სწორედ ამგვარ ფსიქოლოგიას მოიტანენ. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ისინი, როგორც ძალიან ხარბი და მგრძნობიარე მსმენელები, შეისწავლიან სხვადასხვა თვალსაზრისს, აღიქვამენ პრობლემებს, დაესწრებიან ღვთისმსახურებას და ა. შ. მაგრამ რომელიღაც წამს, როცა თავიანთ თავს ეკლესიურ ადამიანებად შეიგრძნობენ და რადგან სრულიად მოუმზადებელნი იქნებიან ანტინომიური აზროვნებისთვის, იტყვიან: ამ საკითხზე სხვადასხვა აზრი არსებობს, რომელია ჭეშმარიტი? მაგრამ თუ რომელიმე ერთია ჭეშმარიტი, გამოდის, რომ სხვები სიყალბის გამო აღმოფხვრასა და მოსპობას ექვემდებარება. ეს ადამიანები ჯერ ეკლესიას დაეკითხებიან, რადგან მასზე გადაიტანენ შეუმცდარობის ჩვეულ ნიშანს. მაგრამ სულ მალე თვითონ დაიწყებენ ეკლესიის სახელით ლაპარაკს, რადგან საკუთარ თავს შერაცხავენ ამ შეუმცდარობის ნიშნად**”.

გასულმა კვირამ **ბასილ მკალავიშვილის** პროცესის დასაწყისი მოგვიტანა. “24 საათმა” ჩვეული რესპექტაბელობა შეინარჩუნა და აგვარიდა სიტყვა “ნარკომანისტი”, რომლითაც მკალავიშვილმა პროკურორი მოიხსენია. გათვლა მარტივი და თავხედური იყო: შეურაცხყოფაზე ადამიანური რეაქცია უნდა გაიგივებულიყო შედეგით დაინტერესებულობასთან. მაგრამ ახლა ამაზე არას ვამბობ; პროცესთან მეც მაქვს რამდენიმე შეკითხვა. ჯერ ერთი, რატომ ზის განსასჯელი სასულიერო შესამოსელში? ამ შეკითხვის საფუძველი სრულიად ცხადია. მეორეც, რას ნიშნავს პროკურორის სიტყვები: “**მართლმადიდებლობას იყენებდა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ**”? მგონი ზუსტად ასე არ უთქვამს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. საქმე ისაა, რომ ადგილი ჰქონდა ბრალდების ჩამოყალიბებისას მეტაიურიდიული ცნებებით ოპერირებას. სასამართლოს საქმე არაა თეოლოგია და კონფესიური სიწმინდის პრობლემატიკა, თუ ეს არ ეხება სინდისის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური დებულების დარღვევას.

სამაგიეროდ, მეუფე გრიგოლის მიერ გამოცხადებული თავისუფალი დისკუსია ისევ 28 აგვისტოს ნომერში თამარ ამაშუკელმა აიტაცა სტატიით *თუ სამოთხეში მოხვედრა მოგინდათ*. საუბარია უსახური ეკლესიების მშენებლობის ბუმზე. ავტორი კითხულობს: “**ნუთუ ამდენი, ღმერთო მაპატიე და, უსახო ეკლესიის აშენებას არ სჯობია ერთი ან რამდენიმე კარგი ეკლესია ავაშენოთ?**” მერე კი დასძენს: “**არავინ იცის, ვინ, რას და როგორ აგებს. მთავარია, რომ აგებს და ამით ფიქრობს, რომ სამოთხის “ბილეთს” ყიდულობს**”. მაგრამ აქ მთავარი მიზეზი არც რელიგიურ გემოვნებაში (რომელიც ძალიან დაკნინდა) და არც გადაჭარბებულ ღვთისმოსაობაშია (რომლის არსებობა საეჭვოა) — რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს მიზეზები, დაუშვებელია უმთავრესი უბედურების მიჩუმათება: უსახურ ეკლესიათა სოკოებივით გამრავლების ძირითადი მიზეზი მათი მშენებლობიდან “მოტეხილი” თანხებია.

გარდა ამისა, თამარ ამაშუკელი ელიას მთაზე მშენებარე ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარს ყოველთვის იხსენიებს როგორც მონასტერს. ამან მაფიქრებინა, რომ ეს, შესაძლოა, კორექტორის წვლილი იყოს, ავტორისეულ ტექსტში კი “მონსტრი” წერია...

მართლაც ბევრია ჯერ გასაკეთებელი ჩვენს ეკლესიაში და ჩვენს საზოგადოებაშიც — სამკალი ფრიად არს. სამკალს კი ზღაპრებით და არაკებით ვერ მომკი. აი, **ქეთევან იგნატოვამ** 28 აგვისტოს უგვანო ჟურნალებს შეუტია — “სარკეს”, “ბომონდს”, “თბილისელებს” (*ავანტიურა ყვითლადაც არ იღებება*). ერთობ დასაფასებელი წამოწყებაა, მართლაც საშური საქმეა, მაგრამ რას გვეუბნება? — “**არ მინდა დავიჯერო, რომ გემოვნებით, შინაგანი კულტურით და არამეშჩანობით ოდითგან გამორჩეული ქართული საზოგადოება ვულგარული პრიმიტივიზმის იმ ზღავრზე დავიდა, რომელზედაც ზემოთ ჩამოთვლილი და ბოლომდე ვერჩამოთვლილი ჟურნალები არიან**”. დაიჯერეთ, ქალბატონო ქეთევან, დაიჯერეთ, რადგან ჭეშმარიტების სიმწარე უსაფუძვლო მითების სიტკბოზე არ გაიცვლება. აქ ცნება “არამეშჩანობა” ნამდვილად ავტორის მოგონილია (ყოველ შემთხვევაში, მე პირველად მხვდება ეს ნეოლოგიზმი), მაგრამ გაცილებით უფრო ვერაგია გავრცელებული “შინაგანი კულტურა” — “შინაგანი”, ესე იგი, თანდაყოლილი, რის შეძენაზე არაფერი გეხარჯება, ისედაც გაქვს, მუქთად გეძლევა. დავფიქრდეთ, იქნებ სწორედ ამიტომ ავსებენ ხოლმე ქართველები არსებით სახელს “კულტურა” ზედსართავით “შინაგანი”?



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
შეიძინეთ და აჩუქეთ ბუტიკ-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# თბილისური ევრორემონტი, ანუ ოპერაცია "სტრუქტურული კონსოლიდაცია"

*თბილისი, ისევე, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ბევრი ისტორიული ქალაქი, უდიდესი პრობლემების პირისპირ აღმოჩნდა. პრობლემათა ეს კომპლექსი ალბათ ყველაზე თვალსაჩინოდ ქალაქის ისტორიული ნაწილის და მთლიანად ქალაქური გარემოს დეგრადაციაში გამოვლინდება (...).*

*პროფესიონალ არქიტექტორთა არასამთავრობო ორგანიზაცია - "თავისუფალი არქიტექტურული შემოქმედების ინსტიტუტი" მთავრობას მიმართა წინადადებით: დავიწყოთ შეხვედრები ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის გზების მიმართ განსხვავებული მიდგომების, ამ გზების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული ხედვის დაახლოების, საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის მიზნით." (...).*

თამაზ ბოჩორიძე
არქიტექტორი, ჟურნალ A+D-ს (არქიტექტურა + დიზაინი) მთავარი რედაქტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია "თავისუფალი არქიტექტურული შემოქმედების ინსტიტუტის" თავმჯდომარე

ასეთი იყო წერილი, რომლითაც "თავისუფალი არქიტექტურული შემოქმედების ინსტიტუტმა" ა.წ. 26 თებერვალს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, [illegible] მიმართა. [illegible] ჩვენს ინიციატივას, დეპარტამენტმა და სამინისტრომ პასუხის გაცემისგანაც კი თავი შეიკავეს. რატომ? ჩვენ ხომ მხოლოდ სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო პოზიციის ერთ რიგში დაყენებაზე, ამ პოზიციების თანაბარი მნიშვნელობის აღიარებაზე და ფართო საზოგადოებრივი დიალოგის აუცილებლობაზე გვქონდა საუბარი.

ჩვენს მიმართ გამოჩენილი უყურადღებობა, თუ საერთოდ ჩვენი არსებობის უგულვებელყოფა არ გვალაპარაკებს - ჩვენი გულისტკივილის მიზეზები ბევრად უფრო ღრმაა. ახლა კი ყველაფერზე თანმიმდევრობით...

## "კარგი არქიტექტორი - მკვდარი არქიტექტორი"

დღეს ჩვენს საზოგადოებაში არქიტექტურული აქტივობის შესახებ დამკვიდრებული აზრი საოცრად ერთგვაროვანი და თანაც უარყოფითია. ასეთი ერთსულოვნება კონკრეტული მოვლენების შეფასებაში ზოგადად ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი არაა და მისი ასეთი ძლიერი გამოვლინება, ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ქალაქის ისტორიულ ნაწილში მიმდინარე პროცესების უარყოფით შედეგებში მხოლოდ არქიტექტორების დადანაშაულებაც სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ეს პროცესები კი მხოლოდ პირველი შეხედვით ჩანს სტიქიური და უმართავი. უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ, აშკარა გახდება, რომ საწყის ეტაპზე მათ სავსებით შეგნებულად არ უქმნიდნენ ბარიერებს, პირიქით - წაყრუებით გარკვეულად ხელსაც უწყობდნენ. ასეთ უმოქმედობაში შეიძლება ერთგვარი ლოგიკა და "წინდახედულებაც"კი დავინახოთ: ჯერ მტერი შეიქმნა, რომელიც ჩვენი ეროვნული სიამაყის საგანს - კულტურულ მემკვიდრეობას შეესია, აქტიური PR-ის ზემოქმედებით ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, გაჩნდა სოციალური დაკვეთა კულტურის დაცვაზე, რასაც პირველადი ფინანსური წყაროს გაჩენა მოყვა გრანტების სახით, შემდგომ უკვე შეკოწიწდა "დამცველთა" მებრძოლი გუნდი, დაიწყო შეტევა, დაიწერა ქულები - ახლა დღის წესრიგში უფრო მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტა დგას.

ნათელ მიზნებს არქიტექტორების ავტორიტეტიც ეწირება. წლების განმავლობაში სავსებით მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად ხდებოდა მათი შემოქმედების დისკრედიტირება. ისინი ჩვენი კულტურის ლამის უპირველეს და დაუძინებელ მტრებად მონათლეს. დამცველები კი "ბრძოლის არენაზე" სუხიშვილების ხორუმისათვის დამახასიათებელი სინქრონულობით გამოენთნენ და, ისეთი "შეხმატკბილებული" აგრესიულობით შეუტიეს არქიტექტორებს, რომ, მათი შეკრება-შეგროვებისათვის ჩატარებული "სასელექციო" სამუშაოს სერიოზულობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

მაგალითისთვის არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩატარებული გამოფენა, თუ აქცია შეიძლება გავიხსენოთ, რომელსაც, როგორც თვითონ ორგანიზატორები ამბობდნენ - თბილისის ახალმშენებლობებს შორის ყველაზე უმასშტაბო, აგრესიული და უსახური უნდა გამოევლინა. ბუნებრივია, შეიძლება რომელიღაც შენობის მიმართ მნახველს დადებითი დამოკიდებულება, ან სიმპათიაც კი გასჩენოდა, მაგრამ როგორც აღვნიშნე, არჩევანი უნდა გაკეთებულიყო წინასწარ მომზადებულ შეფასებებს შორის, რაც მხოლოდ ორგანიზატორების გარკვეულ მიზანმიმართულობაზე მეტყველებს. დამთვალიერებელთა შორის ბევრი იყო ცნობისმოყვარე, ბევრი განაწყენებული, ბევრიც კი ბავშვი, რომლებიც ორგანიზატორი მშობლების, თუ ნათესავების მითითებების შესაბამისად სიცილ-კისკისით ურიგებდნენ ეპითეტებს გამოფენილ ექსპონატებს და რამდენიმეჯერ აძლევდნენ ისეთ "ბავშვურ" შეფასებას, როგორიცაა, მაგალითად, "უმასშტაბო", ერთი და იგივე ობიექტს. რა თქმა უნდა, ასეთ გამოფენებს ექნებოდა არსებობის უფლება, საუკეთესო შენობის, პროექტის, ან არქიტექტორის გამოსავლენი გამოფენებიც, ან სხვა სახის ღონისძიებები რომ ტარდებოდეს, ან უფრო სწორე, საზოგადოების და მედიის [illegible]

[illegible] ბუქი, კეთილგანწყობილი იუმორის ტონალობა შეაქვს საზოგადოების დამოკიდებულებაში მის მიმართ.

ჩვენში კი ყველაფერი სხვაგვარად ხდება. გაჭირვებით, გაუსაძლისი საბინაო პირობებით უკიდურესად შეწუხებული და "კვადრატული მეტრების" ნებისმიერი გზით მოპოვების იდეით შეპყრობილი მოსახლეობა საკუთარი მიშენებული ლოჯიის (თუ, რა თქმა უნდა, აქვს ეს ბედნიერება), ან ფერდგამოცლილი სახლის ფანჯრიდან უყურებს ქალაქს, მასში მიმდინარე ახალმშენებლობებს და, ბუნებრივია, არქიტექტურის ხელოვნებას მხოლოდ საოცნებო "კვადრატული მეტრების" კონტეინერებთან - შენობებთან აიგივებს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ პირველ რიგში თავისი ზედმეტი "კვადრატული მეტრებით" - ჟანგიანი ლოჯიით შეწუხდებოდა, მაგრამ არა, სხვისი უფრო ცუდია, ამასთან, ძალიან "ბევრია", ანუ დიდი, და, რაც მთავარია, მისი არ არის. ასეთი პროლეტარულ-არითმეტიკული მიდგომა სხვისი სართულების თვლისადმი მანიაკალურ მიდრეკილებაში და პრიმიტიულ "არითმეტიკულ" ესთეტიკაში იზრდება: ბევრი სართული ცუდია, ცოტა -– კარგი, უფრო სწორედ, ცუდი არ არის. კარგი რომ იყოს, მაშინ ამაში არქიტექტორის მცირედი დამსახურება მაინც იქნებოდა, მაგრამ ამის აღიარება უკიდურესად მძიმე ამოცანაა -– ჩვენ ხომ ყოველდღე ჩაგვჩიჩინებენ, რომ არქიტექტორი მხოლოდ ისაა, ვინც ჩვენი, თუ სხვისი არქიტექტურული მემკვიდრეობა შექმნა, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენი გმირისათვის "კარგი არქიტექტორი - მკვდარი არქიტექტორია" (არქიტექტორებს ბოდიშს ვუხდი ცნობილი გამოთქმის პარაფრაზისათვის). ჯამში გამოფენამ ორგანიზატორების მოლოდინი ვერ გაამართლა - თბილისელთა დიდი ინტერესი არ გამოუწვევია და მხოლოდ არქიტექტორებზე მორიგ თავდასხმად და გესლის ნთხევად იქცა.

აქედან გამომდინარე, არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ არქიტექტორთა მცდელობა დიალოგის გამართვისა გამოხმაურებას ვერ პოულობდა. წერილის თავშივე მოყვანილი მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა.

თქმა არ უნდა, მიმდინარე პროცესებში უარყოფითი ბევრია, არც ყველა ახალ შენობას, მათ შორის ჩემი პროექტით განხორციელებულს, ვთვლი შედევრად, მაგრამ, მერწმუნეთ, ამის მიზეზები არქიტექტორებს სხვებზე უკეთ ესმით, თუმცა მათი მოსმენის სურვილს ჩვენი საზოგადოება (პირველ რიგში კი მისი ის ნაწილი, რომელსაც ეს უნდა სჭირდებოდეს და ევალებოდეს კიდეც) დღეს ნაკლებად ამჟღავნებს.

## მე-19 საუკუნის თბილისელი მედუდუკეები და მომავალი დოქტორები

*"თბილისის პროექტი, რომლის სავარაუდო ღირებულებაა 400 ათასი ევრო და გათვლილია 3 წელზე, ითვალისწინებს თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაციის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებას."* (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბ-ნ შ. დოლონაძის თბილისის მერის ბ-ნი ვ. ზოდელავასათვის მიწერილი წერილიდან).

აქციების, გამოფენების, არქიტექტორებისათვის "საპატიო" ჩინ-მენდლების დაწესების, მასმედიაში კრიტიკული გამოსვლების პარალელურად იქმნება რაღაც ისეთი, რომელმაც თითქოს-და ყველა ეს პრობლემა ერთი ხელის მოსმით უნდა მოაგვაროს - პირველ ყოვლისა, ჩამოაყალიბოს ძველი თბილისის რეაბილიტაციის სტრატეგია, დაუყოვნებლივ დაიწყოს ალმშენებლობა და ა.შ. თავისთავად ის, რომ ეს ორი დიამეტრალურად განსხვავებული პროცესი პარალელურად ვითარდება და ისიც, რომ მათ მთავარ გმირებს შორის ერთი და იგივე ადამიანების აღმოჩენაც შეიძლება, ერთის მხრივ, ბუნებრივი უნდა ჩანდეს - ებრძვიან უარყოფითს და ისიც იციან, როგორ დაამკვიდრონ ახალი, უკეთესი რეალობა. მეორეს მხრივ, კი, ალბათ, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს ადამიანები ასევე ბუნებრივად "ჩაეწერონ" ახალ რეალობებში.

"თბილისის პროექტი", რომელიც საქართველოსა და ევროსაბჭოს შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა, უდაოდ სერიოზულ მიზნებს ისახავს, თუმცა მასში გაპარული უცნაური უზუსტობების ხასიათი პირადად ჩემში გარკვეულ ეჭვებს ბადებს, რაც თქვენც მინდა გაგიზიაროთ. წინასწარ იმასაც გეტყვით, რომ არც ტექსტის ქართული ვერსიის წმინდა ლიტერატურული ავკარგიანობის შესახებ საუბარია ჩემი მიზანი. უბრალოდ, მინდა ერთად გავერკვეთ მის მიზნებში, ამოცანებში და მოსალოდნელ შედეგებში - თვითონ პროექტი ხომ თავისი განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ჩვენს თანამონაწილეობას თვლის.

"თბილისის პროექტი" ორი გამოკვეთილი ნაწილისაგან შედგება: პირველი ისეთი პროზაული ამოცანების გადაწყვეტას ისახავს, როგორიცაა დაზიანებული შენობების შეკეთება-გამაგრება, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, საკანალიზაციო ქსელის შეკეთება, წყალსადენის აღდგენა და ა.შ. ეს პროზაულობა მათ მნიშვნელობას, რა თქმა უნდა, არ ამცირებს. პირიქით, ჩვენ დაქცეულ ქალაქს ეს დიდ სიკეთეს, მოსახლეობას კი შვებას მოუტანს. მეორე ნაწილი უკვე უფრო მასშტაბურ მიზნებს ისახავს - სტრატეგია, პოლიტიკა და ა.შ.

"საქართველოსა და ევროსაბჭოს შეთანხმების ძირითადი პრინციპები", სახელმწიფოს ამოცანას ასე განსაზღვრავს: "არსებული ვითარების ფონზე, ერთადერთ სწორ ღონისძიებას სახელმწიფოს მხრიდან წარმოადგენს ისეთი **"პროექტის" განხორციელება, რომელიც თავსდება რეაბილიტაციის სტრატეგიის ჩარჩოში,"** ამავე დროს "პრინციპებში" ჩამოყალიბებულია "პროექტის" როგორც საერთო, ასევე სპეციფიკური ამოცანები: "ძველი ქალაქის **სარეაბილიტაციო სტრატეგიის განსაზღვრა და ორგანიზება(?) სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკაზე დაყრდნობით", "სახელმწიფო საინვესტიციო სტრატეგიის ჩამოყალიბება ძველი თბილისის რეაბილიტაციის მიზნით"** და ა.შ.



ფოტო გადმობეჭდილია ჟურნალიდან ა+დ. რედაქციასთან შეთანხმებით

*სავაჭრო ცენტრი "სელფრიჯის" ბირმინგემში. წინა პლანზე წმინდა მარტინის მე-13 საუკუნის ტაძარი*

ცხადია, დოკუმენტი "ევროპის საბჭოსა და საქართველოს შეთანხმების ძირითადი პრინციპები" ქართულად არ არის და, ალბათ, არც უნდა იყოს შედგენილი, თუმცა ამ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტის ქართული თარგმანი გამართული რომ უნდა იყოს, უდავოა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ თარგმანის ხარისხი ჩვენი "საკუთარი ვინაობის შეგნების შესუსტებას" - ამ ფრაზას თქვენი ნებართვით დოკუმენტის ქართულ თარგმანს დავესესხები - უფრო უწყობს ხელს. "პრინციპებში" მოხსენიებული "ქალაქის დაგეგმარების სამინისტრო", რომელიც, ალბათ, ინგლისური the ministry of urban planning-იდან ითარგმნა და ქალაქგეგმარების სამინისტროს უნდა ნიშნავდეს, ყველა სიკეთესთან ერთად საერთოდ არა გვაქვს, და არც გვქონია. არის სხვა უზუსტობებიც: "თბილისის ისტორიულ ცენტრს, როგორც ეს მისი საზღვრების იურიდიულ განმარტებაშია მოცემული, საკმაოდ დიდი ფართობი უკავია". "საზღვრების იურიდიული განმარტება" ფართობის ისეთ ბუნდოვან ერთეულებს, როგორიცაა "დიდი", ან "მცირე" არ ცნობს და ამ ფრაზას, ბუნებრივია, ფართობის ჩვეული ერთეული, მაგ., ჰექტარი, ან კვადრატული კილომეტრი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, "ძალიან დიდი", თუ "შეთანხმების პრინციპების" ქართული თარგმანის ლოგიკას მივყვებით, უნდა მოსდევდეს, მაგრამ ეტყობა, ფართობს "ევროსაბჭოელები" სხვა ერთეულებით - შენობებით ზომავენ -"დაახლოებით 7 ათასი შენობა" - გვამცნობს "პრინციპები" და აზუსტებს, რომ ეს ფართობი ორი "ყალასაგან" (ერთი გამაგებინა, მთარგმნელი რა ქალაქში ცხოვრობს) და სხვა უბნებისგანაც შედგება. "ურბანული და ნატურალური მემკვიდრეობა", "ოპერატიულ-ტექნიკური ჯგუფის მონაწილეობა მფლობელების წინაშე", "სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობა მძიმე სამუშაოებისათვის", "სპეცსამსახურების მონაწილეობა ძეგლების გამაგრებისათვის", და სხვა მრავალი ასეთი "მარგალიტი", ვშიშობ, ჩემს და თქვენს იუმორის გრძნობას და მოთმინების ფიალასაც სერიოზულ გამოცდას უწყობს.

"პრინციპებისგან" განსხვავებით ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის (პროექტი) დანართი 2 - "თბილისის პროექტი: ძველი ქალაქის რეაბილიტაციის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკა მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივაში", ალბათ, ქართული და ინგლისური პარალელური, თანაბარი მნიშვნელობის ტექსტების სახით მაინც უნდა არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, მის შესავალშივე წერია, რომ "**საუწყებათაშორისო კომისიის სამუშაო ჯგუფის (კოორდინატორი კ. ამირეჯიბი) და ევროპის საბჭოს ექსპერტის (ბერნარ ბუზუ) ერთობლივი შედეგია წინამდებარე ტექნიკური დავალება და სამოქმედო გეგმა.**" ასეთ დასაწყისს წესით, კარგი გაგრძელება უნდა მოყვეს და მოლოდინმაც გამიმართლა: **"ასეთი სოციალური სურათი, ისტორიული მნიშვნელობა, სტრუქტურა და სიმბოლური ღირებულება განაპირობებენ ქალაქის ამ ნაწილისადმი განსაკუთრებულ ინტერესს მემკვიდრეობის მხრივ და აყალიბებენ არა მარტო ადგილობრივი, არამედ მთელი დედაქალაქის მოსახლეობის მხრიდან თვითმყოფადობის ძლიერ შეგრძნებას**"(?!). არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა შემდეგი წინადადების "სტრუქტურა და სიმბოლური ღირებულება": **"ურბანული პოლიტიკის სოციალური ასპექტები უნდა მოიცავდეს: შენობების სტრუქტურულ კონსოლიდაციას;" და ა.შ.** ამ სიტყვებმა ოცი, თუ ოცდახუთი წლის წინათ ჟურნალ "ნიანგის" მიერ მკითხველისთვის შეთავაზებული სადისერტაციო თემები გამახსენა. მათ შორის ერთს ვურჩევდი იმათ, ვინც ჯერ კიდევ არ გამხდარა მეცნიერებათა დოქტორი: "მედუდუკეთა სუნთქვის რეგულაცია მე-19 საუკუნის საქართველოში". მედუდუკეები იქით იყოს, და structural consolidation ქართულად – მხოლოდ და მხოლოდ "კონსტრუქციულ გამაგრებას" ნიშნავს, ანუ დაზიანებული სახლების გამაგრებაზეა, მეგობრებო, საუბარი და არა ჩვენთვის, უბრალო ადამიანებისათვის, რაღაც მიუწვდომელ მატერიაზე. "შეთანხმების პრინციპებში" წერია, რომ ჯერ ერთი, "დაფინანსება უნდა მოხმარდეს ბინათმოწყობისა და მასთან დაკავშირებულ სფეროებს და არა არსებული სირთულეების მოგვარებას და ტურიზმის ნაადრევად განვითარებას" და მეორე: პროექტის შესრულების ერთ-ერთი მაჩვენებელია **მემკვიდრეობის შენარჩუნება**, "ნაკლებად გათვალისწინებულია რესტავრაცია", რაც შენობების გამაგრებას, ანუ რემონტს უნდა გულისხმობდეს, აგრეთვე "ძველი ქალაქის რეაბილიტაცია, ურბანული ინფრასტრუქტურის, კერძოდ საკანალიზაციო მილების, წყალსადინარების(?) აღდგენა შეკეთება". ამასვე გვიდასტურებს "პრინციპების" დანართი 1: "ქმედებათა დეტალური აღწერა", სადაც ისეთი პუნქტები, როგორიცაა "ერთი მოძრავი ბრიგადა (სარემონტო სარეაბილიტაციო ჯგუფი), 3 მუშა, სრული დრო, 42 თვე", (პროექტი სამ წელიწადზეა გათვლილი, რაც წესით სულ 36 თვეს უნდა შეადგენდეს -თ.გ.) "სახელმწიფო საწარმოების მონაწილეობა მძიმე სამუშაოებში (დანგრევა)", შეზავებულია ასეთი ტიპის პუნქტებით: "სახალხო კრება პროექტის განხილვისათვის", რამაც პროექტის საჯაროობაში ეჭვის ნატამალიც არ უნდა დაგვიტოვოს. პრინციპების დასკვნითი ნაწილის - "მოსალოდნელი შედეგები" - ქვეთავში "შედეგი" კი ვკითხულობთ: **"პროექტის ძირითადი მიზანია იმ ექსპერიმენტალური ოპერაციის ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის ძველ უბანში სხვა პროექტების განხორციელებას და პარტნიორების მიერ ახალი პროექტების წამოწყებას"**, რაც ალბათ ისე უნდა გავიგოთ, რომ თუ ნათელი მიზანი გაქვს, ეს უკვე კარგი შედეგია, თუმცა, თუ სახელმწიფოს ვგულისხმობთ, და არა სკოლის მოსწავლეს, ნება მომეცით, ასეთ მიზან-შედეგის ავკარგიანობაში ეჭვი მაინც შევიტანო.

## "არქიტექტურული კომენდანტის საათი" ქართულად, ანუ სარეკომენდაციო რეჟიმი

არქიტექტურულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ხმაური გამოიწვია ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის (პროექტი) N1 დანართმა - "ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების რეგულირების დროებითი რეჟიმი". თბილისის პროექტის კონტექსტში "დროებითი რეჟიმი" უნდა განვიხილოთ, როგორც თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის საწყისი ეტაპი, როგორც ეს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 13 აპრილის N22 დადგენილების საფუძველზე შექმნილი საუწყებათაშორისო კომისიის დასკვნაშია ნათქვამი. "დროებითი რეჟიმის მიზანია ძველი თბილისის რეაბილიტაციის სტრატეგიული გეგმის შედგენამდე, ქალაქის ისტორიული ნაწილის კომპლექსური კვლევის საფუძველზე მარეგლამენტირებელი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის (...) დამტკიცებამდე, (...) ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს მახასიათებლების მაქსიმალური შენარჩუნება", თუმცა ის სავსებით არადროებითი, რაღაც კონსტიტუციისმაგვარი, მძიმე, "მარადიული" დოკუმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელშიც ცვლილებების შეტანა შეუძლებელი თუ არა, საკმაოდ რთული ჩანს და რაღაცით კომუნისტური ეპოქის დროინდელ "მეცნიერულ საფუძველზე" დამყარებულ ცკ-ს დადგენილებებს გავს, რომელთა გაუქმებას, ან მათში ცლილებების შეტანას ისევ და ისევ "მეცნიერული" არგუმენტებით გამყარებული დადგენილებები სჭირდებოდა. ისეთ სფეროში, როგორიც არქიტექტურაა, ყველაფრის ურყევი პრინციპების სახით ჩამოყალიბება შეუძლებელია, და ამ პრინციპებს უფრო ხშირად შემოქმედება განსაზღვრავს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ისეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი როგორსაც "რეჟიმი" წარმოგვიდგენს (ჯერ პრინციპები, მერე კი ამ პრინციპებზე დაფუძნებული შემოქმედება) უბრალოდ ფიქციაა და ამ კავშირის კომპონენტები ერთმანეთთან უფრო რთული კანონზომიერების შესაბამისად ურთიერთმოქმედებენ - პირობითად მას ურთიერთგანპირობებულობა დავარქვათ. "რეჟიმის" ასეთი "სიხისტე", შემოქმედებითი გამოცდილების უგულვებელყოფა უბრალოდ გაუგებარია. არადა, უცხოური, უკვე დიდი ხნის წინ გამოგონებული ველოსიპედისთვის თვალი რომ შეგვევლო, დავინახავდით, რომ დასავლურ პრაქტიკაში ეს საკითხი ნათლად და გასაგებად არის გადაწყვეტილი. არქიტექტურული საქმიანობის რეგულირების ასეთი რეჟიმები დაცვის, კონსერვაციის, თუ ზოგადად ისტორიულ ზონებში არქიტექტურული პრაქტიკის გამოცდილებას, კონკრეტული – მიღწევებისა და წარუმატებლობების ანალიზის შედეგებს ეყრდნობა, ხოლო ის, რაც ასეთი ანალიზის საშუალებით ვერ გაირკვევა, ზუსტდება შემოქმედებითი შეჯიბრების - ე.წ. "იდეების" კონკურსების საშუალებით, რომლებიც ჩვენთან თუ ჩატარებულა კიდეც, მისი შედეგები წარმატებით მიეცა დავიწყებას. შემოქმედების შედეგი ხშირად არაორდინარული, პარადოქსულიც კი შეიძლება აღმოჩნდეს, პარადოქსული კი "რეჟიმი" ვერ იქნება და არც უნდა იყოს. ამიტომ ის, რაც მათში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული, არის ასეთი კონკურსების საგანი, ანუ ქალაქის ისტორიული ნაწილის ყველაზე მნიშვნელოვანი უბნები, თუ ცალკეული ობიექტები, ჩატარების თანმიმდევრობა, მიზნები, ჩატარების **სავალდებულო** წესი (ვადები, ჟიური, პრიზები, მონაწილეთა და ორგანიზატორთა უფლებები და ურთიერთპასუხისმგებლობა, პრემირებული პროექტების საჯარო განხილვის პროცედურა და ა.შ.), ეს დინამიზმს, მოქნილობას და სიცოცხლისუნარიანობას შემატებდა "დროებით რეჟიმს და, რაც მთავარია, ამ **კონკურსების ორგანიზატორი სახელმწიფო**, ან მუნიციპალიტეტი, ან კონკრეტული უბნის, თუ მთლიანად ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა **უნდა იყოს**. სხვაგვარად იდეების კონკურსების ორგანიზება, საქართველოში დღეს შეუძლებლად და არაპროდუქტიულად მიგვაჩნია - ინვესტორს დღეს არც სურვილი ექნება და არც მოთმინება, დაელოდოს "იდეების" კონკურსის შედეგებს, მათ ანალიზს, შემდეგ უკვე მეორე, "რეალური" კონკურსის ჩატარებას, რასაც მთლიანობაში დაახლოებით ერთი წელიწადი, და შეიძლება მეტიც, დასჭირდეს. სხვაა, თუ ასეთ ამოცანებს საერთოდ არ ისახავ და გირჩევნია ყველაფერი წინასწარ იყოს განსაზღვრული. "დროებითი რეჟიმის" ერთადერთ პუნქტში, სადაც სიტყვა კონკურსი ნახსენებია, წერია: "განაშენიანების პროექტი შეიძლება დამუშავებულ იქნას შესაბამისი ლიცენზიის მქონე საპროექტო ორგანიზაციების მიერ პირადი ინიციატივით (?), ფიზიკური თუ იურიდიული პირების დაკვეთით ან სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების (ან მათი დაქვემდებარების ორგანიზაციების) დაკვეთით საჯაროდ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე", რაც რა თქმა უნდა, ახალს არაფერს გვეუბნება: თუ ლიცენზია გაქვს, პროექტს "რეჟიმის" მითითების გარეშეც გააკეთებ, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს, თუ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს, კანონი მათ აქამდეც ავალდებულებდა კონკურსის გამოცხადებას.

**"დროებითი რეჟიმის მოქმედების პერიოდში აუცილებელ პირობად იქნას მიღებული, რომ თბილისის ისტორიული ნაწილის ქუჩათა ქსელი დაცვის ზონებში თავისთავად წარმოადგენს ურბანულ ძეგლს და მისი შეცვლა, გაფართოვება და სხვა ცვლილება დაუშვებელია. ასეთი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი გეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე."** აქ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ "ურბანული ძეგლი" დროებითი რეჟიმის მოქმედების პერიოდისგან დამოუკიდებლად რჩება ურბანულ ძეგლად, თუმცა ის ქალაქის ცოცხალი ნაწილია და ქალაქთან ერთად გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, ვითარდება და რომ თვით ეს ძეგლები გარკვეული პროცესის შედეგი და გამოხატულებაა და არა ვილაცის ერთდროული, მყისიერი მოქმედების. განვითარების, დინამიკის აუცილებლობას ავტორებიც ხედავენ - აკი წერენ კიდეც, რომ ცვლილებები "დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი გეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე", ე.ი. დასაბუთებამ, ანუ პროექტმა უნდა განსაზღვროს ის, რაც ამ დოკუმენტს არა აქვს განსაზღვრული - ცვლილებების ხასიათიც და პრინციპებიც. ამდენად, მინიშნება იმაზე, რომ დაცვის ზონებში ქუჩათა ქსელის "შეცვლა, გაფართოება და სხვა ცვლილება დაუშვებელია", მაპატიეთ, და "პრინციპად" ვერანაირად ვერ გამოდგება, მითუმეტეს, თუ ცვლილებების შეტანა მაინც დასაშვებია.

"დროებითი რეჟიმი" განსაზღვრავს იმ ობიექტების კატეგორიებსაც, რომლებიც დაცვით ზონებში დასაშვები ახალმშენებლობების რიცხვში შედიან. ალბათ ყველა ეს კატეგორია უნდა ექვემდებარებოდეს დროებითი რეჟიმის შეზღუდვებს, ყოველ შემთხვევაში, "განსაკუთრებული მნიშვნელობა და სტრატეგიული დანიშნულება", ავარიულობა, თუ სხვა ნიშნები, ობიექტს შეზღუდვებისაგან არ უნდა ათავისუფლებდეს. თუ ეს ასეა, მაშინ გაუგებარია რად გვჭირდება ოთხი კატეგორიის ჩამოთვლა -– ბოლო კატეგორია - "საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობები, რომლებიც ექვემდებარებიან ამ დადგენილებაში მოყვანილ გეგმარებით შეზღუდვებს და რეკომენდაციებს" - ხომ სავსებით ზუსტად და ამომწურავად განსაზღვრავს დაცვის ზონებში დასაშვები ახალმშენებლობის ობიექტების მიმართებას "რეჟიმთან" და გამონაკლისებისთვის ადგილს არ ტოვებს, მაგრამ ამ ფორმულირებამ რაღაცით არ დააკმაყოფილა ავტორები და ცალკე კატეგორიებად გამოყვეს ის ობიექტები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით, თუ სხვა ნიშნებით სხვებისგან გამოირჩევიან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი, შესაძლებელია, ამ შეზღუდვებს არ დაექვემდებარონ, ანუ ლაპარაკი ისევ გამონაკლისებზე და განსაკუთრებულ შემთხვევებზეა, ეს კი "დროებით რეჟიმში" მხოლოდ ჩვეული "ხვრელების" არსებობაზე მეტყველებს. ამ შემთხვევაში მეჩვენება, რომ საერთოდ სიტყვა "რეჟიმიც" კი ზედმეტად რიხიანად ჟღერს.

"დროებით რეჟიმს" არანაკლები ბუნდოვანება შემოაქვს თავისი არქიტექტურულ-გეგმარებითი რეკომენდაციებით, მაგალითად, ისეთით, რომელიც სხვადასხვა არქიტექტურული ელემენტის, თუ ხერხის - ბალუსტრადის, პარაპეტის, კარნიზის, ფანჯრების ფორმისა და ზომის, აივნების შემოსაზღვრის, "შენობის ფენესტრაციის ხასიათის", თუ სხვ. გამოყენების წესს გვთავაზობს. ასეთ რეცეპტებს, უეჭველია, ისტორიზმის ყველაზე პრიმიტიული გამოვლინებისკენ - ისტორიული სტილების მეტნაკლებად თანმიმდევრული იმიტაციისკენ მივყავართ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს "რეცეპტი" მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათისაა. ამდენად, გაუგებარია, რისთვის გვჭირდება ასეთი რეკომენდაციები? იმისთვის ხომ არა, რომ ზემოთჩამოთვლილი ელემენტებისა და ხერხების არსებობა შეგვახსენოს?

არანაკლები ყურადღების ღირსია შემდეგი პუნქტი: "ღობეების, ფანჯრების, ალაყაფის კარებისა და სხვა ღიობების დასაცავი გისოსებისა და ცხაურების დეკორატიული გადაწყვეტა სტილისტურად უნდა შეესაბამებოდეს ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს, ამ უბნის, კვარტლის თუ ქუჩისათვის დამახასიათებელ ფორმებს. "ავტორებს შევთავაზებ ერთ ამოცანას: ორი შენობა ერთმანეთისგან დაახლოებით 50 მეტრითაა დაშორებული. როგორი უნდა იყოს ამ შენობებიდან ასევე 50 მეტრით დაცილებული მშენებარე ნაგებობის ცხაურებისა და გისოსების "სტილისტური გადაწყვეტა", თუ პირველი შენობა რუსთაველის თეატრია, ხოლო მეორე კი "ოფიცერთა სახლი"? ასეთი უამრავი ამოცანა შეიძლება მოვიყვანოთ და, არა მგონია, ავტორებმა მისი გადაწყვეტა შეძლონ. მაშ ჩვენ რაღას გვერჩიან? უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ასეთი "სახიფათო" ტერმინებისათვის თავი საერთოდ აერიდებინათ?

დაბოლოს ორიოდე სიტყვა ფინანსების შესახებ. ვგონებ, ისეთი სერიოზული საქმე, როგორიც "თბილისის პროექტია", ყველა თბილისელის და, საერთოდ, საქართველოს ყველა მოქალაქის პირდაპირ ინტერესებს ეხება. რამდენადაც მესმის, ამ საქმისთვის გამოყოფილ გრანტს ევროსაბჭო რამდენიმეჯერ არ მოგვცემს. ერთხელ მოგვცეს - შევირგოთ, ოღონდ ყველამ. ამისათვის კი პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ ვის, რატომ და რაში ვუხდით (აქ ზმნას პირველ პირში შეგნებულად ვხმარობ - დემოკრატია მავალებს, თორემ ისე მე ვინ მეკითხება გადახდას, ან არგადახდას) ფულს. ეს ფული ევროსაბჭოს ალბათ კონკრეტული პიროვნებებისთვის კი არა, ყველა თბილისელისთვის აქვს მიცემული (თითოეულ ჩვენგანს 0,35 ევრო გვიწევს ნაღდი ფული!) და თუ მხოლოდ ფსევდომეცნიერული ტერმინოლოგიით ჩვენი გაბრუება, თუ თანხების ათვისება არ არის ამ პროექტის მიზანი, კეთილი ინებეთ, ჩვენო ძვირფასო (ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) ქალბატონებო და ბატონებო, და ანგარიშიც ჩაგვაბარეთ.

**P.S. "თბილისის პროექტის განხორციელება, საქართველოს მოთხოვნით, ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მიერ აღნიშნული პროცესის მენეჯმენტს, საქართველოს ხელისუფლების იმ წარმომადგენლებთან თანამშრომლობაში, რომელთაც ევალებათ პროექტის წინასწარი პირობების განსაზღვრა."** ამავე დროს "შეთანხმების პრინციპები" თბილისის პროექტს განიხილავს, როგორც **ევროპის საბჭოს პროექტს** და ამის საფუძველი, ალბათ, არსებობს.

პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს შეთანხმების პრინციპები, თუ "თბილისის პროექტი" უჩვენოდაც არსებობდა, ოღონდ უსათაუროდ - მზა, ტიპური დოკუმენტების სახით, რომელშიც მხოლოდ ქალაქს ჩაწერ, და ალბათ ერთ-ორ "მინიშნებას" კონკრეტულ ქალაქზე და მის ისტორიაზე - მაგალითად, "ყალას" ან "ქალაქის დაგეგმარების სამინისტროს", და პროექტიც თავისი სტრატეგია-პოლიტიკიანად მზადაა. ყოველ შემთხვევაში, ამ ტექსტებში თბილისის მაგივრად ერევანი, ბაქო, თუ სარაევო, ისე იგრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში. თუმცა ეს მხოლოდ შთაბეჭდილებაა და ამ სიტყვებზე "კონსტრუქტიული და პრაგმატული სულისკვეთებით" პასუხს ვერ ვაგებ.

ისეთ ბუნდოვან, ხისტ და მოუქნელ "დროებით რეჟიმს" კი, რომლის შეზღუდვების დიდი ნაწილი ყველა სიკეთესთან ერთად აზრს დაკარგავს ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის (მაგ., ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისი უფლებრივი ზონირების რუკების) დამტკიცებისთანავე, რომლის რეკომენდაციები გაუგებარია, ვის და რისთვის უნდა სჭირდებოდეს, და... და საერთოდაც, რას გადავეკიდეთ ასეთ დროებით რეჟიმს, იქნებ თავი დავანებოთ, შევეშვათ, იყოს რა, თავისთვის.

ამერიკული ისტორია

# BEAT GENERATION

## ალენ გინზბერგი

მაგდა ანიკაშვილი

ჯეკ კერუაკისგან განსხვავებით ალენ გინზბერგი უფრო გახსნილი ადამიანი იყო. მას პოეზიაში შეაქვს ახალი ხედვა, ასევე სპონტანური შექმნა ნაწარმოებისა. მისი ლექსები ("სუპერმარკეტი კალიფორნიაში", "ამერიკა") სენსაციას ახდენენ. გინზბერგმა უოლტ უიტმენისა და მის პოეზიაში ჰომოსექსუალური მოტივის გავლენა განიცადა. ტიმოტი ლირისთან ერთად LSD-ს დიდი პოპულარიზატორია. მას სკანდალურ პიროვნებად მიიჩნევენ. "ბუდიზმი, მედიტაცია, ფსიქოდელიკები, ლექსის ღია ფორმა, - ეს ფართო აზროვნების ძიება იყო, მისი საზღვრების შესწავლა. კერუაკი "იწვოდა" ხელოვნებით და სვამდა, ბეროუზი მორფზე ატარებდა ექსპერიმენტებს და "გაება", ჩვენ ყველანი ცოტ-ცოტას ვკაიფობდით 45 წლიდან" - ამბობს გინზბერგი.

აქტიური და ენერგიული ალენ გინზბერგი ძალიან პოპულარული ხდება 60-იან წლებში. მონაწილეობას იღებს მუსიკალურ ფესტივალებში, თავადაც აწყობს 1967 წელს ფესტივალს - "Be-In". მისი ყურადღება პოლიტიკური მოვლენებისკენაა მიპყრობილი, არ ტოვებს უკომენტაროდ არც კარიბის კონფლიქტს, არც ვიეტნამის ომს და მემარჯვენეებსაც ალიზიანებს. ის ყველა საპროტესტო დემონსტრაციაზე გამოდის ომის წინააღმდეგ თუ სექსუალური უმცირესობების უფლებათა დასაცავად. აყალიბებს მოძრაობას "ყვავილთა ძალაუფლება" და მშვიდობასა და სიყვარულს ქადაგებს. 70-იან წლებში გინზბერგი ტიბეტელ გურუს ჩოგიამა ტრუნგპას ხვდება და მისგან ბუდიზმს იღებს. მალევე აარსებს კერუაკის სახელობის სულიერი პოეტიკის სკოლას და 90-იან წლებამდე ენერგიულად მუშაობს კოლორადოს ნაპორა გურუტრუნგპას ინსტიტუტში.

ალენ გინზბერგი ბოლომდე 60-იანების სიმბოლოდ დარჩა, მისი ფილოსოფიის გურუდ გადაიქცა. შეინარჩუნა ის სამყარო, რომელიც ახალგაზრდობაში შეიქმნა და თითქოს ველარ ამჩნევდა, რომ მსოფლიო შეიცვალა და ხალხს სხვა პრობლემები აღელვებს. ეს ბუნებრივიც არის, რადგან გინზბერგი ამ ეპოქის ნაყოფი იყო და სხვა კონტექსტში მისი პოეზია და პიროვნება აღარ აღიქმებოდა.

60-იანების შემდეგ მან თითქოს გასტროლით შემოიარა მთელი მსოფლიო და ყველგან, როგორც სამუზეუმო ექსპონატს, ისეთი პატივით იღებდნენ. ჯეკ კერუაკი 1969 წელს დაიღუპა ისე, რომ მოძრაობის განელება თითქმის არ უგრძვნია და მისთვის აღარც ექნებოდა ამას მნიშვნელობა, მას არ შეუფასებია საკუთარი ახალგაზრდობა, არ განუცდია სიბერე და მის მიერ მოტანილი დაბრძენება. ამის გამო კერუაკი უკვე მითიურ სიმბოლოდ იქცა, შეიძლება კიდევ უფრო მჭიდროდ მიკრული თავის ეპოქასთან, ვიდრე გინზბერგი. ერთადერთი ვინც მთელი თაობიდან გასცდა დროისა და მიმდინარეობის ფარგლებს და ლიტერატურის ისტორიაში დამოუკიდებელ და ძლიერ ფიგურად შევიდა, უილიამ ბეროუზია.



ერთადერთი, ვინც მთელი თაობიდან გასცდა დროისა და მიმდინარეობის ფარგლებს და ლიტერატურის ისტორიაში დამოუკიდებელ და ძლიერ ფიგურად შევიდა, უილიამ ბეროუზია.




თავშეკავებული და სიტყვაძუნწი ბეროუზი ერთი შეხედვით ყველას ბანკის კლერკი ეგონა. მის ნაცრისფერ და შეუმჩნეველ გარეგნობაში ძალიან ეგზოტიკური, უჩვეულო იდუმალება იმალებოდა.

**უილიამ ბეროუზი**

თუ კარგად დავაკვირდებით, ბეროუზი არც ყოფილა მჭიდროდ დაკავშირებული ბიტნიკებთან, რადგან ყოველთვის საკუთარ ზმანებებსა და ფანტაზიებში ცხოვრობდა და თითქოს თავად ვერ გაეგო, რეალობა იყო მისი ცხოვრება, თუ ერთ დღეს გაიღვიძებდა ხანგრძლივი ძილისგან. მეგობრებზე ბევრად უფროსი (1914 წელს დაიბადა), უცნაური გარეგნობით გამოირჩეოდა. გამხდარი, სათვალიანი, ქუდით, გამოწყობილი პიჯაკში, რომელსაც არ იშორებდა, ზღვის სანაპიროზეც კი. **თავშეკავებული და სიტყვაძუნწი ბეროუზი ერთი შეხედვით ყველას ბანკის კლერკი ეგონა. "მის ნაცრისფერ და შეუმჩნეველ გარეგნობაში ძალიან ეგზოტიკური, უჩვეულო იდუმალება იმალებოდა,"** - აღწერდა მეგობარს ჯეკ კერუაკი.

უილიამ სუარდ ბეროუზი, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მედიცინას სწავლობს ვენაში. 50-იანი წლებიდან კი "საზოგადოებისთვის მიუღებელ, ამორალურ ცხოვრებას ეწევა", როგორც შემდეგ იტყვიან: "ატარებს ნარკოტიკული და სექსუალური სახის ექსპერიმენტებს". 1953 წელს გამოდის პირველი რომანი "ჯანქი", ნარკომანის ბოდვის მსგავსი აღსარება. 1959 წლიდან კი პარიზში ქვეყნდება "შიშველი საუზმე". ამერიკაში რომანი 1962 წელს გამოიცა და ისეთი სკანდალი გამოიწვია, როგორიც ლიტერატურულ კრიტიკას დიდი ხანია არ ახსოვდა. ანტირეკლამა საუკეთესო რეკლამა გამოდგა და წიგნი უამრავმა ადამიანმა წაიკითხა. ბიტნიკები უსაზღვროდ პოპულარულები გახდნენ. ლიტერატურული მიმომხილველი "ვესთერნ რევიუ" მშრალად იუწყებოდა იმ მკითხველისა და კრიტიკოსების საყურადღებოდ, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ნონკონფორმისტული ლიტერატურა ამერიკაში არ არსებობს, გამოჩნდა ახალი წიგნი უილიამ ბეროუზისა, რომელიც თანამედროვე საზოგადოების პროტესტსა და უარყოფას წარმოადგენს. რეცენზია იმდენად ლაკონური იყო, რომ ეჭვს იწვევდა. ყველა მიხვდა, რომ საქმე ბევრად სერიოზულად იყო, ვიდრე რევიუს სურდა ეს წარმოედგინა; რომ ნარკომანმა ჰომოსექსუალმა, საეჭვო რეპუტაციის მწერალმა თავისი რომანით ამერიკული ლიტერატურის გარკვეულ ეპოქას წერტილი დაუსვა.

უილიამ ბეროუზი ამერიკული საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. წიგნი აიკრძალა. შვიდი წელი "კომპეტენტური პირები" ეცნობოდნენ ნაწარმოებს. 1966 წელს მასაჩუსეტის შტატის უმაღლესმა სასამართლომ წიგნის განხილვა დაიწყო. საბოლოო განაჩენი რომანის რეაბილიტაცია გახლდათ.

რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს, სასამართლო პროცესი პირველი მცდელობა აღმოჩნდა, რაიმე შეფასება მიეცათ ამ ნაწარმოებისა და მისი როლისათვის ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში. იყვნენ ადამიანები, რომლებიც მას ბოდვად მიიჩნევდნენ, თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც "შიშველი საუზმე" შედევრად, ბეროუზი კი გამოაცხადეს გენიოსად, რომელმაც ახალი ეტაპი დაიწყო ლიტერატურაში და ეს სიმართლე იყო. ბეროუზმა დაანგრია ლიტერატურული ნაწარმოების ყველა აქამდე ცნობილი ფორმა და მიაგნო იმ სტილს, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერებოდა იმას, რაც მან აღწერა, თუკი აღწერა საერთოდ რამე, რადგან შეუძლებელია გაგება იმისა, ეს გმირები და მოვლენები რეალურნი არიან თუ ზმანებანი, სად არის ინტერზონა, რა არის ის დაავადება, რომლის შემდეგაც გმირი 45 წლის ასაკში იღვიძებს. ტექსტი სავსეა ბოდვით, ჰალუცინაციებით, ავტორის მიერ მკითხველის მისამართით ნასროლი რეპლიკებით. ერთ ფრაზაში კი - "საუკეთესო გამოსავალი შესასვლელია", რაშიც ნარკოტიკების ზემოქმედების შედეგად შექმნილ სამყაროში შესვლა იგულისხმება, ჩანს ბეროუზის ფილოსოფია. გადასვლა უფრო ემოციურ და ფაქიზ სამყაროში, სადაც ნებისმიერი, ყველაზე დაფარული სურვილებიც კი სრულდება. სტილი, რომელიც დღეს გახდა მისაღები და თემები, რომლებზეც ახლა იწყება საუბარი ხელოვნებაში ბეროუზს ნახევარი საუკუნის წინ აინტერესებს. "შიშველმა საუზმემ" დიდი ზეგავლენა მოახდინა არაერთი თაობის ცნობიერებაზე და ეს უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა ნებისმიერი ნაწარმოებისა.

უილიამ ბეროუზმა დროსა და დიდებას გაუძლო, თავად შექმნა ეპოქა და ბიტნიკების ლიტერატურა თავიდანვე გადაიქცა აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციად, რომელიც მარქსიზმისადმი სიმპატიას გამოხატავდა. პროტესტს უცხადებდა ამერიკის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას და უპირისპირდებოდა წმინდათა-წმინდა საზოგადოებრივ მორალსა და ამერიკული ცხოვრების წესს.

1982 წელს ჯეკ კერუაკის რომანის - "გზაზე" გამოსვლის 25 წლის აღსანიშნად კოლორადოს უნივერსიტეტში გამართულ სემინარზე უილიამ ბეროუზმა სიტყვა წარმოთქვა: "დამსხვრეულთა მოძრაობა ყოვლისმომცველი ლიტერატურული, კულტურული და სოციალური მანიფესტაცია იყო; უფრო დიდი, ვიდრე პოლიტიკაა. დამსხვრეულთა მოძრაობა მოთხრობა იყო. ერთხელ დაწყებულმა მან საკუთარი ფინალი გადაიტანა და სიკვდილის შემდეგ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა გარესამყაროზე. ამის შემდეგ კონსერვატიულად განწყობილმა ინტელექტუალებმა ბიტნიკებში საკუთარი მდგომარეობისთვის სერიოზული საფრთხე დაინახეს, მანამ ვიდრე თავად ბიტნიკები გააცნობიერებდნენ ამას. ეს საფრთხე ამერიკისთვის უფრო საშიში იყო, ვიდრე კომუნიზმი. გაუცხოება, მოუთმენლობა, იმედგაცრუება უკვე იყო ამერიკელთა ცხოვრებაში, ისინი მხოლოდ იმას ელოდნენ, როდის მიუთითებდა კერუაკი მათ გზაზე". (Colorado seminar 1982).

# სად მდებარეობს არსად?

## მალე ენდი უორჰოლის ქალაქი გაიხსნება

მადი სერებრიაკოვა

"მე არსაიდან ვარ" – ენდი უორჰოლის ეს სიტყვები ბევრისთვის ცნობილია. თუმცა ბევრმა არ ვიცოდით, რომ "არსაიდან" პაწაწინა სლოვაკური ქალაქის მეძილაბორსეს სინონიმი ყოფილა. სინამდვილეში, ენდი უორჰოლს ის არასოდეს უნახავს. სამაგიეროდ, პატარა სოფელი მიკოვა და მეძილაბორსე მუდამ ცოცხლობდა მის მეხსიერებაში დედამისის წყალობით: "დედა განუწყვეტლივ ლაპარაკობდა მიკოვაზე და იგონებდა როგორ მიემგზავრებოდნენ ფურგონით მეძილაბორსეში " – იხსენებს ენდი უორჰოლის ძმა ჯონ უორჰოლა – "როცა მრავალი წლის შემდეგ მშობლების სახლის მოსანახულებლად სლოვაკეთში გამგზავრება მოვინდომე, ენდიმ მითხრა – გადაიღე რაც შეიძლება ბევრი სურათი ჩემთვის". ენდი უორჰოლმა მეძილაბორსე სურათებზეც ვერ ნახა. მისმა ძმამ სლოვაკეთში მხოლოდ 1987 წელს ჩააღწია. პოპ-არტის ლეგენდა ამ დროს უკვე ოთხი თვის გარდაცვლილი იყო.

ენდი უორჰოლი, იგივე ენდრიუ უორჰოლა ამერიკელია და ამაში ეჭვი არავის ეპარება. ამბობენ, რომ მთელი მსოფლიო დაარწმუნა, რომ აღარ არის საჭირო გრძნობებით იყო აღტკინებული, შემოქმედებითი აქტი აფექტის მდგომარეობას უდრიდეს. შეიძლება, უბრალოდ ითამაშო მედიაიმიჯებით, ბევრჯერ გაიმერო ერთი და იგივე, იყო ავტორი იმისა, რაც შენ არ დაგიხატავს და გადაგილია, დაემსგავსო ოდნავ დაორთქლილ და დაბრეცილ სარკეს, რომელიც ირეკლავს გარესამყაროს და მაინც მისი ანარეკლი მაინც სულ სხვაა... მოკლედ, ენდი უორჰოლი ძალიან მაგარიც იყო. მან ყველა გააცურა: როგორღაც მოახერხა და ერთ-ერთ ყველაზე დიდ ამერიკელ არტისტად იმის ხარჯზე იქცა, რომ ამერიკული კულტურის ბანალურობა, უხარისხობა და სულელურობა გამოფინა მთელი მსოფლიოს წინაშე. ყველაზე დიდი ამერიკელი მხატვარი, რეჟისორი და უბრალოდ, "კარგი ტიპი" ამერიკული კულტურის ყველაზე დიდი მტერიც იყო და ამასთანავე, ამერიკული უკულტურობისგან ახალ ამერიკულ კულტურას ქმნიდა.

ენდრიუ უორჰოლა და მისი პოპ-არტი ჟურნალების გაფორმებითა და რეკლამებით იწყებოდა. ერთხელ მას ჟურნალ Glamour-ის გაფორმება შეუკვეთეს. ბეჭდვის დროს მისი გვარიდან ერთი ასო ამოვარდა და ასე შეიქმნა ენდი უორჰოლის ბრენდი. 50-იან წლებში კომერციული მხატვრების იმიტაციებით იყო დაკავებული. 60-იანი წლებიდან კი ცნობილი "პოპეა" და "სუპერმენი" შექმნა. აქედან დაიწყო მისი ტექნიკაც: პოპ-კულტურის სიმბოლოთა ფოტოები დიდ, გამჭვირვალე ტილოებზე გადაჰქონდა, მერე ტილოს უკანა მხრიდან საკუთარ შტრიხებსა და ფერებს ამატებდა.



ასე შეიქმნა კემპბელის სუპის ქილები, მერილინის, კოკა-კოლას, კატასტროფების სერიები.

1965 წლიდან ენდი უორჰოლმა ახალი ცხოვრება დაიწყო. მასთან ერთად ახალ ცხოვრებაში ლეგენდარული როკ-ჯგუფი The Velvet Underground-იც ჩაერთო. ლუ რიდსა და კონ კეილის უორჰოლმა მოდელი და მსახიობი ქალი ნიკო გააცნო. ორ წელიწადში მათი სადებიუტო ალბომი The Velvet Underground and Nico გამოვიდა. ენდი მსოფლიოს უვლიდა The Velvet Underground-თან, ასევე ედი სეჯვიკთან ერთად. ყველაფერი დიდებულად იყო: მუსიკა, შოუ, ფოტოები, ფილმები, მანიფესტები და ლექსები – მოკლედ ბოჰემა... რომ არა 1968 წლის 3 ივნისი. The SCUM Manifesto-ს ავტორმა და უბრალოდ, უარყოფილმა ვარსკვლავმა ვალერი სოლანისმა ამ დღეს ენდი უორჰოლს მკერდში სამჯერ ესროლა. საავადმყოფოში უორჰოლის სიკვდილი დააფიქსირეს, თუმცა ნაადრევად. უორჰოლი გადარჩა, შეიძლება ითქვას, მკვდრეთით აღდგა. სამაგიეროდ, მისი სახელი კიდევ უფრო საფუძვლიანად დამკვიდრდა მეოცე საუკუნის ლეგენდების თანავარსკვლავედში. ვალერი სოლანისის შეშლილი ნაბიჯი სხვათათვის შემოქმედების წყაროდ იქცა. ამ ფაქტს ფილმიც მიეძღვნა, სახელად "მე ვესროლე ენდი უორჰოლს".

სიკვდილს გადარჩენილმა უორჰოლმა კი დარჩენილი ცხრა წელიწადი ინტელექტუალურ ცხოვრებას მოახმარა. მან დაარსა ჟურნალი inter/VIEW. ასევე გამოაქვეყნა წიგნი "ენდი უორჰოლის ფილოსოფია: A-დან B-მდე და პირიქით". სიკვდილამდე აგრძელებდა პორტრეტების ხატვას. განსხვავებით მისი დაბადების თარიღისგან, რომელიც დღემდე დაუზუსტებელია, მისი სიკვდილის დრო დადგენილია: 1987 წელი, 22 თებერვალი, კვირა, დილის 6:31. იგი ნიუ-იორკში საავადმყოფოში, ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა.

ენდი უორჰოლს სლოვაკეთისთვის არასოდეს ეცალა. იმ დროს, მას არც სლოვაკეთი მისტიროდა. მიკოვა და მეძილაბორსე მისთვის ბავშვობაში დედის მიერ მოყოლილ ზღაპრებად დარჩა. უორჰოლას ოჯახის სახლი დიდი ხნის მერე გაახსენდათ და იქ ჯერ პატარა მუზეუმი გახსნეს. ახლა კი ევროგაერთიანების დახმარებით, მეძილაბორსეს "უორჰოლის ქალაქად" გადაქცევა განიზრახეს.

"წარმატება – ეს არის სამსახური ნიუ-იორკში" ღაღადებს უორჰოლის ერთ-ერთი პირველი ცნობილი ნამუშევარი. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ მოწოდებით ნიუ-იორკელი არტისტის ქალაქი პაწაწინა მეძილაბორსე გახდება, რომელიც ამ გზით ტურისტული ბიზნესის განვითარებას აპირებს. მეძილაბორსეს ექვს ცენტრალურ შენობას "უორჰოლის სტილში" გადააკეთებენ, პოპ-არტის შთაბეჭდილებების გავლენით აშენდება ოთხი ავტობუსის გაჩერებაც.

ეს იდეა თავდაპირველად თავად ენდი უორჰოლის ძმას ჯონ უორჰოლას გაუჩნდა. მან დაარსა პირველი თანამედროვე ხელოვნების გალერეა მშობლების საგვარეულო სახლში. საბოლოოდ, იგი უორჰოლის მუზეუმად ჩამოყალიბდა და წელიწადში 11 000 ტურისტს იზიდავს პოპ-არტის იდეოლოგის ნამუშევრებისა და ოჯახური რელიქვიების სანახავად.

ჩვენში იტყოდნენ: "მშვიდად იძინე, ენდი ოურჰოლ, რადგან შენი ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას! შენ იცოცხლებ შენს ტილოებში, ფილმებში, მანიფესტებში, შენს მიერ შთაგონებული ადამიანების მუსიკაში, წიგნებში და თვით დანაშაულებრივ ქმედებებშიც. თუნდაც ნიუ-იორკსა და მთელს დანარჩენ მსოფლიოს დაავიწყდება "მე ვესროლე ენდი უორჰოლს" ან "ენდი უორჰოლის ბავშვები", მეძილაბორსეს ავტობუსის გაჩერებები მარად იღაღადებენ შენზე!"

ათენი - 2004

## 29 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ხელბურთი** | | |
| | | ქალები |
| ოქრო | დანია | |
| ვერცხლი | კორეა | |
| ბრინჯაო | უკრაინა | |
| | | კაცები |
| ოქრო | ხორვატია | |
| ვერცხლი | გერმანია | |
| ბრინჯაო | რუსეთი | |
| **ფრენბურთი** | | |
| | | კაცები |
| ოქრო | ბრაზილია | |
| ვერცხლი | იტალია | |
| ბრინჯაო | რუსეთი | |
| **თეკვონდო** | | |
| +67კგ წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ჩენ ჩჟონ | ჩინეთი |
| ვერცხლი | მირიამ ბავერელი | საფრანგეთი |
| ბრინჯაო | ადრიანა კარმონა | ვენესუელა |
| +80კგ წონითი კატეგორია | | კაცები |
| ოქრო | მუნ დაე სუნგ | კორეა |
| ვერცხლი | ალექსანდროს ნიკოლაიდისი | საბერძნეთი |
| ბრინჯაო | პასკალ ჟენტილი | საფრანგეთი |
| **წყალბურთი** | | |
| | | კაცები |
| ოქრო | უნგრეთი | |
| ვერცხლი | სერბეთი | |
| ბრინჯაო | რუსეთი | |
| **მხატვრული ტანვარჯიში** | | |
| პირადი პირველობა | | |
| ოქრო | ალინა კაბაევა | რუსეთი |
| ვერცხლი | ირინა ჩაშჩინა | რუსეთი |
| ბრინჯაო | ანა ბესონოვა | უკრაინა |
| **მძლეოსნობა** | | |
| მარათონი | | კაცები |
| ოქრო | სტეფანო ბალდინი | იტალია |
| ვერცხლი | მებრაჰტომ კეფლეზიღი | აშშ |
| ბრინჯაო | ვანდერლეი დე ლიმა | ბრაზილია |
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| 60კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | იანდრო მიგელ კინტანა | კუბა |
| ვერცხლი | მასუდ ჯოკარი | ირანი |
| ბრინჯაო | კენჯი ინუე | იაპონია |
| 74კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ბუვაისარ საიტიევი | რუსეთი |
| ვერცხლი | გენადი ლალიევი | ყაზახეთი |
| ბრინჯაო | ივან ფუნდორა | კუბა |
| 96კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ხაჯიმურატ გაცალოვი | რუსეთი |
| ვერცხლი | მაგომედ იბრაგიმოვი | უზბეკეთი |
| ბრინჯაო | ალირეზა ჰეიდარი | ირანი |
| **კრივი** | | |
| 48კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | იან ბარტელემი ვარელა | კუბა |
| ვერცხლი | ატაგიუნ იალჩინკაია | თურქეთი |
| ბრინჯაო | სერგეი კაზაკოვი | რუსეთი |
| | ზუ შიმინი | ჩინეთი |
| 54კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | გილერმო რიგონდო ორტისი | კუბა |
| ვერცხლი | ვორაპოი პეტჩკუმი | ტაილანდი |
| ბრინჯაო | სულთანოვი | უზბეკეთი |
| | მამედოვი | აზერბაიჯანი |
| 60კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | მარიო სესარ კინდელან მესა | კუბა |
| ვერცხლი | ამირ ხანი | ბრიტანეთი |
| ბრინჯაო | მურატ ხრაჩევი | რუსეთი |
| | სერიკ ელეუოვი | ყაზახეთი |
| 69კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ბახტიარ არტაევი | ყაზახეთი |
| ვერცხლი | ლორენსო არაგონ არმენტეროსი | კუბა |
| ბრინჯაო | ოლეგ საიტოვი | რუსეთი |
| | კიმ ჯუნ ჯუ | კორეა |
| 81კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ანდრე უორდი | აშშ |
| ვერცხლი | მაგომედ არიფგაჯიევი | ბელორუსი |
| ბრინჯაო | უტკირბეკ ჰაიდაროვი | უზბეკეთი |
| | აჰმედ ისმაილი | ეგვიპტე |
| +91კგ წონითი კატეგორია | | |
| ოქრო | ალექსანდრ პოვეტკინი | რუსეთი |
| ვერცხლი | მოჰამედ ალი | ეგვიპტე |
| ბრინჯაო | რობერტო კამარელე | იტალია |
| | მიხელ ლოპეს ნუნიესი | კუბა |

## საერთო ჩათვლა

| ადგილი | ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 35 | 39 | 29 | 103 |
| 2 | ჩინეთი | 32 | 17 | 14 | 63 |
| 3 | რუსეთი | 27 | 27 | 38 | 92 |
| 4 | ავსტრალია | 17 | 16 | 16 | 49 |
| 5 | იაპონია | 16 | 9 | 12 | 37 |
| 6 | გერმანია | 14 | 16 | 18 | 48 |
| 7 | საფრანგეთი | 11 | 9 | 13 | 33 |
| 8 | იტალია | 10 | 11 | 11 | 32 |
| 9 | კორეა | 9 | 12 | 9 | 30 |
| 10 | დიდი ბრიტანეთი | 9 | 9 | 12 | 30 |
| 11 | კუბა | 9 | 7 | 11 | 27 |
| 12 | უკრაინა | 9 | 5 | 9 | 23 |
| 13 | უნგრეთი | 8 | 6 | 3 | 17 |
| 14 | რუმინეთი | 8 | 5 | 6 | 19 |
| 15 | საბერძნეთი | 6 | 6 | 4 | 16 |
| 16 | ნორვეგია | 5 | 0 | 1 | 6 |
| | პოლონეთი | 4 | 9 | 9 | 22 |
| 18 | ბრაზილია | 4 | 3 | 3 | 10 |
| 19 | შვედეთი | 4 | 1 | 2 | 7 |
| 20 | ესპანეთი | 3 | 11 | 5 | 19 |
| 32 | საქართველო | 2 | 2 | 0 | 4 |

# დასრულდა ესე ამბავი

კახა ფაჩუაშვილი
*ათენიდან*

საქართველოს ნაკრებმა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ორი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი მოიგო. მედლების რაოდენობა შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს. გუშინდელი მდგომარეობით საქართველო 32-ე იყო.

ალექსანდრე კოტორაშვილმა ჯერ კიდევ პატრიარქთან შეხვედრაზე თქვა: აი, ნახეთ, თუ 2 ოქრო, 2 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო არ ავიღოთო. ბატონი ფოტორეპორტიორი ოქროებს ზვიადაურსა და კურტანიძეს უწინასწარმეტყველებდა. მოკლედ, "კოტორა" ახლოს იყო წინასწარმეტყველებასთან, მაგრამ არა და არ გამოდნა ეს ოხერი ბრინჯაო და დავრჩით ასე, ოქრო-ვერცხლის ამარა. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმაც ოლიმპიელებთან შეხვედრაზე განაცხადა, ვინაიდან ოლიმპიადას ხუთი რგოლი აქვს, იქნებ მედალიც ხუთი მოვიგოთ და თითო რგოლში თითო მედალოსანი მოვათავსოთო. "ერთი დავით პოლოსიანი დაგვრჩა. დაელაპარაკეთ, იქნებ როგორმე მედალი გაახერხოს, თუ არადა, ვანო გრიქუროვის სურათი მაინც ჩასვით, როგორც სასწაულის მომხდენის," - იხუმრა პრეზიდენტმა, მაგრამ ამ ბრინჯაოს მაინც არაფერი ეშველა.

არა, ნამდვილად ოქროს ხანაში ვბრუნდებით. ეს აშკარაა, მაგრამ სამომავლოდ ოლიმპიურმა კომიტეტმა იმაზე უნდა იმტვრიოს თავი, როგორ შეასრულოს დევიზი: "უკეთ, ვიდრე ათენში". ამ დევიზისთვის საქართველოს ნაკრებს უკვე ჰყავს ორი ისეთი სპორტსმენი, ვინც პეკინშიც ოქროსთვის იბრძოლებს - ძიუდოისტი ზურაბ ზვიადაური და კლასიკოსი რამაზ ნოზაძე. ეს ორი ახალგაზრდა ფალავანი ახლა შედის სპორტსმენისთვის საუკეთესო წლებში და ერთ-ორ ოლიმპიადას ისე იჭიდავებს, მუდამ ფავორიტი იქნება. აი, დანარჩენი მედლების მომპოვებლები კი საძებარი გვყავს.

კაცმა რომ თქვას, საბოლოო ჯამში ქართველ მოჭიდავეებს სამი უმაღლესი კლასის ოსტატი ჰყავდათ - ზვიადაური, ნოზაძე და კურტანიძე. ნესტორ ხერგიანის ვერცხლი მთლიანად დაუოკებელი ჟინისა და ქართული შემართების შედეგი იყო. ნესტორმა ისე იჭიდავა, როგორც არასდროს და მაქსიმუმს მიაღწია. მწვრთნელთა მთავარი დამსახურება კი ის არის, რომ მათ ვეტერანი ფალავანი ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტული ფორმის პიკზე გაიყვანეს.

მოკლედ, გუნდში სამი დიდი ოსტატი გვყავდა. ზვიადაურმა გააკეთა ის, რაც შეეძლო. ანუ მას შეეძლო ოლიმპიადის მოგება და მოიგო კიდეც. ზურაბის გამარჯვება ყოველგვარი სენსაციის გარეშე იმის მაუწყებელია, რომ მომდევნო წლებში ძიუდოში მისი ერა იწყება. არა, ნამდვილად ღირსეული მედროშე ჰყავდა ქართველობას. ზვიადაური აშკარად ღირსი იყო ამ პატივისა - ის ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს - მედროშეც სწორედ ასეთი უნდა.

რამაზ ნოზაძეს რაც შეეხება, მანაც გააკეთა საქმე, მაგრამ მეტის მიღწევა შეეძლო. მოგვიანებით მან თქვა: "პირველი ქულა ისე იოლად ავართვი, მეგონა, ჰაერში ავაბურთავებდი. გული მომეცა, მის ტემპს ავყევი და ამისთვის დავისაჯე". ანუ რამაზს მეტი შეეძლო, მაგრამ ახალგაზრდობამ და გამოუცდელობამ ულალატა, რის გამოც უფრო გამოცდილი ეგვიპტელის ხაფანგში გაება. მან ბრძოლისთვის ოპტიმალური ტაქტიკა ვერ შეარჩია.

ელდარ კურტანიძე კი საკუთარი თავდაჯერებულობის მსხვერპლი გახდა. უფრო ასე შეიძლება შეფასდეს პირველივე წრეში მისი მარცხი. რა დასამალია და, მისგან ოქროს მედალს მოელოდნენ. ბუნებრივიც იყო. ზედიზედ ორი წელია, ელდარი მსოფლიო ჩემპიონი ხდება. ის ოპტიმალურ ფორმაში იყო და ამიტომაც ელოდა ქართველობა ათენში ჩვენი ახალი ჰიმნის მესამედ აჟღერებას. რაკი ელდარი გუნდის ლიდერად შეირაცხა, მის ირგვლივ არაჯანსაღი აჟიოტაჟი შეიქმნა, რამაც საბოლოო ჯამში კატასტროფა გამოიწვია.

კურტანიძე ჯერ კიდევ სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ აპირებდა კარიერისთვის თავის დანებებას, მაგრამ ოლიმპიური ჟინით შეპყრობილმა ოთხი წლით გადადო ეს ამბავი. ღირსეული საქციელი იყო და მიუჩინეს კიდეც მას ადგილი საქართველოს ნაკრების ლიდერის პოზიციაზე, მაგრამ ამან საპირისპირო შედეგი გამოიღო და ელდარმა პირველივე წრეში იმ მეტოქესთან წააგო, რომელიც სამჯერ ჰყავს დამარცხებული. მათ შორის ერთხელ საკუთარ სახლში, თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. სწორედ ამიტომ ვამბობ, ელდარის მარცხი კატასტროფა იყო-მეთქი.

ირანელ ალირეზა ჰეიდარისთან შეხვედრაში ქართველი ფალავანი 2:0-საც იგებდა, მაგრამ სამჯერ წამოეგო სპარსელის ოინებზე და დამარცხდა. მან თავს უფლება მისცა, მოდუნებულიყო და ინიციატივა ხელიდან გაუშვა. ეს კი სწორედ იმ თავდაჯერებულობის ბრალია, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ დავით პოლოსიანის იმედზე დავრჩით.

დავითმა სტარტი კარგად აიღო. ჯერ მონგოლი ჰურევბათარ ოიუნბიდეგი ჩამოიცილა გზიდან, შემდეგ მას ამერიკელი ერიკ გუერეროც მიაყოლა და მეოთხედფინალში გავიდა. აქ კი გაცილებით ძლიერ კუბელ იანდრო მიგელ ქუინტანას გადაეყარა და ასპარეზიც მას დაუთმო. საბოლოოდ დავით პოლოსიანმა კანადის სახელით მოასპარეზე გივი სისაური დაამარცხა და მეხუთე ადგილზე დამკვიდრდა. ელდარ კურტანიძე მერვეა.

სპორტული გმირობა - ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ნაკრების გამოსვლა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე. პრეზიდენტი ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებს ქართულ სახლში შეხვდა. აქვე მოვიდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი. "თქვენ ხართ ნამდვილი გმირები. თქვენ სასწაული მოახდინეთ და ჩვენი ქვეყნის ღირსება ღირსეულად დაიცავით. ნესტორ ხერგიანის ვერცხლი იყო ის, რამაც გამარჯვებისკენ გაგვიხსნა გზა. რომ არა ნესტორის ვერცხლი, შეიძლება არც ოქრო ყოფილიყო. ზურაბ ზვიადაურმა ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც 100 ლარისთვის ვიღაც ნაძირალებმა დანა გაუყარეს, ზურაბმა მაინც აღიდგინა ფორმა და ოლიმპიადა მოიგო. მინდა მივესალმო გიორგი ასანიძეს, რომელმაც სასწაული ჩაიდინა. მას ჰყავდა ყველაზე ძლიერი მეტოქე, ვინც კი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ გიორგიმ გაიმარჯვა. მე ვამაყობდი, როცა გიორგი ძალიან მშვიდი გამომეტყველებით ძლევდა ყველა სირთულეს. მინდა მივესალმო დიდ მწვრთნელს ვანო გრიქუროვს, რომელმაც საქართველოს ორი ოლიმპიური ჩემპიონი აღუზარდა. გიორგი პრაქტიკულად გამოთიშული იყო სპორტული ცხოვრებიდან, მაგრამ მწვრთნელმა ირწმუნა მისი, ბოლომდე მიჰყვა, ავარჯიშა და ოლიმპიადა მოაგებინა. ჩვენი რამაზ ნოზაძე. ახლა იმ კაცს ვინ მოერეოდა, არ ვიცი, მაგრამ მის დამარცხებასაც შევეჩვევით. მთავარი, რაც ყველამ ირწმუნა და დაინახა, ის არის, რომ საქართველო გამარჯვებას ეჩვევა. დამთავრდა ის დრო, როცა მუდმივად ვაგებდით. ამიერიდან ასე აღარ იქნება.

მე ვიცი, რომ უამრავი ქართველი სპორტსმენი იცავს უცხო ქვეყნების ღირსებას და იმ ქვეყნების სახელით ოლიმპიადებს იგებს. აქამდე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ საქართველოში შეიძლება გამოჩნდეს და გაიზარდოს ოლიმპიური ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში. ახლა ეს ჩემპიონები სხვა ქვეყნებში გამოდიან. ეს არის სირცხვილი. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ნიჭიერი სპორტსმენები და მწვრთნელები. საქართველოში შევქმნათ ის პირობები, რომელიც მომავალ ჩემპიონებს გაგვიზრდის. აი, ბატონო ვანო! თბილისში რომ ძალოსნობის სკოლა გაგიხსნათ და ბინა შეიძინოთ, ხომ ჩამოხვალთ საქართველოში სამუშაოდ. "პირობას გაძლევთ, ჩამოვალ, ბატონო პრეზიდენტო!" - აღუთქვა საქართველოს პრეზიდენტს ვანო გრიქუროვმა. - პირობას გაძლევთ, თქვენ თბილისში სკოლაც გექნებათ, ბინაც და ვარშავაზე ნაკლებ პირობებს ნამდვილად არ შეგიქმნით".

უნდა შევქმნათ სპორტის განვითარების ყველა პირობა. კერძოდ, გადავწყვიტეთ, კახეთში, ყველა დიდ სოფელში, ჭიდაობის დარბაზები ავაგოთ და სექციები გავხსნათ. ანალოგიურ ღონისძიებებს გავატარებთ სხვა სახეობებშიც. გვექნება ძალოსნობისა და ჭიდაობის დარბაზები, რინგი. ჩვენ სუპერმწვრთნელები და სპორტსმენები გვყავს და ისინი თანდათან სამშობლოში უნდა დავაბრუნოთ.

ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩამოსვლისთვის დრო გამოვნახე. უფრო სწორად, ეს დრო ჩვენმა სპორტსმენებმა გამომანახინეს თავისი გამარჯვებებით. მინდა მივესალმო 33-ვე სპორტსმენს, ვინც ათენში იასპარეზა. ეს მათი ოქროსა და ვერცხლის მედლებია. ეს მედლები ყველა ჩვენგანს ეკუთვნის. თქვენ ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინეთ", - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

კახი კახიაშვილი: "ბედნიერი ვარ, რომ ქართულ სახლში ვიმყოფები და აქ არიან საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები. საქართველოს ნაკრების გამარჯვებას ყველა ქართველ გულშემატკივარს ვულოცავ. რაც შეეხება საქართველოში ჩემს დაბრუნებას, მოგეხსენებათ, ამჟამად სანახევროდ საბერძნეთში ვარ, ნახევრად კი საქართველოში. თუ შეიქმნება პირობები იქ მუშაობისა, ვგულისხმობ არა მარტო ძალოსნობის დარბაზს, არამედ კომპლექსურად სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივებს, მაშინ დავფიქრდები, რა შეიძლება გაკეთდეს. სპორტიდან წასვლას კი ჯერ არ ვფიქრობ. კიდევ გავაგრძელებ ვარჯიშს და იქნებ მომავალ თამაშებზე მაინც მოვახერხო წარმატების მიღწევა".





ათენი - 2004

# ოლიმპიური თამაშები დასრულდა. ემზადეთ პეკინისთვის!

*დევიზი - "უკეთ ვიდრე სიდნეიში" - ისტორიას ჩაბარდა. მისია შესრულებულია. ამრიგად, აიწია ოლიმპიურმა თამასამაც. დღეის იქით ქართული ოლიმპიური ოჯახისთვის აქტუალური ხდება შემდეგი: "უკეთ ვიდრე ათენში". XXVIII ათენის ოლიმპიურ თამაშებზე უკეთ ასპარეზობა კი იმას ნიშნავს, რომ 2008 წელს პეკინში ორი ოქროსა და ორიც ვერცხლის მედალი, ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი მაჩვენებლით, გასაუმჯობესებელია. ბუნებრივია, იოლი არ იქნება, მაგრამ არც შეუძლებელია, ასე რომ... ოლიმპიური თამაშები დასრულდა. ემზადეთ პეკინისთვის!*



მას შემდეგ, რაც საქართველომ მსოფლიო ოლიმპიურ ასპარეზზე პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგა, ათენის ოლიმპიური თამაშები მისთვის რიგით მესამე გამოდგა. ჩვენდა საბედნიეროდ, ოლიმპიადების სამშობლოში დაბრუნებული თამაშები წინამორბედებზე ბევრად წარმატებული გამოდგა. ატლანტასა და სიდნეიში მოპოვებული რვა ბრინჯაოს მედლის გამო ხშირად გაიგონებდით: დროა ბრინჯაოს ხანას თავი დავაღწიოთო. დავაღწიეთ კიდეც. მესამე მცდელობა უხვმოსავლიანი გამოდგა.

ბუნებრივია, ათენში ყველაფერი გადაჭარბებულად იგრძნობოდა, როგორც სიხარული ისე სინანული.

გუშინ ღამით ათენის ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიური დროშა ჩამოიხსნა და იგი XXIX პეკინის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებს - ჩინელებს გადაეცათ. დახურვის საზეიმო ცერემონიალის კულმინაცია უმთავრესი ოლიმპიური ჩირაღდნის ჩაქრობა გამოდგა. ოლიმპიელთა ერთ ნაწილს, ამ სცენის შემხედვარეს, ცრემლებიც მოადგა. ბოლოს ტრადიციული ფეიერვერკების ჯერიც დადგა, რომელიც ათენელებს არ დაუშურიათ და ამ მხრივ ძალზე ლამაზი სანახაობაც შემოგვთავაზეს.

ათენის ოლიმპიური თამაშები დასრულდა. ემზადეთ პეკინისთვის!

# პრეზიდენტი კმაყოფილია

ესე იგი, საქმე გაკეთებულია, მაგრამ...

პაატა თოთაძე

ოლიმპიური თამაშების დახურვის ოფიციალურ ცერემონიამდე რამდენიმე საათით ადრე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა ჟაკ როგემ თამაშების მასპინძელთა გარჯას უმაღლესი შეფასება მისცა.

"მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ოლიმპიური თამაშების ორგანიზებასა და კარგად ჩატარებაში მიიღო მონაწილეობა. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ათენს ხშირად აკრიტიკებდნენ, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ღრმად მწამდა, რომ ბერძნები დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართმევდნენ თავს. ისინი იმდენად მონდომებულნი იყვნენ, ემასპინძლათ ასეთი რანგის შეჯიბრებისთვის, შეუძლებელი იყო, სათანადოდ არ მომზადებულიყვნენ", - განაცხადა მან საბერძნეთის ტელევიზიით გამოსვლისას. ასეთი შეფასების მიუხედავად, ბევრი დარწმუნებულია, რომ ეს პრეზიდენტის დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ანუ, მათი განცხადებით, როგე არც ისე კმაყოფილი დარჩა ბერძნების ნამოქმედარით, უბრალოდ, ახლა არ ისურვა ამის გახმაურება. მომავალში კი ბერძნები ამას აუცილებლად გაიგებენ და მწარედაც გაიგებენო.

როგეს მაღალი შეფასება თამაშების ყველა ასპექტს ეხება - ოლიმპიური სოფლით დაწყებული და ტელეტრანსლაციითა და უსაფრთხოებით დამთავრებული. რაც შეეხება გაყიდული ბილეთების რაოდენობას, როგეს აზრით, ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობა 10 მილიონია, უდიდესი რაოდენობის ბილეთია გაყიდული.

სამარანჩის დროს ასეთი ტრადიცია არსებობდა: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ყოველ ოლიმპიადას თავის წინამორბედს ადარებდა და, ბუნებრივია, მომდევნოს უკეთ ახასიათებდა. მხოლოდ ერთხელ, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების შეფასებისგან შეიკავა თავი სამარანჩმა, რისთვისაც ის ამერიკელებმა მკაცრად გააკრიტიკეს. როგესთვის ეს ზაფხულის პირველი ოლიმპიური თამაშებია და, თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, ამ ტრადიციის გაგრძელებას არ აპირებს, ანუ როგე არ აპირებს, ოლიმპიური თამაშები ერთმანეთს ადაროს და არკვიოს, რომელი იყო უკეთესი და რომელი - უარესი. გუშინაც არ შეუდარებია, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ბერძნები კმაყოფილები უნდა იყვნენ მისი შეფასებით.



*ჟაკ როგე ოლიმპიადის ორგანიზებით კმაყოფილია.*

აურაცხელი დოპინგ-სკანდალის მიუხედავად, პრეზიდენტი კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, ოლიმპიურ თამაშებში 10 000-ზე მეტი სპორტსმენი იღებს მონაწილეობას და მათ შორის შეუძლებელია, არ იყვნენ თაღლითები და მატყუარები. "ყველა სუფთა ვერ იქნება. სამწუხაროა, მაგრამ ასეთია რეალობა. ეს მარტო სპორტში კი არა, თითქმის ყველა სხვა სფეროში ასეა. ამიტომ მათ უნდა ვებრძოლოთ. კმაყოფილიც ვარ, ამდენი სპორტსმენი რომ ვამხილეთ უწესო საქციელში. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამგვარი გზით წარმატების მიღწევა არავის შერჩება. პეკინში კიდევ უფრო მკაცრნი ვიქნებით. ამიტომ ამთავითვე ვაფრთხილებ ყველას: თავი შეიკავეთ უწესო საქციელისგან, არ მიიღოთ აკრძალული პრეპარატები, რადგან მომავალში არავის დავინდობთ", - განაცხადა როგემ. დანდობაში მან იგულისხმა, რომ თუ აქამდე სპორტსმენი პირველად იქნებოდა მხილებული დოპინგის ხმარებაში, მოკლევადიან დისკვალიფიკაციას აძლევდნენ და მხოლოდ მეორედ "გამოჭერის" შემთხვევაში სჯიდნენ სამუდამო დისკვალიფიკაციით. როგეს თქმით, ის აპირებს ამის შეცვლას და დოპინგის პირველივე მოხმარებისთვის სპორტსმენის სამუდამოდ მოკვეთას.

რატომ განაცხადა პრეზიდენტმა ამგვარი რამ მაინცდამაინც ახლა? როგორც ამბობენ, ამით მან ჩინელები გააფრთხილა. ყველასთვის ცნობილია, რომ ბოლო წლებში არაერთი ჩინელი სპორტსმენი ამხილეს დოპინგის ხმარებაში. ბევრი დარწმუნებულია, რომ სწორედ ამით მიაღწიეს ჩინელებმა ასეთ დიდ პროგრესს მოკლე დროში, პეკინში კი, ალბათ, ყოველი მეორე სპორტსმენი დოპინგით იქნება გაჭყეპილიო.

TV-სპორტი

# ბელგიის დიდი დომხალი

ბიბა ბურასაშვილი

*"კაცებსა და ბიჭუნებს შორის "სპა" ზღვარს ავლებს", - ოდესღაც უთქვამს დენი ჰიულმს, 1967 წლის სამეფო რბოლების ტრიუმფატორს. ბელგიის დიდი პრიზი სხვა მხრივაც მნიშვნელოვანია. "სპა-ფრანკორშამპის" ტრასა ფორმულა 1-ის პილოტთა ერთგვარი ნებიერაა. მიაჩნიათ, რომ, მონაკოს მსგავსად, "სპა"-ზე ასპარეზობა პილოტთა სარბოლო თვისებების გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა. მათი რეალური შესაძლებლობები სწორედ აქ ვლინდება და არა სხვაგან. საჯინიბოთა და მათ მესაჭეთა შესაძლებლობები გუშინაც გამოჩნდა. ერთწლიანი შესვენების შემდეგ ბელგიას დიდი პრიზი დაუბრუნდა.*

ასე იყო და, ალბათ, ასეც იქნება: ბელგიის დიდი პრიზი მრბოლთათვის დიდი გამოწვევაა. ტრასის მახასიათებლების გარდა, პილოტთათვის დამატებითი წინაღობის როლს ყოველთვის ამინდი ასრულებდა და ასრულებს. წვიმა და ნისლი "სპა-ფრანკორშამპისთვის" ჩვეულებრივი ამბავია. ისეც ხდება ხოლმე, რომ ტრასის ერთ მონაკვეთს მზე დაჰყურებს, მეორეზე კი წვიმს. გუშინაც ასე იყო: ტრასის ერთ მხარეს მზე ანათებდა, ხოლო მეორის თავზე ტყვიისფერი ღრუბელი ჩამოკიდებულიყო.

და კიდევ, "სპა" ავარიებსაცაა ჩვეული. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. 1998 წელს მიხაელ შუმახერის და დევიდ კულჰარდის შეჯახება თუ ერთი წლის შემდეგ ჟაკ ვილნევისა და რიკარდო ზონტას ტრასიდან გადავარდნა; 2000 წელს ბენეტონელი ჯანკარლო ფიზიკელას ამობრუნება; 2001 წელს ლუჩანო ბურტის საშინელი ავარია იაგუარელ ედი ირვაინთან, როდესაც ლუჩანოს "პროსტი" ერთ-ერთი მოსახვევში საბურავების ჯებირს შეასკდა. ბელგიის დიდ პრიზს ბევრი ასეთი დრამა უნახავს.

ამ მხრივ გამონაკლისი არც გუშინდელი დღე – მსოფლიოს ჩემპიონატის მე-14 ეტაპი ყოფილა. მეტიც: მგონი, პილოტებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. თითქმის ყოველ მესამე-მეოთხე წრეზე აქეთ-იქით ცვიოდა ბოლიდების ნამსხვრევები. პეისკარსაც იმდენჯერ უხმეს ტრასაზე, რომ მისი მესაჭისთვისაც ალალი იქნებოდა, ჩასათვლელი ქულა გაემეტებინათ. ეს, ისე, ხუმრობით, თუმცა, ვის ეცალა საამისოდ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ 44 წრეს სულ რამდენიმე პილოტი დაასრულებდა. ტრასის განაპირა მონაკვეთები ბოლიდთა სასაფლაოს ჰგავდა. ისინი კი, ვინც რბოლას აგრძელებდნენ, საკმაოდ დასახიჩრებული ბოლიდებით უხდებოდათ შეჯიბრება. ზოგსაც მეტოქის რაღაც ნაწილი აეკრა საკუთარ მანქანაზე და ისე მიიკვლევდა გზას ფინიშისკენ.

თავში ვთქვი, ბელგიის დიდი პრიზი საუკეთესო გამოწვევაა მრბოლთათვის-მეთქი. ვინც გუშინ შეჯიბრებას თვალი ადევნა, ამაში ეჭვი არ შეეპარებოდა: 20 ბოლიდიდან მხოლოდ 9 მივიდა ფინიშზე.

"სპა-ფრანკორშამპის" დომხალს პირველმა თავი დააღწია მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა, რომლისთვისაც ბელგიის დიდ პრიზი სეზონის პირველი წარმატებული რბოლა გამოდგა. დრამატიზმითა და კალეიდოსკოპური ცვლილებებით გაჯერებულ რბოლაში ისე როგორ იქნებოდა, მიხაელ შუმახერს სარგებელი არ ენახა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ დარჩენილი ეტაპები "ფერარის" გერმანელი პილოტისთვის მხოლოდ ფორმალობაა. "შუმის" ჩემპიონობას მაინც ვერავინ შეეცილება...

იტალიური საჯინიბოს გერმანელმა "სპა" მეორე შედეგით შემოიქროლა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიხაელ შუმახერი დღეიდან მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონია. ასეთი შედეგისთვის ფორმულა 1-ის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არავის მიუღწევია.

მესამე ადგილი "შუმის" თანაგუნდელ რუბენს ბარიკელოს დარჩა, არადა, პირველი წრის ბოლოს ბრაზილიელი მრბოლი უკანასკნელი მიუყვებოდა ქარავანს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გუშინდელ რბოლაში ბევრს აშკარად არ გაუმართლა. სხვათა შეცდომებმა დომინოს ეფექტი გამოიწვია და ავარიათა მორევმა "უდანაშაულო" პილოტებიც ჩაითრია. შედეგად მარკ ვებერი ("იაგუარი"), ტაკუმა სატო (BAR), ჯანმარია ბრუნი ("მინარდი"), ჯორჯო პანტანო ("ჯორდანი"), ფერნანდო ალონსო ("რენო"), ჯენსონ ბატონი (BAR), ზოლტ ბაუმგარტნერი ("მინარდი") ანტონიო პიცონია ("უილიამსი") და ხუან-პაბლო მონტოია ("უილიამსი") ტრასიდან გადავიდნენ.



*შუმახერი მეშვიდედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.*

**"ბელგიის დიდი პრიზი"**
**პირადი პირველობა**

1. კიმი რაიკონენი "მაკლარენი" 1:32.35
2. მიხაელ შუმახერი "ფერარი" 1:32.38
3. რუბენს ბარიკელო "ფერარი" 1:32.39
4. ფელიპე მასა "ზაუბერი" 1:32.47
5. ჯანკარლო ფიზიკელა "ზაუბერი" 1:32.49
6. კრისტიან კლინი "იაგუარი" 1:32.49
7. დევიდ კულჰარდი "მაკლარენი" 1:32.53
8. ოლივე პანისი "ტოიოტა" 1:32.53
9. იარნო ტრული "რენო" 1:32.57
10. რიკარდო ზონტა "ტოიოტა" +3
11. ნიკ ჰაიდფელდი "ჯორდანი" +4

TV-სპორტი

**ორშაბათი. 30 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" – "ვოლფსბურგი"
14:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" – "კორინთიანსი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტიორი" – "ბორისფენი"
18:00 შოტლანდიის ჩემპიონატი. "სელტიკი" – "გლაზგო რეინჯერსი"
19:45 საფეხბურთო უიკენდი
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" – "ვილიარეალი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1984. დასავლეთ კონფერენციის ფინალი. "PHOENIX SUNS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-6 მატჩი

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:10, 15:45, 19:15 პრესცენტრი
10:20, 19:30 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:25 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ქალები. ფინალი
12:00 წყალბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
13:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. ფინალი
16:00 ჩოგბურთი. "Multisport Cup" მოსკოვში. ქალები. ფინალი
17:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
18:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. ფინალი
19:35 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 "ოლიმპიური ოდისეა"
20:45 ჰოკეი. მსოფლიო თასი. ჩეხეთი - ფინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. ფინალი
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
01:00 01:00-დან 02:55-მდე შესვენება
02:55 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
10:45 "ოლიმპიკ ექსტრა". ტელეჟურნალი
11:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
12:00 ცხენოსნობა. სამსუნგის თასი ესპანეთში
13:00 ცხენოსნობა. სამსუნგის თასი ესპანეთში
14:00 მოტოკროსი
14:30 სპიდვეი. შვედეთის გრან-პრი
15:30 "ოლიმპიკ ექსტრა". ტელეჟურნალი
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირების რეალური ცხოვრება
16:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. ფინალი
17:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. ფინალი
18:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
19:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:45 ახალი ამბები
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

# ჩემი კრიალოსანი

სანდრო მამასახლისი

ჭეშმარიტება ერთია, სიმართლე კი იმდენი, რამდენიცა ვართ...

სიმართლე სიალალე და გულწრფელობაა - რასაც ვფიქრობთ თუ განვიცდით, იმას დაუფარავად, შეუცვლელად, რიდის გარეშე ვამბობთ...

ამიტომ სიმართლე შეიძლება, სისულელეც იყოს - გააჩნია, რა ჭკუის პატრონია სიმართლის მთქმელი...

ჭეშმარიტებას ბევრი ადამიანის "სიმართლე" სჭირდება, ამიტომაა იგი ძვირი...

ჩემი სიმართლე ჭეშმარიტებისაგან ისევე შორსაა, როგორც წუთისოფელი მარადისობისაგან და იგი, ალბათ, ანგარიშგასაწევი სულაც არ არის...

...და თუ ამ ჩანაწერებს მაინც ვაქვეყნებ, ვიქცევი გლეხურად - გახსოვთ, ალბათ, რა თქვა დარდიანმა კაცმა - ქვევრს ჩავძახე, გულს მომეშვაო... მით უმეტეს ახლა, როცა ლამის გარანტირებული მაქვს (ტოტალური უწიგნურობის დროში!), თუნდაც ერთი მკითხველი, რომელიც ამ ჩემს ნაცოდვილარს ბოლომდე გაუძლებს და, ვინ იცის, იქნებ მითანაგრძნოს კიდეც...

■ ■ ■

... რამდენიმე წელიწადია, ვენახს ვაშენებ... წლეულსაც ასამდე ძირი დავრგე - თავკვერი, საფერავი, ცოტაოდენი ჩინებული და ალადასტური, დანარჩენი გორულა და რქაწითელი... თითქმის ყველამ იხარა. თუ ვაჟკაცობა სექტემბრამდე ეყოთ, მაშინ მართლა ჯიშიანები ყოფილან...

წლეულს ზამთარმაც ინამუსა - რამდენჯერმე გულიანად მოთოვა... მართალია, ფეთიანი მარტის ყინვამ კურკოვანის ყვავილი მოგვისპო, მოსავალს მაინც იმედიანად გავცქერი...

...დავბერდი, დიდ ყურძნობას ალბათ ვერ მოვესწრები, ამისათვის ათი წელიწადია საჭირო, მაგრამ ხო მყავს ჩემი გიორგი! შვილებს აუცილებლად გაიჩენს, მომრავლდება... ერთხელაც დაწურავენ მტევანს, მაგიდას მიუსხდებიან და ლაზათიანად დამლოცავენ, იტყვიან - ამ ჭიქითა მომყვანი გავიხსენოთო...

და გამაცოცხლებენ...

ეს რომ ასე იქნება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ...

■ ■ ■

... ისე, ხედავთ, რა ხდება? - ვაზმა, ადამიანთან შედარებით უმარტივესმა არსებამ, რიგიანი ნაყოფი რომ მოგვცეს, ლამის ათი წელიწადი უნდა ველოლიავოთ... თქვენ კი, რატომღაც, გწადიათ, ვაჭრუკანისა თუ მევახშის შვილმა თავი სამშობლოს ანაცვალოს...

ჯიშიანი ხალხი ამოწყვიტეს, საუკუნეების განმავლობაში ნაზარდი და ნაფერები ოჯახები დედაბუდიანად გაანადგურეს, სალოცავებში ცხენები დააყენეს, ნამუსიან ხალხს, ღმერთთან ერთად, სულიც მოუკლეს, იუდა ისკარიოტელი გაიღმერთეს, ტაშისდამკვრელნი სკამებზე წამოასკუპეს, არ ვიცი ირონიით, თუ მართლა ასე ფიქრობდნენ, ამ მოდებილოებს (ამას მათი ჰაბიტუსიც ადასტურებს!) "პასუხისმგებელი მუშაკები" უწოდეს, ხოლო უმშვენიერესი საქართველო იმპერიის ლოთყაზარების სამიკტინოდ აქციეს...

■ ■ ■

ქურდობის შემდეგ, ყველაზე მყრალი ფული ვაჭრობაშია, განსაკუთრებით ისეთში, სადაც "კომერსანტი" იქ ყიდულობს და აქ ყიდის, ან პირიქით... ასეთი ფული უფრო ცინიკურია... ყოველ შემთხვევაში, ქურდი თვალებში არ შეგცინებს, თავის ცოლ-შვილს არ ფიცულობს და დამპალ, ან სულაც მძორისგან გაკეთებულ ძეხვეულს ხელში არა გჩრის...

...გაჭირვების სუსხმა რომ დაუბერა, ხალხი მიწისკენ კი არ გაიქცა, უკლებლივ ყველა დახლებზე წამოსკუპდა... ზორბა კაცები და ქალები, მიწის გამშვენიერებისათვის ღმერთის მიერ გაჩენილები, მთელი დღე ლაზღანდარობენ - ბაზრის სიღრმეში ნაყიდს გარეთ, შესასვლელში ყიდიან... ღლიტავენ მიამიტებსა და დოყლაპიებს...

ამგვარი "ბიზნესი" რო აკრძალეს, ახლა დროდადრო გროვდებიან და უსირცხვოდ გაჰყვირიან - დახლი გვინდააა!

■ ■ ■

ქართველთა ყველაზე სპეციფიკური თვისება სამართლიანობისკენ მუდმივი სწრაფვაა... ესაა მათი ეთნიკური ენერგიის წყარო... უსამართლობის შემთხვევაში ზნეობრივი გვალვა ეწყებათ და ჩიავდებიან... რუსივით (მხედველობაში მაქვს მათი მდიდარი ლიტერატურის პერსონაჟები) ქართველს არ გააჩნია ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიებისადმი ერთდროული შეგუების უნარი - თუ ეცემა, ფსკერს აღწევს, თუ მაღლდება, ღმერთს უტოლდება...

ქართველის თვალსაწიერი, უსასრულო ცითა და მიწით, სამართლიანობის საზღვრებში იყო მოქცეული... წარმოიდგინეთ, ფულიც კი ზნეობრივი საზომით მოწმდებოდა... უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, თუ რა შინაარსის შრომისათვის ერგებოდა გასამრჯელო... ამ თვალსაზრისით, ქართველთა ისტორიაში ფული, უპირველესად, ზნეობრივი კატეგორია გახლდათ, მისი ადგილი ეთიკისა და ცხოვრების წესის კარადაში არცთუ მნიშვნელოვან თაროზე იდო...

შესაძლებელია ვცდები, მაგრამ დღევანდელი ჩვენი ტრაგედიის მიზეზი ამაშია - ფული რომ გავაღმერთეთ და ყველაფერი აგვიყირავდა...

■ ■ ■

დღეს საქართველოში 50 ათასზე მეტი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია და წარმოიდგინეთ საკვირველება, მათ შორის თითქმის არ არის ჩვეულებრივი მოკვდავის საცხოვრებელი სახლი, დროს რომ გაუძლო, არ დაინგრა და საუკუნეთა შორეთიდან ჩვენამდე მოაღწია... ციხე-სიმაგრეებისათვის, ტაძარ-ეკლესიებისათვის, აკადემიებისათვის არაფერი გვენანებოდა, ზოგჯერ ქვითკირის სიმაგრისათვის კვერცხიც არ დაგვიზოგია, თავად კი მიწურში ვცხოვრობდით...

ისტორიულ ძეგლთა შორის ასევე იშვიათობაა საპყრობილე, ანუ ადგილი, სადაც დამნაშავე თავსდებოდა...

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა - ჩვეულებრივი ქართველის სიცოცხლის უმთავრესი საზრუნავი მაშინ ... სამშობლო იყო!

ეს პატარა ერი ნეტავ რამ გადაარჩინაო...

რამა და უმაღლესმა ზნეობამ!

საუბედუროდ, ამას მტარვალი ჩვენზე ადრე მიგვიხვდა და კარგადაც გაისარჯა - დახეთ, უცხო ქვეყნების საელჩოებთან დღეს რა რიგებია...

■ ■ ■

"დიად საბჭოეთში" ცნობილ სპორტსმენს მაღაზიის დირექტორის თანამდებობით "აჯილდოებდნენ"... მოგეხსენებათ, მაღაზიის დირექტორების უმრავლესობა, გამანაწილებელი ბაზების ხელმძღვანელებზე რო არაფერი ვთქვათ, ხელფასს თაკილობდა, იქვე მომუშავე დამლაგებელ ქალს უთმობდა, ან რა სახსენებელი იყო რაღაც 120 მანეთი - მაშინდელი ოფიციალური ხელფასი, როცა ამ ციცქნა თანხას ტოტალური დეფიციტის პირობებში ათ წუთში "აკეთებდა"...

ქურდობა მაშინ საბჭოთა ადამიანის ქცევისა და ეთიკის ორგანული ნაწილი იყო... მახსოვს, რა ოსტატობით ვაძვრენდი ელექტრომრიცხველში ფოტოფირს, დისკი რომ გამეჩერებინა... ზამთარში ვთბებოდი ელექტრომავალის(!) ვეება ფეჩით, იგი მთელ ბინას ყოფნიდა, გაგანია სიცხეში კი კონდიციონერებით ვგრილდებოდი და ამ დროს წამიერადაც არ განმიცდია სირცხვილი, ან სინდისის ქენჯნა...

საყოველთაო ქურდობა თეთრდება და ლამაზდება... ასევე, საყოველთაო სისასტიკე, სამართლიანობისა და კანონიერების ელფერს იძენს და ამიტომ კაცის კვლა უბრალოვდება...

■ ■ ■

ალბათ ბევრს ახსოვს ის სიხარული, როცა ხილ-ბოსტნეულის სახელმწიფო მაღაზიის, მისი "აღმატებულება" გამყიდველი, დიდსულოვნად გვიწყალობებდა უფლებას, მათივე ნესტიან საწყობში, მიწაზე დაყრილი კარტოფილის ტალახიან გროვაში, თავად აგვერჩია სალი, საჭმელად გამოსადეგი ნაყოფი...



სანდრო მამასახლისი.

...მაინც რა მარდად "ვმუშაობდით"... ვეებერთელა ტომარას რაღაც წუთებში ვავსებდით და შინისკენ, მართალია ვაი-ვაგლახით, მაგრამ გაბრწყინებული თვალებით - ვინ იცის, კიდევ როდის გაგვიღიმებს იღბალიო - მივათრევდით...

...გაჭირვება ადამიანს აეშმაკებს, აწუწკებს, სიალალეს უკარგავს, ღირსებასა და სინდისს უსპობს... შემდგომში, შეძლებულიც რო გახდეს, აღარ შეიცვლება - ღირსება და სინდისი თუ დაიკარგა, დაიკარგა სამუდამოდ, ველარ დაიბრუნებ!

■ ■ ■

ღმერთს ჩვენთვის რომ არ მოეხედა და ტირანი არ მიეხმო თავისთან, საქმე ქართველთა გადასახლებისკენ მიდიოდა... ძალას იკრებდა ე.წ. "მეგრული საქმე", ბელადმა (ცნობისათვის - კლასიკურ ლიტერატურაში ბელადი ველური, ანუ ტყის ხალხის მეთაურს ნიშნავს!) შეიტყო მოწინავე ქართველების უკმაყოფილების ამბავი, ქერჩში უდიდესი ტრაგედიის გამო... კავკასიის ხალხების უმრავლესობა კომუნიზმს უკვე მაგადანის, ყაზახსტანისა თუ ვორკუტის ოლქებში "აშენებდა"... ისე რომ, მაშინ ყველაფერი მოსალოდნელი იყო...

ქართული სისხლის მქონე რუსთა მეფეს ჩვენდამი იოტისოდენა სიბრალული რომ ჰქონოდა, მაშინ თავისთავს ასე უშფოთველად გენერალისიმუსობა რომ უბოძა, საქართველოს გადარჩენა იოლად შეეძლო... განა თავად არ დაჩეხა თავისივე სამშობლო ავტონომიებითა და ოლქებით - ბორკილები დაადო, დანაღმა და დაუნანებლად დასაღუპავად გაწირა...

...ან ვინ გაუბედავდა სიტყვის შემობრუნებას... ვთქვათ, პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, მშვიდად რო იცოდა, დაბალ ხმაზე ეთქვა, თანაც ისეთი კილოთი, თითქოს წვრილმანზეა საუბარი:

- ამხანაგებო, ვამთავრებთ რა სხდომას, ერთი პატარა საკითხიცაა... საქართველოს რესპუბლიკაზე მოგახსენებთ... - ამ დროს "ყველა ეპოქისა და ხალხების გენიოსის" არანაკლებ ბრძენი კოლეგები (რის გენიოსია, თუ ჭკვიანი ხალხი არ შემოიკრიბა?!) - მოლოტოვი, ხრუშჩოვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, კალინინი, ვოროშილოვი... გაბრწყინებული თვალებით, გაიტრუნებოდნენ - აბა, რას გვეტყვის ჩვენი მამა-მარჩენალიო...

ბელადი კი განაგრძობდა:

- დიახ, პატარაა საქართველო... სმოლენსკის ოლქის მესამედიც არ არის... ხა-ხა, - გაეცინებოდა ბრძენთა-ბრძენს, დანარჩენები საქართველოს სიმცირის გამო სიცილით გაიგუდებოდნენ, მაგრამ პატარა პაუზის შემდეგ გენერალისიმუსი ფეხზე წამოდგებოდა, ხელის აწევით მხიარულებას უმალ შეწყვეტდა, - ჰოდა, რა საჭიროა ასეთ პატარა რესპუბლიკაში ამდენი ჩინოვნიკი, - მერე თვალებს ოდნავ მოჭუტავდა, ჭერს მრავალმნიშვნელოვნად ახედავდა, ოდნავ გასაგონად დაუმატებდა, - ბიუროკრატების სიმრავლე საქმეს აფერხებს... შემომაქვს წინადადება - აჭარის, აფხაზეთის და, კიდევ რა არის იქ?

ნიკიტა ხრუშჩოვი უმალ შეაშველებდა:

- ცხინვალის ოლქი...

- არა, ამხანაგო ხრუშჩოვ, - მზრუნველი მამის კილოთი შეუსწორებდა ბელადი, - ცხინვალის კი არა, არამედ სამხრეთ ოსეთის ოლქი... მოკლედ, თბილისშიც ბევრი ჩინოვნიკია, ყველას ეყოფა... აზრი ვისა აქვს? - დაღლილი კაცის ხმით დაასრულებდა "ჩვენებური".

- მე მაქვს! - ყველა ერთხმად წამოიძახებდა. სოსო ჯუღაშვილი "აზრის მქონეებს" ღიმილით შეათვალიერებდა, - სიტყვა ეძლევა ამხანაგ მიქოიანს... - რომელიც წამოხტებოდა და, როგორც ყოველთვის, უფრო დაიყვირებდა, ვიდრე იტყოდა:

- გენიალური აზრია, მართლაც, აბა, რად გვინდა ამდენი ბიუროკრატი?! ვიმეორებ, გენიალურია! ფულიც ბევრი შეგვენახება...

ამ სიტყვებზე ყველა ფეხზე წამოდგებოდა და რაც შეეძლოთ ტაშს დასცხებდნენ...

მეორე დღეს, იმპერიის მთავარ გაზეთში - "პრავდაში", ალბათ პირველ გვერდზე, სულ ქვემოთ, თეთრი პეტიტით, რომ ზედმეტად შესამჩნევი და სხვა "რესპუბლიკებისათვის" გამაღიზიანებელი არ ყოფილიყო, გამოქვეყნდებოდა "საკდესის" ცნობა: "საბჭოთა სახელმწიფოს აპარატის მართვის შემდგომი სრულყოფისათვის, მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებისა და კონსოლიდაციის პროცესის დაჩქარებისათვის, პოლიტბიურო ადგენს - გაუქმდეს..."

მაგრამ ასე არ მოხდა, და არც შეიძლებოდა მომხდარიყო... თავის თავს "ბელადი" მრავლობით რიცხვში მოიხსენიებდა ხოლმე - "ჩვენ, რუსებიო".

ისე, ოცნებას, თუნდაც წარსულში, კაცი არ მოუკლავს...

■ ■ ■

...იმათ წინაშე, ვინც საცხოვრებლად უცხოეთში გარბის, საქართველოს იოტისოდენადაც არაფერი დაუშავებია... პირიქით, ვისაც შორეულ გზაზე თვალი უჭირავს, თავად სჩადის ცოდვასა და დანაშაულს სამშობლოსა და ღმერთის წინაშე!

გაჭირვებულს, დაბეჩავებულს, დაბნეულს, დამცირებულს თანადგომა და დახმარება უნდა და არა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილის მიტოვება...

სოფლიდან ქალაქში და ქვეყნიდან უცხოეთში გადაბარგება ერთი და იმავე ბოროტი ძარღვით ხორციელდება და მას გადაჯიშება ჰქვია!

■ ■ ■

...ეს რა დღეში ჩაუგდიათ ეს ლამაზი შენობა, როგორ გაუვერანებიათ, გაუტიალებიათ ერთ დროს თბილისის მშვენება, სასტუმრო "ივერია"?! არ ვიცი, როგორ მოვახერხებთ ამ ხალხის უკან დაბრუნებას, ან თუ მოვახერხებთ, რა დაგვიჯდება მათ მიერ ნირშეცვლილი სანატორიუმების, საავადმყოფოების, სტადიონების (ველოტრეკზედაც უპოვიათ ოთახები!), კლუბების, აგარაკების შეკეთება, დასუფთავება...

გერმანიასთან ომის დროს ჩვენთან სამი ოჯახი ცხოვრობდა, სამივე უკრაინიდან, ლტოლვილები იყვნენ... უნდა გენახათ, როგორ ცდილობდნენ თავიანთი მადლიერება გამოეხატათ, როგორ აწკრიალებდნენ ჩვენს სახლკარს, როგორ უადვილებდნენ დედაჩემს ჯაფას, რა მოკრძალებით, მორიდებით იქცეოდნენ... იმ წლებში კახეთში იჯარით მიწა გვქონდა აღებული, ჰოდა ყველაზე მეტს ისინი შრომობდნენ, ცდილობდნენ, თავიანთი ჯაფით დაგვხმარებოდნენ...

... აფხაზეთისა და ცხინვალეთის ომები რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული, ვერაგ მეზობელს ამ პრიმიტიულ ჩანაფიქრს რატომღაც ვერ მივუხვდით და სასტიკად დავმარცხდით, ხოლო მერე კიდევ მეტად დავამძიმეთ ლტოლვილებისა და ქვეყნის მდგომარეობა, ვერ გამოვიჩინეთ სიმტკიცე, პრინციპულობა, თავისივე სამშობლოში ულუკმაპუროდ დარჩენილ ამ ენერგიულ, გამრჯე ხალხს მუშაობის, დოვლათის მოყვანის პირობების შექმნის მაგივრად, სანატორიუმებსა და საავადმყოფოებში მივუჩინეთ ადგილი, თოხისა და ბარის მაგივრად, სასწორითა და დახლით შევაიარაღეთ, გავავაჭრუკანეთ, გავაწუწკეთ. ზოგი ისე გათავხედდა, რომ არ ერიდება სხვის მიერ მშენებარე ბინაში შეჭრას და ავიწყდება, საბოლოო ჯამში საკუთარ ბედს ხომ ჩვენვე ვსაზღვრავთ...

ლამაზი ქალის მკერდივით გადაშლილ უკაცრიელ ქართულ მინდვრებზე, ამ თორმეტ წელიწადში წალკოტი გაშენდებოდა, დოვლათი და ბარაქა მომრავლდებოდა, თავადაც დაძლებოდნენ და, ალბათ, ჩვენც გვიწილადებდნენ...

მაშინ, 1992 წლის 28 სექტემბერს, იმ სამასათასიდან სულ სამიოდე ათასი ვაჟკაცი რო მოძებნილიყო და მთელი ძალით თუნდაც "შავლეგო" დაეძახათ, მარტო ეს რიხიანი ჰანგი დაუხეთქავდა ჩვენს მტრებს გულებს...

მაგრამ ვერ მოიძებნა.

■ ■ ■

ყველა დროს თავისი ლექსიკა გააჩნია. გთავაზობთ საბჭოურ სიტყვათა პატარა კონას:

არჩევნები - ბიულეტენის, რომელშიც ერთადერთი გვარია, ყუთში ჩაგდება.

პასუხისმგებელი ამხანაგი - ცეკას თანამშრომელი.

სუბორდინაცია - შენ ხარ უფროსი, მე ვარ სულელი, მე ვარ უფროსი, შენ ხარ სულელი.

მასა - ანუ ხალხი, მოსახლეობა... სამედიცინო ტერმინოლოგიაში განავალს ნიშნავს. ეს სიტყვა ძალიან უყვარდათ ლენინსა და მის ერთგულ მოწაფეს სტალინს.

რეაბილიტაცია - მოკლული უდანაშაულოს ოფიციალური გამართლება - პაწა შეგვეშალაო...

ბოლშევიკი - ის, ვინც ცეკაში ვიქტორია სირაძეზე უფრო მაღალ თანამდებობაზე იყო.

მენშევიკი - პირიქით (იხილე ბოლშევიკი).

სანიტარული ნორმა - 4 კვადრატული მეტრი.

ადგილის გაფუჭება - "ფულიან" თანამდებობაზე პატიოსნად მუშაობა.

სტუდენტი - ნარკომანიის შემდეგ ყველაზე საშიში დაავადება - საქართველოში 350 უმაღლესი სასწავლებელია - 4-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში.

გამოსაფხიზლებელი - ლოთის სასტუმრო.

ფაშისტი - საზოგადოებრივი ქონების კაბინეტიანი მტაცებელი.

ძაღლი - მილიციელი.

თესლი - ძალიან ცუდი კაცი.

ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი - სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საქართველოს ფილიალი.

გაუსვლელი - ის, ვისაც საზღვარგარეთ გასვლა ეკრძალება.

შოვნა - სასურველი საქონლის პოვნა, მერე ყიდვა.

რაიკომის მდივანი - ლეგალიზებული მექრთამე.

ინტერნაციონალისტი - რუსულის კარგი მცოდნე.

ინტერნაციონალური დახმარება - რუსეთის მიერ სხვა სახელმწიფოს დაპყრობა.

ბარათი - პურის, კარაქის, ზეთის ან შაქრის მცირე ოდენობით ყიდვის უფლება.

კომუნალური ბინა - ერთ ბინაში რამდენიმე ოჯახის ერთდროული ცხოვრება.

შეგნება - საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერა.

სიგიჟე - პირიქით - საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილი.

ბოზი - იხმარება ორი მნიშვნელობით: 1. თავქარიანი ქალი, 2. ჩეკისტი, ანუ ჩამშვები.

■ ■ ■

...დურგალ თემოს შვილი მოუკვდა, დითთვალა, გასათხოვარი გოგო...

ცხრაასი ლარი იყო საჭირო. აქეთ ვეცით, იქით ვეცით, უცებ ვერ ვიშოვეთ... მაშინ, პირველი ოპერაციისათვის, ფული ვიშოვეთ, მეორისათვის - დავაგვიანეთ...

თემო გალოთდა. დაბორიალობს სოფელში და ყველას გვაგინებს...

თბილისში, მეზობლის, შავი მიშას ბიჭმა ერთი ტომარა ფქვილი მოიპარა, მაგრამ ვერ გამოუვიდა. მძღოლმა გაიღვიძა, გამოეკიდა, ტომარა წაართვა, ერთი კარგა მიბეგვა და მილიციას ჩააბარა.

ერთი ტომარა ფქვილისათვის "გაურჭეს" ცხრა წელიწადი პატიმრობა...

იმ ხანობას საქალაქო სასამართლოს საკასაციოს თავმჯდომარე იყო ერთი ანგელოზი ქალბატონი, გვარად წილოსანი (მისი სახელი აღარ შერჩა დაჩაჩანაკებულ მეხსიერებას), რომელმაც დარბაზშივე, დაუყონებლივ გაათავისუფლა ქვეყნის დამაქცეველი "ავაზაკი"... მანვე დამეხმარა, გამეთავისუფლებინა ტროლეიბუსის "გამტაცებელი"... არადა, ვაკის სასამართლომ 20 წლის ჭაბუკს შვიდი წელიწადი მიუსაჯა!

...იყო ზამთარი და ძალიან ციოდა. ბიჭმა და გოგომ პავლოვის ქუჩაზე კარებღია ტროლეიბუსი შენიშნეს...

ბიჭი ელექტროობაში ერკვეოდა, ძრავა მალე გაალვიძა - სამწუხაროდ, საყოველთაო უშუქობისას, სწორედ ამ მონაკვეთზე იყო დენი...

ორიოდე წუთში საგზაო პოლიციამ მხიარული ტროლეიბუსი გააჩერა...

- კი, მაგრამ, - შევეკითხე შემდგომ გამომძიებელს, - რა ნამუსით სძალავდით ათასხუთას დოლარს ასეთ ხეიბარს, ვერ ხედავდით, რომ მას ფეხები არ ჰქონდა და ოთახში საკისრებიანი, თვითნაკეთი საგორავებლით მოძრაობდა?

- რა ვიცოდი, რომ ის უფეხო, იმ ბიჭის დედა იყო...

- რომ გცოდნოდა?

- თანხას შევამცირებდი...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, როცა იგი დაიჭირეს, მისმა "საძმომ" ერთ დღეში(!) შეუგროვა ინკრიმინირებული თანხა - 740 ათასი! და პროკურატურამ... შინ გაუშვა. როგორც გავიგე, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც შეწყვეტილია. ბუნებრივია, ისმის კითხვა - თუ ეჭვმიტანილმა ამოდენა თანხა გადაიხადა (ან გადაუხადეს), ე.ი. მან ამით საჯაროდ აღიარა, რომ ქურდი და თახსირია და მისი კანონიერი ადგილი ციხეშია... ის კი კვლავ, ვითომ არაფერიო, ფედერაციის პრეზიდენტია და ჩვენს ფეხბურთს განაგებს... ვიმეორებ - თუ გადაიხადა!

ასევე გაუგებარია სამძებრო ორგანოების სრული უმოქმედობა იმათ მიმართ, ვინც ასე სწრაფად "იშოვა" ეს ვეება თანხა!

ჩემმა უბნელმა ჯემალამ ცხრა წელიწადი პატიმრობა მიიღო და იცით რაში? - ბაზარში, ერთ, ოქრო-ბრილიანტებში ჩამჯდარ, ქალბატონს თხუთმეტი ლარი აწაპნა. გეკითხებით - სად არის სამართალი?

ამიტომ:

ჯიბის ქურდებო, ყაჩაღებო, "დამაუთოებლებო", მანქანის გამტაცებლებო, აფერისტებო, ბინების დამსუფთავებლებო, შეეშვით შავ საქმეს, თეთრზე გადადით, დაიტაცეთ მილიონები! ახლა კაპიკების გულისთვის ციხეებში რო ლპებით, გარეთ იქნებით, ინავარდებთ, პრეზენტაციებს დაესწრებით, წიგნებს გამოსცემთ, გაზეთებს დააარსებთ, პრემიებს მიიღებთ, იმოგზაურებთ, მოკლედ, "კულტურნი" გახდებით...



# ცოტანი ვართ, მაგრამ...

*მოლოდინის შვიდი წელიწადი, ათასი ჭორი, ასობით ტყუილი და უამრავი ყალბი ჩანაწერი, - ყველაფერი ეს უკვე უკან ჩამოიტოვეს. ელექტრონული მუსიკის მეფე, ჯგუფი "პროდიჯი" ახალ ალბომს - Always Outnumbered, Never Outgunned წარმოადგენს.*

ალბომის - Fat Of The Land გამოსვლის (1997 წელი) შემდეგ ელექტროჰარდროკის მთავარ პოპულარიზატორებს არნახული წარმატება და შეუჩერებელი გასტროლები ელოდათ. თუმცა, კოლექტივში შემოქმედებითი ცხოვრება შეჩერდა. მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჯგუფმა შესვენება აიღო იმისათვის, რომ ყველაფერი შვიდი წლის შემდეგ გაგრძელებულიყო ალბომით Always Outnumbered, Never Outgunned. სათვალავში არცაა ჩასაგდები ორწლიანი ტურნე, რომელიც Fat Of The Land-ს მოჰყვა. ფაქტია, რომ ჯგუფი გაუჩინარდა მაშინ, როდესაც მისგან ყველაზე მეტს ელოდნენ.

"პროდიჯის" კრიზისის დაძლევის მცდელობად უნდა ჩაითვალოს ჯგუფის მთავარი მამოძრავებელი ძალის, ლიემ ჰოულეტის არცთუ ისე შთამაგონებელი კომპოზიცია Baby's Got A Temper, რომელიც რექვიემის შთაბეჭდილებას ქმნიდა. მაშინ არავინ იცოდა, რომ სწორედ ეს კომპოზიცია გახდებოდა ლიამისთვის მორიგი, ახლახანს გამოსული ალბომის წყარო.

ამ ალბომს ერთი სიტყვით ვერ დაახასიათებ, არც ორი გეყოფა და არც სამი... ერთ-ერთ ინტერვიუში ყველა სიმღერის ავტორმა ლიამ ჰოულეტმა განაცხადა, რომ ალბომი წინამორბედი ნამუშევრებისგან განსხვავებული იქნება, თუმცა ამასთანავე ჯგუფი დაუბრუნდება ძველ რიტმებს. ლიამი მსმენელს რევოლუციურ ელექტროპანკს შეჰპირდა და მას ეს გამოუვიდა.

მასობრივი მუსიკა რომ უფრო და უფრო მკაცრი ხდება, ფაქტია. ბოლო დროს ჰოულეტიც ბევრს საუბრობს პანკროკზე. "პროდიჯის" ახალი ალბომი აგებულია მძიმე, აგრესიულ და ფორსირებულ ჟღერადობაზე. თუმცა, დღევანდელი "პროდიჯის" მუსიკალური თავისებურებაა აღმოსავლური მოტივები, რომელიც Always Outnumbered, Never Outgunned-ის თითქმის ყველა კომპოზიციაში გვხვდება. ალბომში ხშირად გაიგონებთ მიწვეული სტუმრების ხმას. მათ შორის არიან: "პროდიჯისთან" ძველი თანამშრომლობიდან ცნობილი MC Kool Keith და მომღერალი შანინ ბადარი; ინგლისში პოპულარული რეპერი Twista, ნოელ გალაჰერი, Princess Superstar, პანკ-ჯგუფი Ping Pong Bitches, ასევე ჰოლივუდის მსახიობი ჯულიეტ ლუისი, რომელსაც "პროდიჯისთან" ხანგრძლივი და საინტერესო შემოქმედებითი კავშირები აქვს.

ამ ალბომის სახელწოდება დაახლოებით ასე ითარგმნება: "ცოტანი ვართ, მაგრამ ზოლებიან პერანგებში". ადამიანები, ვინც ამ ალბომს ქმნიდნენ, მართლაც არ არიან ბევრნი. მუსიკა მხოლოდ ჰოულეტმა დაწერა. Always Outnumbered, Never Outgunned – უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში "პროდიჯის" პირველი ალბომია, რომელსაც აღარავინ აღარ ელოდა. იმედია, ჯგუფის ერთგული ფანები ხელახლა აღმოაჩენენ "პროდიჯის"; ამ ალბომით კი ჰოულეტის "ბანდა" ახალი თაობის მსმენელთა გულებსაც ისეთივე წარმატებით დაიპყრობს, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ მოახერხა.




# რას არ გაიგებს კაცი!

ანა კორძაია-სამადაშვილი



თურმე, ცხრა წლისა როცა ყოფილა, პრინცესა დაიანას თავისი მომავალი მეუღლე, ჩარლზი კი არ უყვარდა, არამედ მისი ძმა, უფლისწული ენდრიუ. ეს ამბავი მოთხრობილია გარდაცვლილი პრინცესას ახალ ბიოგრაფიაში, რომლიდანაც ნაწყვეტები შაბათს, გაზეთ "ბილდში" გამოქვეყნდა.

იმხანად დაიანას მასწავლებელი რეჯინალდ სვიტი იყო, რომელიც იხსენებს, დაიანა და ენდრიუ ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ და გოგონას საწერ მაგიდაზე მისი ფოტოსურათებიც ჰქონდა გამოდებულიო. მაშინ პრინცესას უთქვამს: "როცა დიდი გავიზრდები, პრინც ენდრიუს გავყვები ცოლად. ის ჩემი მეგობარია".

...როცა სკოლაში ვსწავლობდი, წაკითხულის შინაარსის მოთხრობის შემდეგ ეთერი მასწავლებელი კითხულობდა ხოლმე: "რა არის ამ მოთხრობის დედააზრი?" და ჩვენც ვპასუხობდით, ძირითადად, სისულელეებს, მაგრამ რაღაცას მაინც. აი, ზემოთმოყვანილი დაიანას სიყვარულის ამბის შემცველი ცნობიდან კი ვერანაირი აზრი ვერ გამოვიტანე: კაი, ცხრა წლისას ენდრიუ უყვარდა, და რა? უნდა შემეცოდოს, რომ ენდრიუ უყვარდა (ცხრა წლისას, მაგრამ მაინც) და ჩარლზს გაჰყვა ცოლად, თუ უნდა ჩავთვალო, რომ ბავშვობიდან უყოფაქცევო იყო?

თუმცა, ვინ თქვა, რომ ყველაფერი უნდა გვესმოდეს? თავად განსაჯეთ: ის, რომ ვიღაცამ ფეხბურთის ბურთში 28 ათასი ევრო გადაიხადა, ძნელად, მაგრამ მაინც გასაგებია – ეს ბურთი ხომ დევიდ ბექჰემმა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალის დროს კარს ვერ გაარტყა. სხვა თუ არაფერი, ამ ბურთით თამაში მაინც შეიძლება. მაგრამ ის, რომ ბრიტნი სპირსის მიერ ნაღეჭი საღეჭი რეზინი 22 ათასი დოლარი ღირს, სრულიად გაუგებარია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც.

ეს "ნივთი" eBay ინტერნეტ-აუქციონზეა გატანილი. აუქციონი კიდევ ერთ კვირას გაგრძელდება, თუ გაგიხარდებათ, შეგიძლიათ, ის თავადაც ნახოთ, ცხადია, ფოტოსურათზე. მაგარი საღეჭი რეზინია, ზედ ბრიტნის კბილების კვალიც კი ეტყობა. სააუქციონო ეგზემპლარის დახასიათებაში წერია: "ეს არის პოპის ისტორიის ნაწილის ფლობის შანსი, უშუალოდ პოპის პრინცესას პირიდან". ბეე...

საღეჭი რეზინის გარდა, შეგიძლიათ, წყლის ცარიელი ბოთლიც შეიძინოთ, რომელიც ბრიტნის სანაპიროზე დარჩა. ეს ბედნიერება შეუდარებლად იაფად ფასობს: სულ ათი დოლარი ღირს. ხომ არ გაგვეწირა?

ბოთლი როგორ იპოვნეს – გავიგე. ნეტა, ვინ გამოაცალა ბრიტნის საღეჭი რეზინი პირიდან? ან ვის რა ჯანდაბად უნდა მისი ნაღეჭი რეზინი?

ფაქტია, რომ ბრიტნის გაუმართლა – აი, მისი ნაკბილარიც როგორი ძვირფასია! და თუ ზოგიერთებს დავუჯერებთ, გამართლება მთლიანად ჩვენზე ყოფილა დამოკიდებული.

ამ რეკომენდაციების მომცემი ადამიანი პროფესიით მემკვიდრეა, და "სავსებით ნორმალურია, როცა მემკვიდრე ისე იზრდება, რომ ცივ ნიავს არ აკარებენ," – წერს პერის ჰილტონი თავის წიგნში "მემკვიდრის აღსარება", რომელიც აშშ-ს წიგნის მაღაზიების დახლებზე 7 სექტემბრიდან გამოჩნდება, ჯერჯერობით კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ინტერნეტ-გვერდზე Foxnews.com არის გამოქვეყნებული. 23 წლის ქალი, რომელიც ზოგჯერ მოდელობას ან მთლად მსახიობობასაც კი იბრალებს ხოლმე, ამტკიცებს, რომ განებივრებული არასოდეს ყოფილა: "ამბობენ, რომ ცხრა წლისას საკრედიტო ბარათი მქონდა. ეს ჭორია, საერთოდ, სასაცილოა. ცხრამეტისა ვხდებოდი, როცა საკრედიტო ბარათი მეღირსა, ისიც თავად მოვიპოვე". "აჰ, რა ტრაგიკული ამბავია!" – წერს ბილდი. "მოგცლიათ, ერთი," – ვფიქრობ მე.

პერისი წერს, რომ უწინ თავისი სხეულის გამო კომპლექსები სტანჯავდა: "ჩემი პატარა მკერდის გამო ისე მწყდებოდა გული, რომ 17 წლამდე პარალონიან აზღუდებს ვატარებდი. დღეს ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი თხელი გავჩნდი. ასე უკეთესი სანახავი ვარ, ნამდვილად ვიცი". გარდა ამისა, ჰილტონს გადაწყვეტილი ჰქონია, რომ ოდესმე წვეულებებზე სიარულს შეეშვება: "ოდესმე, ძალიან მალე, დიდი სახლი მექნება, ბევრი შვილი მეყოლება და ბევრი შინაური ცხოველი".

ალბათ, ასეც იქნება, სადაც ერთი საწყალი, უმკერდო გოგო უცებ წვეულებების ვარსკვლავი გახდა. ნეტა, რანაირად? thesmokinggun.com პერისის "ათ ცნებას" აქვეყნებს: "როგორ უნდა გახდე მილიონების მემკვიდრე".

1. დაიბადე სათანადო ოჯახში.

2. გულმოდგინედ აირჩიე, რისი მემკვიდრე უნდა გახდე.

3. ტრადიციად აქციე დაბადების დღეზე უზარმაზარი წვეულებების გამართვა.

4. ყველაზე საშინელი საჭმელი ჭამე, მაკდონალდსი და სნიკერსები, მხოლოდ კაკაო და კოლა დალიე – ან დახვეწილი პაშტეტები და ხიზილალა მიირთვი. სულ ეს ორი ვარიანტი არსებობს. აირჩიე!

5. უნაკლო სახის კანი უნდა გქონდეს, მაგრამ არასოდეს დაიბანო.

6. მაკიაჟი არ დაივიწყო, ძილშიც კი!

7. დილის 10 საათზე ადრე არასოდეს ადგე, და ღამის 3 საათზე ადრე არასოდეს დაიძინო.

8. მხოლოდ ერთი მობილური ტელეფონით არ შემოიფარგლო. რატომ, როცა მეტის შესაძლებლობაც გაქვს? როგორც წესი, ერთი მაინც დაკარგე ხოლმე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უახლესი მოდელი გქონდეს.

9. ტელეფონის ნომერი ორი მაინც უნდა გქონდეს: ერთი – სამსახურეობრივი, ერთი – პირადი.

10. ორჯერ ერთი და იგივე ტანსაცმელი არ ჩაიცვა, თორემ თუ სურათები გადაგიღეს, ყველა იტყვის, ერთი გამოსასვლელი კაბა ჰქონიაო.

ისწავლეთ! იქნებ რამე გაიგოთ და გაგიმართლოთ. აგერ, მე კინაღამ გამიმართლა. ახლავე აგიხსნით: მე მომწონს ჰაიდი კლუმი – ლამაზიცაა და წარმატებულიც. ის თან 31 წლის ტოპ-მოდელია, თან სამი თვის ლენის დედა, თან 41 წლის სილის საყვარელი, და რომელი ერთი უნდა მოასწროს საბრალო ჰაიდი კლუმმა? ჰოდა, ARD-ს ინტერნეტ-გვერდზე გამოცხადდა, რომ კარიერისთვის მეტი დროის დასათმობად ჰაიდი ძიძას ეძებს.

მაგრამ ლენის ძიძას რიგით ძიძაზე მეტი მოეთხოვება. ის ჰაიდის გადაღებებზე დომინიკანურ რესპუბლიკაში უნდა გაჰყვეს, საყიდლებზე – მილანში და ყავის დასალევად – მონტე კარლოში. ძალიან კარგად ჟღერს, არა? იმედია, ჰაიდის არჩევანის გაკეთება არ გაუჭირდება. მე სიამოვნებით წარვადგენდი ჩემს კანდიდატურას, მაგრამ ვშიშობ, დამაგვიანდა: ინფორმაცია გუშინ გავრცელდა, და მე ვინ დამელოდებოდა.

და ვიჯდები ასე, ზაფხულში მზიურსა და შემოდგომაზე მოჟამულ თბილისში, სოფელ შავდამექეთს მიღმა წასვლა არ მეღირსება, და ვერც მილანში ვიყიდი ტანსაცმელს და არც მონტე კარლოში დამალევინებს ვინმე ყავას. როგორც ჩანს, კვლავ პერის ჰილტონის ათ შეგონებას უნდა მივხედო. იქნებ მეც გამიმართლოს.

## TV პროგრამა

*30 აგვისტო*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** დისკავერი **13.20** მხ. ფილმი "პლუტო ნეშის თავგადასავალი" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სერიალი "ქრისტეფორე კოლუმბი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ტურა". მთ. რ-ში: ბრიუს უილისი (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** მოგზაურობა ოლიმპოს მთაზე. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.50** მწერლების საუკუნე. ალბერ კამიუ. **14.05** საოცარი მოგზაურობა. ტიპი და ლომები. დოკ. ფილმი. **15.30** ჩემპიონები. დოკ. ფილმი. **16.25** ქალები და ჯერ ბავშვები. მხ. ფილმი. რეჟისორი სანდრა ჟოქსი. 1994. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **22.30** ათენის ოლიმპიადა. მიმოხილვა. **04.25** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი.

### პირველი არხი

ორშაბათი **07.30** ალიონი **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ.სერიალი "კათედრალური ტაძრები" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.00** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.30** მუს. არჩევნები **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "მარტოსული გმირი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "შიშის ოთახი" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მეექვსე გრძნობა" **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "მათეს სახარება" **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "კალიგულა"

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 15.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "ინსპექტორი გაჯეთი" (გ) (ფ. სტიუარტი) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "მომხიბლავი პრინცი" **17.20** მულტსერიალი "სქელი ძაღლი მენდოზა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "ჩიკაგო" (18) (რ.გირი)

### იმედი

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.40, 17.20, 01.30** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერაილი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** ათენის ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **12.10** სერიალი "კლონი" **13.15** ათენის ოლიმპიური თამაშების დახურვის საზეიმო ცერემონიალი (გამ.) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.45** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ფორტი საგანი" 1-ლი ს. **21.30** ვაკაჭი-ნიუსი **23.00** მხ. ფილმი "თეთრი ქვიშა" (გ) (უ. დეფო) **01.00** ტვ-მარკეტი

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Брендан Фрейзер в комедии **"ПРАВИЛЬНЫЙ ДАДЛИ"**. **10.40** Док. фильм "Дети Кремля". **11.40** Дисней-клуб: "Алладин". **12.10** Георгий Бурков в детективе **"СУМКА ИНКАССАТОРА"**. **14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **15.20** Комедийный сериал **"АНГЕЛ НА ДОРОГАХ"**. **16.30** Документальный детектив. "Дело Раскольникова". 2003 год. **17.00** "Слабое звено" **18.20** Смехопанорама **19.00** Сериал **"КЛОН"**. **20.00** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **22.40** Спецрасследование. "Вирус смерти". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Княжеский камень". **00.20** Док. фильм "Хищники. Укрощение строптивых". **00.50** Док. фильм "Страсти по Марине". **01.50** Берт Рейнольдс в боевике **"СТИК"** **03.30** Саймон Бэйкер в триллере **"ПОПРОЩАЙСЯ С ЗАВТРА"**.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.20** "Преступление в стиле "Модерн". "Тайна обводного канала". **10.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **11.25** Герман Юшко в фильме **"МЕРСЕДЕС" УХОДИТ ОТ ПОГОНИ"** **13.35** Валерий Рыжаков в детективе **"ЛАРЕЦ МАРИИ МЕДИЧИ"**. **15.30** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Евгений Сидихин в сериале **"ТАКСИСТ"**. 1-я серия. **18.35** Криминальная Россия. **19.40** Александр Половцев в сериале **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ПРОСТАЯ ФОРМАЛЬНОСТЬ"**. **20.50** Анастасия Волочкова в сериале **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ"**. 1-я серия. **22.00** "Страна и мир" **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ"**. **23.15** "Школа злословия" **00.45** Энтони Эдвардс в сериале **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**.

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი



# ელვის პრესლის ფესტივალი საფრთხეშია



მუსიკალური კრიტიკა ელვის პრესლის სახელობის ყოველწლიური ფესტივალის შესახებ ალაპარაკდა. ეს ფესტივალი მისისიპის შტატში, როკ-ენ-როლის ლეგენდის მშობლიურ ქალაქ ტუპელოში ყოველწლიურად იმართება ხოლმე და წელსაც ჩვეულებისამებრ ჩატარდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამჯერად უამრავი პრობლემა წარმოიშვა და ფესტივალის არსებობა-არარსებობის საკითხიც კი დადგა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ფესტივალზე ბილეთები ცუდად იყიდება. გასულ წელს ზარალმა 2642 დოლარი შეადგინა, წელს ზარალი უფრო მეტია – 5465 დოლარი. ფესტივალზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც გული აიცრუეს, ფესტივალის ფონდში შესატანი თითქმის ნახევრამდე შეამცირეს.

"მდგომარეობა სერიოზულია, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სამომავლოდ წარმატებას მივაღწიოთ," – ამბობენ ფესტივალის ორგანიზატორები. არადა, ელვის პრესლის ფესტივალი, რომლის არსებობა დღეს კითხვის ნიშნის ქვეშაა, თავის დროზე ძალიან პოპულარული იყო, აქ გამოდიოდნენ ცნობილი შემსრულებლები: ლითლ რიჩი, ბიბი კინგი და სხვები. შარშან სწორედ ამ ფესტივალზე წარდგა მაყურებლის წინაშე ჯგუფი The Supremes. და მაინც, მიუხედავად ფესტივალის არცთუ სახარბიელო რეპუტაციისა, ტუპელოს მაცხოვრებლები ამაყობენ იმით, რომ მათ ქალაქში ასეთი ღონისძიება ტარდება, და რომ აქ ელვის პრესლი დაიბადა. თუ ამ ქალაქში მოხვდებით, მასპინძლები აუცილებლად წაგიყვანენ მუზეუმში – სახლში, სადაც როკ-ენ-როლის ლეგენდა მოევლინა ქვეყნიერებას.

# როგორ ვერ გაფრინდა ანჯელინა



"ბილდი" წერს, რომ 26 წლის ანჯელინა ჯოლის ფრენის მასწავლებლის ნერვული სისტემა საბოლოოდ მოირყა. დამნაშავე თავად მსახიობი ყოფილა. ორში ერთია: ან პედაგოგია ყურებამდე შეყვარებული და ამიტომ კონცენტრირებას ვერ ახერხებს, ან თავად ანჯელინა აღმოჩნდა უნიჭო მოსწავლე. ინტერნეტ-გვერდზე Teenhollywood "საქმეში ჩახედული პირი" იუწყება, რომ "საბრალო კაცი ისეა გამწარებული, რომ ვერ ლაპარაკობს".

ასე თუ ისე, მფრინავმა თავის საქმეზე უარი განაცხადა და ახლა ანჯელინა ახალ მასწავლებელს ეძებს. იმედია, მსურველი ბევრი გამოჩნდება და ოდესმე ანჯელინაც გაფრინდება.

# დიდი შიში

ძალიან ძნელია, როცა ცოლიც ვარსკვლავია და ქმარიც. უფრო რთულია, როცა ვარსკვლავთა წყვილი 3,6 მილიონ ევროდ უზარმაზარ ვილას ყიდულობს, და უცებ აღმოჩნდება, რომ მის გვერდით გოლფის მოედანია განლაგებული. Imdb.com წერს, რომ დუგლას-ზეტა-ჯონსის ტერიტორიაზე სულ გზა-კვალაბნეული გოლფის ბურთები დაფრინავენ. ცოლ-ქმარი დაზაფრულია, რომ ბურთები მათ შვილებს მოხვდებათ, და ამიტომ ვილაში ფანჯრის მინები ტყვიაგამძლეა. გოლფის მოთამაშეები თვლიან, რომ მაიკლ დუგლასს მოსცლია და გზას ვერ აგნებს – იმ მოედნის მიდამოში გოლფის ბურთს ჯერ არავინ მოუკლავსო.

# ტარანტინო თოჯინებთან ერთად



ცნობილი რეჟისორი კვენტინ ტარანტინო ერთობ უჩვეულო ამპლუაში მოგვევლინება – ის საკუთარ თავს განასახიერებს. ფილმში, რომელსაც კომპანია ABC-TV იღებს, ის მცირე ეპიზოდში ითამაშებს. კინოსურათი ცნობილი ზღაპრის მიხედვით იქნება შექმნილი – "ჯადოქარი ზურმუხტის ქვეყნიდან". მთავარ როლებში "მაპეტ შოუს" თოჯინებს ვიხილავთ. ფილმის სამუშაო სათაურია: "საუცხოო მაპეტ-ჯადოქარი ზურმუხტის ქვეყნიდან".

ტარანტინოს გარდა, გადაღებებზე მიწვეულნი არიან სხვა ამერიკელი ვარსკვლავებიც, მაგალითად, რიტმ-ენ-ბლუზის შემსრულებელი აშანთი, რომელიც გოგონა დოროთის როლს შეასრულებს. 1939 წლის ვერსიაში ამ როლს ჯუდი გარლანდი ასრულებდა. ამავდროულად ფილმში შევხვდებით მომღერალ ქუინ ლატიფას (დეიდა ემის როლში), რომელიც უკვე გადაიღეს მიუზიკლში "ჩიკაგო". გადაღებები ერთ თვეში დაიწყება.

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე: წამყვანები ტელევიზიის გასართობი, შემეცნებითი, საბავშვო-საყმაწვილო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებისათვის**

**მოთხოვნები**
- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ტელევიზიის რუსული, აფხაზური, აზერბაიჯანული, სომხური საინფორმაციო პროგრამების წამყვანები**

**მოთხოვნები**
- ასაკი 25 წლის ზემოთ;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- შესატყვისი ენის - რუსული, აფხაზური, სომხური, ან აზერბაიჯანული - სრულყოფილი ცოდნა;
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) - პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 18 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**







თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.